საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

2014 წლის ანგარიში

სარჩევი

თავი I.საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია....4

კომისიის შესახებ....4
ცვლილებები კომისიის შემადგენლობაში....4
მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის დანიშვნა....5
კომისიის სტრუქტურა....5
კომისიის ბიუჯეტი....6

თავი II. განხორციელებული სამუშაოები....7

რადიოსიხშირული რესურსის ეფექტურად მართვა/მეოთხე თაობის (4G) ინტერნეტმომსახურება....7
ციფრულ მიწისზედა ტელემაუწყებლობაზე გადასვლა....10
მობილურ ქსელში ურთიერთჩართვის ახალი ტარიფი....13
საერთაშორისო ზარების ტერმინაციის დროებითი რეგულაცია....14
საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან და სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებთან დაშვების მომსახურებები....16
ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზარზე კონკურენციის კვლევა და ანალიზი....17
სააბონტენტო ნომრების პორტაბელურობა....18
„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი....19
სტანდარტიზაცია....21
წინასაარჩევნო მონიტორინგი....21
კომისიის მიერ მიღებული დადგენილებები....22
ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების შესაბამისად კომისიის მიერ გამოცხადებული კონკურსები....24
ავტორიზაცია, სალიცენზიო/სანებართვო საქმიანობა....26
დავები/სანქცირება....29
სასამართლო დავები....29
საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესრულება....30
ანტიკორუფციული გეგმა....31
მომხმარებელთა უფლებების დაცვა....31
საერთაშორისო თანამშრომლობა....35
ახალი ვებგვერდი....41
მედია გაშუქება....41

თავი III. ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის დარგების განვითარების ტენდენციების მიმოხილვა....42

მობილური კომუნიკაციები....45
ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება....52
ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურება....58
სატელეფონო ნომრების პორტაბელურობა....65
მაუწყებლობის ტრანზიტი....68

მაუწყებლობა 71
კომუნიკაციების დარგიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შესული თანხები 74

თავი IV. კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები 74

დანართები 75

დანართი 1. ავტორიზაცია - მაუწყებლობა 75
დანართი 2. ავტორიზაცია - ელექტრონული კომუნიკაციები 76
დანართი 3. ავტორიზაციის გაუქმება - მაუწყებლობა 77
დანართი 4. ავტორიზაციის გაუქმება - ელექტრონული კომუნიკაციები 78
დანართი 5. ლიცენზიების გაცემა - მაუწყებლობა 78
დანართი 6. ლიცენზიების გაცემა - რადიოსიხშირული სპექტრი 79
დანართი 7. ლიცენზიების გაუქმება - მაუწყებლობა 79
დანართი 8. ლიცენზიების მოდიფიცირება - მაუწყებლობა 80
დანართი 9. ლიცენზიების მოდიფიცირება - რადიოსიხშირული სპექტრი 81
დანართი 10. ლიცენზიების მოქმედების ვადის გაგრძელება - მაუწყებლობა 81
დანართი 11. ლიცენზიების მოქმედების ვადის გაგრძელება - რადიოსიხშირული სპექტრი ... 82
დანართი 12. ლიცენზიების გადაცემაზე თანხმობის მიცემა 82
დანართი 13. ლიცენზიების გადაპირება 83
დანართი 14. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვების გაცემა 83
დანართი 15. დავები 83
დანართი 16. სანქცირება - მაუწყებლები 84
დანართი 17. სანქცირება - „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებული პირები 87
დანართი 18. სასამართლო დავები - დასრულებული საქმეები 91
დანართი 19. დავები - მიმდინარე საქმეები 98
დანართი 20. თავისუფალი სიხშირული რესურსი 103
დანართი 21. აუდიტის დასკვნა 107

თავი I.საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

კომისიის შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია მაუწყებლობის და ელექტრონული კომუნიკაციების დარგების დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოა, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას. კომისია კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოა და შედგება ხუთი წევრისგან. კომისიის წევრს საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის მიერ შერჩეული კანდიდატებიდან საქართველოს პარლამენტი ირჩევს. კომისიის თავმჯდომარე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, 3 წლის ვადით, თავად კომისიის მიერ აირჩევა. კომისია ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის და საქართველოს პარლამენტის წინაშე. კომისიის ძირითადი მიზნებია:

- თანასწორუფლებიანი და კონკურენტული გარემოს შექმნა;
- თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;
- მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვა;
- სიხშირული სპექტრის ეფექტური განაწილება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ძირითადი ფუნქციებია: მაუწყებლობის და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ლიცენზირება/ავტორიზაცია, სიხშირული სპექტრის ოპტიმალური და ეფექტიანი განაწილება, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების გაცემა, კომისიის რეგულირებას დაქვემდებარებულ პირებს, ასევე მათსა და მომხმარებლებს შორის წარმოქმნილი დავების გადაწყვეტა, სატელეკომუნიკაციო ბაზრის სხვადასხვა სეგმენტის კვლევა და ანალიზი, ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების განსაზღვრა, მათთვის სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება, სატელეკომუნიკაციო სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დაცვის კონტროლი და შესაბამისი რეაგირება და სხვა.

ცვლილებები კომისიის შემადგენლობაში

2014 წელს საქართველოს პარლამენტმა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2 ახალი წევრი აირჩია. საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, საქართველოს პრეზიდენტმა - გიორგი მარგველაშვილმა, თითოეულ ვაკანტურ თანამდებობაზე საქართველოს პარლამენტს 3 კანდიდატი წარუდგინა, რის შემდეგაც საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 24 იანვარს კომისიის წევრად - კახი ბექაური, ხოლო 16 აპრილს - ვახტანგ აბაშიძე აირჩია.

2014 წლის 19 მაისს ვახტანგ აბაშიძე 3 წლის ვადით კომისიის თავმჯდომარე გახდა. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების თანხმად, კომისიის

თავმჯდომარე თავად კომისიამ აირჩია. კომისიის მიერ ჩატარებულ თავმჯდომარის არჩევნებში მხოლოდ 1 კანდიდატი - ვახტანგ აბაშიძე იყრიდა კენჭს და მას კომისიის სრულმა შემადგენლობამ დაუჭირა მხარი. აღნიშნულ დრომდე კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას კომისიის უხუცესი წევრი - აკაკი სიხარულიძე ასრულებდა.

ვახტანგ აბაშიძე კომისიის პირველი თავმჯდომარეა, იგი 2000-2004 წლებში უძღვებოდა კომუნიკაციების მარეგულირებელ ორგანოს.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის დანიშვნა

2014 წელს საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის მიერ შექმნილმა საკონკურსო კომისიამ ღია კონკურსის წესით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი აირჩია. აღნიშნული თანამდებობა, 5 წლის ვადით, თამთა ტეფნაძემ დაიკავა.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში, ასევე 5 წლის ვადით, საზოგადოებრივი დამცველის 4 თანაშემწე დაინიშნა, რომელთაგან 2 - სამართლებრივ მიმართულებას უწევს კოორდინირებას, 1 - მაუწყებლობის და 1 - ადმინისტრაციულ და საზოგადოებასთან ურთიერთობის.

კომისიის სტრუქტურა

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში და კომისიასთან მოქმედ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში სულ დასაქმებული იყო 130 ადამიანი. კომისიის სტრუქტურა ასე გამოიყურებოდა:



კომისიის ბიუჯეტი

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" და „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონების თანახმად, კომისიის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებული პირებისა და ლიცენზიის მფლობელების მიერ გადახდილი რეგულირების საფასური.

რეგულირების საფასურის ოდენობაა:

- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) 0.75 პროცენტი;
- მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელის ან ავტორიზებული პირის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) 0.5 პროცენტი.

ბიუჯეტი	2014 ფაქტიური	2015 გეგმა
სულ შემოსავალები:	8,272,875.03	12,256,640.00
სულ ხარჯები:	9,721,794.86	12,256,640.00
ძირითადი საშუალებების შეძენა	245,600.30	3,285,934.00
საკანცელარიო, საფოსტო, პოლიგრაფიული და ჟურნალ-გაზეთების ხარჯები	44,058.93	41,500.00
კომუნიკაციის, ელექტროენერგიის, წყლის და ბუნებრივი აირის ხარჯი	131,124.31	145.328.00
ავტომანქანების საწვავის, შენახვისა და რემონტის ხარჯები	135,384.58	169,000.00
მივლინების ხარჯები	202,476.54	150,000.00
საბანკო მომსახურების ხარჯები	1,376.10	2,500.00
კონფერენციების და სემინარების ჩატარების, კვალიფიკაციის ამაღლების, საექსპერტო მომსახურებისა და სხვა ხარჯები	486,017.89	53,340.00
სხვადასხვა საწევრო გადასახადები	19,725.86	31,800.00
სამეცნიერო-კვლევითი და საკონსულტაციო სამუშაოთა ხარჯები	229,860.92	1,051,000.00
სხვა საერთო ხარჯი	258,203.38	297,865.00
წარმომადგენლობითი ხარჯები	26,563.72	20,000.00
მიმდინარე რემონტის ხარჯები	33,274.63	60,000.00
შრომის ანაზღაურება	3,926,290.42	4,544,506.40
სახ. ბიუჯეტის ანარიცხები	981,572.60	1,136,126.60
მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ხარჯები	1,036.90	21,000.00
მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის შრომის ანაზღაურების და სახ. ბიუჯეტის ხარჯები	275,281.23	284,152.50
პრემირების ფონდი	2,723,946.55	962,587.50
ხარჯების შემოსავლებზე გადამეტება	-1,448,919.83	

თავი II. განხორციელებული სამუშაოები

2014 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 148 საჯარო სხდომა ჩაატარა, 9 დადგენილება და 737 გადაწყვეტილება მიიღო.

კომისიაში 2014 წელს შემოვიდა 11,420 კორესპონდენცია. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნას ეხებოდა 292[1] კორესპონდენცია, რომელთაგან 291 გაეცა პასუხი.

რადიოსიხშირული რესურსის ეფექტურად მართვა/მეოთხე თაობის (4G) ინტერნეტმომსახურება

საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ასოცირების შესახებ“ შეთანხმებით და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, 2014 წლის 1 აგვისტოს

[1] აღნიშნული რიცხვი მოიცავს 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2014 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდს

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები. ცვლილებებით განისაზღვრა რადიოსიხშირული სპექტრის შესაბამის დიაპაზონებში გაცემული ლიცენზიების მოდიფიცირებასთან და რადიოსიხშირეების შეცვლა/დათმობასთან დაკავშირებით კომისიისა და შესაბამისი ლიცენზიების მფლობელების უფლება-მოვალეობები. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენდა თანამედროვე (ე.წ მეოთხე თაობის) ტექნოლოგიების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობა და მოსახლეობის მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტმომსახურებით მოცვა. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებისა და განხილვის პროცესში.

საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, 2014 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დაიწყო მუშაობა რადიოსიხშირული რესურსის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად განაწილების საკითხზე.

კომისიის მიერ შესაბამის დადგენილებებში ცვლილებების შეტანით განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- ცვლილებების შევიდა სიხშირეთა განაწილების ეროვნულ გეგმაში და განხორციელდა ევროკომისიის გადაწყვეტილებებით[1] განსაზღვრული 880-915 მჰც და 925- 960 მჰც (900 მჰც) დიაპაზონის, 1 710-1 785 მჰც და 1 805-1 880 მჰც (1800 მჰც) დიაპაზონისა, 1 920-1 980 მჰც და 2 110-2 170 მჰც (დაწყვილებული 2100 მჰც) დიაპაზონის ნაწილის (კერძოდ1 920-1 965 მჰც და 2 110-2 155 მჰც) და 791-862 მჰც (800 მჰც) რადიოსიხშირული დიაპაზონის ნაწილის (კერძოდ, 791-796 მჰც და 832-837; 806-816 მჰც და 847-857 მჰც - დაწყვილებული 30 მჰც (2x15 მჰც) - რადიოსიხშირული რესურსის) ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებებისათვის განკუთვნილი მიწისზედა სისტემებისათვის ეროვნულ დონეზე განაწილება, ევროკომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებით განსაზღვრული სიხშირული დიაპაზონის დანაწილების პარამეტრებისა და ტექნიკური პირობების გათვალისწინებით. (დადგენილება №8, 2014 წლის 7 ნოემბერი);
- განისაზღვრა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების და მიწისზედა სისტემებისათვის ჰარმონიზებულ რადიოსიხშირულ დიაპაზონში სააუქციონოდ გამოტანილი რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის დადგენის მეთოდოლოგიები; მათ შორის, ბენჩმარკინგის ან/და ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიებით შეფასებული 1 მჰც რესურსის სავარაუდო ღირებულების საფუძველზე ლიცენზიით განსაზღვრული რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის გაანგარიშების ფორმულა (დადგენილება №7, 2014 წლის 7 ნოემბერი);

1 №2010/267/EU, №2012/688/EU, №2011/251/EU

- განისაზღვრა „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმითა“ და ევროკომისიის გადაწყვეტილებებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებებისა და მიწისზედა სისტემებისათვის ჰარმონიზებულ რადიოსიხშირულ დიაპაზონებში გაცემული ლიცენზიების ტექნოლოგიური და მომსახურების ნეიტრალიტეტის პრინციპის შესაბამისად, 15 წლის ვადით მოდიფიცირებისას რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საფასურის გადაანგარიშების ერთიანი წესი; მათ შორის, ბენჩმარკინგის ან/და ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიებით შეფასებული 1 მჰც რესურსის სავარაუდო ღირებულების საფუძველზე ლიცენზიით განსაზღვრული რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საფასურის გაანგარიშების მეთოდოლოგია (დადგენილება №9, 2014 წლის 4 დეკემბერი).

კომისიამ, 800/900/1800/2100/2600 მჰც დიაპაზონებში არსებული რადიოსიხშირული რესურსის ღირებულების ევროკავშირის ფარგლებში დანერგილი და აპრობირებული მეთოდოლოგიებით (ბენჩმარკინგი და ბიზნეს მოდელირება) შეფასების უზრუნველყოფისთვის, 2014 წლის 12 აგვისტოს საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე საერთაშორისო ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა. ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია „ფრაისვოთერჰაუსკუპერს ცენტრალური აზია და კავკასია ბი. ვი.“-მ, კომისიის მიერ განსაზღვრული სატენდერო მოთხოვნების გათვალისწინებით, ბიზნეს მოდელირებისა და ბენჩმარკინგის მეთოდების გამოყენებით უზრუნველყო 800 მჰც, 900მჰც, 1800 მჰც, 2100 მჰც და 2600მჰც დიაპაზონების 1 მჰც რადიოსიხშირული რესურსის ღირებულების გაანგარიშება.

2014 წლის 28 ნოემბერს, მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად კომისიამ 800 მჰც დიაპაზონში (2x10 მჰც-იანი ზოლი) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად აუქციონი გამოაცხადა. 2014 წლის 29 დეკემბერს გამართულ აუქციონზე გამარჯვებულად კომპანია „მობიტელი“ („ბილაინი“) გამოვლინდა. „მობიტელს“ განესაზღვრა სერვის-დეფიციტურ რეგიონებში ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების შესაბამისი ვალდებულები. კომისიის გადაწყვეტილებით, „მობიტელმა“ ლიცენზიის საფასური - 50,782,605.00 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტში 1 წლის განმავლობაში უნდა გადაიხადოს. გადასახდელი თანხიდან 4,836,438,60 ლარი „მობიტელმა“ ბეს სახით აუქციონში გაამრჯვებამდე გადაიხადა, 10,398,342.90 ლარი აუქციონში გამარჯვების შემდეგ 1 თვის ვადაში, ხოლო 35,547,823.5 ლარი კი 1 წლის განმავლობაში თანაბარწილად ყოველთვიურად უნდა გადაიხადოს.

25 დეკემბერს კომისიამ დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება 900 მჰც, 1800 მჰც და დაწყვილებულ 2100 მჰც დიაპაზონებში შპს „მაგთიკომის“, შპს “ჯეოსელის” და შპს „მობიტელის“ მფლობელობაში არსებული ლიცენზიების ტექნოლოგიური და მომსახურების ნეიტრალიტეტის პრინციპის შესაბამისად მოდიფიცირებისა და 15 წლიანი ვადის განსაზღვრის თაობაზე. აღნიშნული გულისხმობს 900/1800/2100 მჰც სიხშირულ დიაპაზონებში მათ სარგებლობაში არსებული რადიოსიხშირული სპექტრის ყველა იმ უსადენო/მობილური ტექნოლოგიისთვის გამოყენებას, რომელსაც თანაარსებობა შეუძლია

GSM და UMTS ტექნოლოგიებთან და რომლის ტექნიკური პარამეტრები თავსებადია ევროკომისიის მიერ განსაზღვრულ[1] ტექნიკურ მოთხოვნებთან. ლიცენზიების მოდიფიცირებით კომპანიებს საშუალება მიეცათ მომხმარებლებს მეოთხე თაობის (4G) მაღალსიჩქარინი ინტერნეტმომსახურება შესთავაზონ. ლიცენზიის მოდიფიცირებისა და ვადის განსაზღვრისთვის (15 წელი) სამივე კომპანიამ ერთად ორი წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტში 288,244,086.83 ლარი ყოველთვიურად თანაბარწილად უნდა გადაიხადონ, ხოლო საერთო ჯამში მეოთხე თაობის (4G) ინტერნეტსერვისის დასანერგად მობილური კომპანიების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხა **339,026,691.83**[2] ლარს შეადგენს.

ციფრულ მიწისზედა ტელემაუწყებლობაზე გადასვლა

ჟენევის 2006 წლის GE06 ხელშეკრულების ხელმოწერით, საქართელომ, ისევე როგორც საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) წევრმა სხვა ქვეყნებმა, ანალოგურიდან ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლის ვალდებულება აიღო. ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლის თარიღად 2015 წლის 17 ივნისი განისაზღვრა. აღნიშნული პროცესი ფართომასშტაბიან რეფორმას წარმოადგენს და მას ციფრული მაუწყებლობის სააგენტო უწევს კოორდინირებას.

საქართველოს მთავრობამ განსაზღვრა ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, რომლის შესაბამისადაც შემუშავდა დოკუმენტი „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა და შესაბამისი რეკომენდაციები“. აღნიშნული გეგმა მოწონებულ[3] იქნა საქართველოს მთავრობის მიერ.

2014 წლის 27 თებერვალს ძალაში შევიდა ცვლილებები „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლითაც განისაზღვრა ციფრული მიწისზედა ტელემაუწყებლობისათვის განკუთვნილი რადიოსიხშირული რესურსის გაცემა/გამოყენების წესები და კომისიის ვალდებულებები.

კანონით დაკისრებული ვალდებულებების ფარგლებში, კომისიის გადაწყვეტილებით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელისა და შესაბამისი სადისტრიბუციო ქსელის ასაგებად შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრს“

---

[1] ევროკომისიის №2012/688/EU და №2011/251/EU გადაწყვეტილებები

[2] „მობიტელის“ მიერ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიისთვის (50,782,605.00) და „მაგთიკომის“, „ჯეოსელის“ და „მობიტელის“ მიერ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მოდიფიცირებისა და 15 წლიანი ვადის განსაზღვრისთვის (288,244,086.83) გადასახდელი თანხების ჯამი

[3] 2014 წლის 10 თებერვლის №206 განკარგულება

უსასყიდლოდ მიენიჭა რადიოსიხშირეები. აღნიშნული ქსელის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარმოებული სატელევიზიო პროგრამების ღია ეთერით გავრცელება. პარალელური მაუწყებლობის (ტელემაუწყებლის სიგნალის ციფრულ და ანალოგურ ფორმატებში ერთდროულად გავრცელება) პერიოდში, საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის განკუთვნილი ციფრული პლატფორმით ღია ეთერით გავრცელდება ასევე სხვა სატელევიზიო არხებიც.[1]

2014 წლის 31 მარტს, ციფრული სატელევიზიო ქსელების უზრუნველყოფისთვის, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ხუთი ლიცენზიის - №MUX-A, №MUX-B, №MUX-C, №MUX-D და №MUX-E მოსაპოვებლად კომისიამ კონკურსი გამოაცხადა. კონკურსში გაიმარჯვა და სამი ლიცენზიით - №MUX-B, №MUX-D და №MUX-E განსაზღვრული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის უფლება შპს „სტერეო+"-მა მოიპოვა. კონკურსში მონაწილე პირების მიერ კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი შესაბამისი საკონკურსო განაცხადების გათხოვის გამო, კონკურსზე არ განხორციელდა №MUX-A და №MUX-C ლიცენზიების გაცემა.

№MUX-B და №MUX-E ლიცენზიებით შპს „სტერეო+"-ს შემდეგი ვალდებულებები დაეკისრა:

- 2015 წლის 17 ივნისამდე, 42 ძირითადი გადამცემი სადგურის გამოყენებით ერთიდაიგივე სამაუწყებლო კონტენტის გავრცელების შესაძლებლობის მქონე გადამცემი ქსელისა და სადისტრიბუციო ქსელის, ასევე შესაბამისი სათაო სადგურის ფორმირების უზრუნველყოფა და 2015 წლის 17 ივნისს ქსელების ექსპლუატაციაში გაშვება;
- ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის DVB-T2 სტანდარტითა და მონაცემთა შემჭიდროვების MPEG 4 ტექნოლოგიით აგება, ხოლო თოთოეულ ქსელში ინფორმაციის გადაცემის წმინდა სიჩქარის არანაკლებ 33.1 მგბ/წმ-ით უზრუნველყოფა;
- შესაბამისი ტელემაუწყებლების[2] არადისკრიმინაციული, ერთგვაროვანი პირობებითა და ხარჯებზე ორიენტირებული/არაუმეტეს საკონკურსო წინადადებით შემოთავაზებული ტარიფით ქსელში დაშვება, გავრცელება და მათთვის ერთგვაროვანი ხარისხის მომსახურების სახეების შეთავაზება (1 მგბ/წმ-ით გავრცელების ყოველთვიური ტარიფი დღგ-ს გარეშე არ უნდა აღემატებოდეს ლიცენზიის მფლობელის მიერ საკონკურსო წინადადებით შემოთავაზებულ ტარიფს - კერძოდ 8,900 ლარს დღგ-ს გარეშე).

№MUX-D ლიცენზიით „სტერეო+"-სს ქსელის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში გაშვებისათვის ვადა (2016 წლის 1 იანვარი) განესაზღვრა.

---

[1] მთავრობის 2014 წლის 10 თებერვლის №206 განკარგულებით მოწონებული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სამაუწყებლო არხები

[2] საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული/ავტორიზებული

კომისიამ ადგილობრივ საეთერო მაუწყებლებს, მათი მოთხოვნის საფუძველზე და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონის და მთავრობის მიერ მოწონებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმების ფორმირებისათვის საჭირო რადიოსიხშირული რესურსი მიანიჭა. კომისიის გადაწყვეტილებით კომპანიებს შეუნარჩუნდათ სამაუწყებლო ლიცენზიებით განსაზღვრული გეოგრაფიული არეალი:

№	კომპანიის დასახელება	ციფრული სამაუწყებლო ზონა	პუნქტი/გადამცემი სადგურის განთავსების ადგილი	სიხშირული მახასიათებლები	
				სატელევიზიო არხი	ცენტრალური სიხშირე (MHz)
1	შპს „ეკომი"	GEO261	ლაგოდეხი	7	186
2	შპს ტელეკომპანია „გურჯაანი”	GEO261	გურჯაანი	11	218
3	შპს ტელეკომპანია „თანამგზავრი”	GEO259	თელავი	10	210
4	შპს ტელე-რადიო კომპანია „თვალი"	GEO259	საგარეჯო	6	178
5	სს „ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანია"	GEO259	რუსთავი	10	210
		GEO259	მარნეული	10	210
		GEO258	ბოლნისი	8	194
6	შპს „ომეგა"	GEO258	მანგლისი	11	218
7	შპს ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთი"	GEO256	გორი	32	562
8	შპს ტელეკომპანია „დია”	GEO256	ხაშური	11	218
9	შპს ტელე-რადიო კომპანია „ბორჯომი"	GEO256	ბორჯომი	8	194
10	შპს სამაუწყებლო კომპანია ”იმერვიზია”	GEO253	ჭიათურა	8	194
11	შპს ტელერადიო კორპორაცია „ინფორმკავშირი ტელევიზია არგო"	GEO253	ზესტაფონი	12	226
12	შპს „იმპერია"	GEO255	ახალციხე	6	178
13	შპს ტელერადიოკომპანია „რიონი”	GEO253	ქუთაისი	37	602
14	შპს დამოუკიდებელი ტელეკომპანია „მეგა-ტვ"	GEO253	ხონი	25	506
15	შპს ტელე-რადიო პრესკომპანია „ზარი"	GEO253	სამტრედია	6	178
16	ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის"	GEO253	ჩხოროწყუ	7	186
		GEO250	წალენჯიხა	7	186
17	შპს დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ეგრისი"	GEO253	სენაკი	11	218
18	შპს დამოუკიდებელი სამაუწყებლო კომპანია „გურია"	GEO252	ოზურგეთი	8	194
19	შპს დამოუკიდებელი ტელერადიოკომპანია „ოდიში"	GEO250	ზუგდიდი	47	682
20	შპს „ტელეარხი 25"	GEO252	ბათუმი	7	186
21	შპს სამაუწყებლო კომპანია „მეცხრე ტალღა"	GEO252	ფოთი	9	202

22	შპს „ევრიკა ტელერადიოკომპანია“	GE0259	თბილისი	30	546
	შპს „ტელეკომპანია კავკასია“				
	ა(ა)იპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივი“				
	შპს „ტელეკომპანია თბილისი“				
	შპს „ტელეკომპანია პიკი“				

ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელების უზრუნველყოფისთვის რადიოსიხშირული რესურსის მფლობელ პირებს შემდეგი ვალდებულები განესაზღვრათ:

- 2016 წლის 1 მარტამდე შესაბამისი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელების ფორმირება;
- ქსელების ფარგლებში არსებული რესურსის ღია საეთერო ან/და მომხმარებლებებისთვის უფასო კრიპტო-კოდირებული სატელევიზიო პროგრამის[1] გასავრცელებლად გამოყენება და ქსელის ფარგლებში არსებულ რესურსთან შესაბამის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების (ხოლო დანარჩენ თავისუფალ რესურსთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებული/ლიცენზირებული ტელემაუწყებლების) არადისკრიმინაციული, ერთგვაროვანი პირობებითა და ხარჯებზე ორიენტირებული ტარიფით დაშვება და მათთვის ერთგვაროვანი ხარისხის მომსახურების სახეების შეთავაზების უზრუნველყოფა.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის ზონაში რადიოსიხსირული რესურსის მფლობელი პირები ვალდებული არიან ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელი ააგონ DVB-T2 სტანდარტითა და მონაცემთა შემჭიდროვების MPEG 4 ტექნოლოგიით, ხოლო ყველა დანარჩენი ადგილობრივი ციფრული ქსელის ოპერატორი უფლებემოსილია ქსელი ააგოს DVB-T სტანდარტითა და მონაცემთა შემჭიდროვების MPEG 2 ტექნოლოგიით.

ციფრულ მიწისზედა ტელემაუწყებლობაზე გადასვლის საკითხზე კომისიაში სამაუწყებლო კომპანიების და დაინტერესებული პირების მონაწილეობით არაერთი შეხვედრა გაიმართა.

მობილურ ქსელში ურთიერთჩართვის ახალი ტარიფი

კომისიის 2014 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, 2015 წლიდან მობილურ ქსელში ურთერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) მომსახურების ზედა ზღვრული ტარიფი 3.5 თეთრამდე შემცირდა. 3.5 თეთრიანი ტარიფი აღნიშნული სეგმენტის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებს - „მაგთიკომს“, „ჯეოსელს“ და „მობიტელს“ („ბილაინი“) დაუდგინდათ.

[1] საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული/ავტორიზებული მაუწყებლების

კომისიის 2013 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით, მობილურ ქსელში ზარის წამოწყება/დასრულების ტარიფის შემცირების გრაფიკი დაწესდა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული მომსახურების ტარიფი 3.5 თეთრამდე 2015 წლის 1 სექტემბრიდან უნდა შემცირებულიყო. თუმცა, მას შემდეგ, რაც კომპანიებმა აუდირებული შემოსავლების და დანახარჯების განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშები წარმოადგინეს, გამოიკვეთა, რომ მიმდინარე დროისთვის გრაფიკით დადგენილი ზედა ზღვრული ტარიფი მნიშვნელოვნად აღემატებოდა კომპანიების მიერ ურთიერთჩართვის მომსახურებაზე გაწეულ დანახარჯებს. აღნიშნული გარემოება კომპანიებს საცალო მომსახურების სუბსიდირების შესაძლებლობას აძლევდა, რაც მესამე პირებს არახელსაყრელ კონკურენტულ პირობებში აყენებდა. სწორედ ამიტომ, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება 3.5 თეთრიანი ტარიფის ვადაზე ადრე, კერძოდ 2015 წლის 1 იანვრიდან ამოქმედების შესახებ.

მობილურ ქსელში ურთიერთჩართვის ტარიფის შემცირების გრაფიკი 2000 წლიდან დღემდე შემდეგნაერად გამოიყურება:

	2000-დან	15.07.05-დან	05.05.08-დან	01.08.10-დან	07.03.11 -დან	01.02.12 -დან	01.03.14 - დან	01.09.14 -დან	01.01.15 -დან
	დღგ-ს და აქციზის გარეშე				*დღგ-ს და აქციზის ჩათვლით*				
მაგთიკომი	22.8	18.8	14.8	8	8	8	6	5	3.5
ჯეოსელი	22.8	18.8	14.8	8	8	8	6	5	3.5
მობიტელი						11	7	5	3.5

*ფასები მოცემულია თეთრებში

საერთაშორისო ზარების ტერმინაციის დროებითი რეგულაცია

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ საქართველოში საერთაშორისო ზარების დასრულების მომსახურებაზე ახალი რეგულაცია დააწესა. კომისიის 2014 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, აღნიშნულ ბაზარზე მხოლოდ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებისთვის (შპს „ჯეოსელი“, შპს „მაგთიკომი“, შპს „მობიტელი“, სს „სილქნეტი“, შპს „ახალი ქსელები“, შპს „ახტელი“, შპს „ივერია ქსელი“, შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“) საერთაშორისო ზარის ტერმინაციის ახალი ქვედა ზღვრული ტარიფები დადგინდა. ზღვრული ტარიფები მობილურ ქსელში - 20 ცენტით (0.2 აშშ დოლარი), ხოლო ფიქსირებულ ქსელში - 12 ცენტით (0.12 აშშ დოლარი) განისაზღვრა.

იგივე ტარიფები (მობილურ ქსელში - 20 ცენტი, ფიქსირებულ ქსელში – 12 ცენტი) დადგინდა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების მიერ სხვა კომპანიების ქსელში საერთაშორისო ზარების დასრულების მომსახურებაზე. აღნიშნული ტარიფი ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც საერთაშორისო ზარი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირის მიერ სხვა ავტორიზებული პირის ქსელში სრულდება.

რაც შეეხება იმ ოპერატორებს, რომლებიც არ არიან მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირები, მათ მიერ სხვა ავტორიზებული პირების ქსელში დასრულების ტარიფები

შემდეგნაირად განისაზღვრა: მობილურ ქსელში - 16 ცენტი (0,16 აშშ დოლარი), ხოლო ფიქსირებულში - 9 ცენტი (0,09 აშშ დოლარი).

ტარიფები 2014 წლის 1 ნოემბრიდან ამოქმედდა და მოქმედების ვადად 2015 წლის 30 აპრილი დადგინდა.

2012 წლიდან 2014 წლის აგვისტომდე საქართველოში საერთაშორისო ზარების ტერმინაციის ქვედა ზღვრული ტარიფი მობილურ ქსელში 10 ცენტს (0.1 აშშ დოლარი), ხოლო ფიქსირებულში 5 ცენტს (0.05 აშშ დოლარი) შეადგენდა. ახალი რეგულაციის ამოქმედების შემდეგ ავტორიზებული პირების მიერ საერთაშორისო ტრაფიკიდან მიღებული შემოსავალი საგრძნობლად გაიზარდა. აღნიშნული ნათლად ჩანს ქვემოთ წარმოდგენილ გრაფიკში, სადაც 2014 წლის ნოემბერში და დეკემბერში შემოსავლების ოდენობა გაცილებით აღემატება ამავე წლის წინა თვეების მაჩვენებელს:



თვე	შემოსავალი
იანვარი	5,228,527
თებერვალი	4,322,970
მარტი	5,249,961
აპრილი	5,390,700
მაისი	5,790,479
ივნისი	5,604,599
ივლისი	6,618,978
აგვისტო	5,385,025
სექტემბერი	4,028,076
ოქტომბერი	3,647,857
ნოემბერი	9,909,693
დეკემბერი	8,305,561

ამასთან ერთად, ცვლილება შევიდა[1] საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც საქართველოში საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურებაზე დაწესდა აქციზის გადასახადი - მობილურ ქსელში ერთ წუთზე 15 თეთრი, ფიქსირებულ ქსელში ერთ წუთზე - 8 თეთრი. წინასწარი გათვლებით, ცვლილების შესაბამისად, საერთაშორისო ზარების ტერმანიციის მომსახურებიდან აქციზის გადასახადის სახით 2015 წელს ბიუჯეტში შეტანილმა თანხამ დაახლოებით **50,000,000** ლარი უნდა შეადგინოს.

საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან და სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებთან დაშვების მომსახურებები

საანგარიშო პერიოდში, ინტერნეტის საცალო ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით კომისიამ შეამცირა საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხების გამოყენების და სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებთან დაშვების მომსახურებებზე ზედა ზღვრული ტარიფები.

კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, 2014 წლის 6 ნოემბერს საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზარზე ქვემოთ ჩამოთვლილი გეოგრაფიული ზონების მიხედვით, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირები განისაზღვრნენ:

- ქ. თბილისი - სს „სილქნეტი“;
- ქ. რუსთავი - სს „სილქნეტი“ და შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“;
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტი - სს „სილქნეტი“ და შპს „ახალი ქსელები“;
- საქართველოს დანარჩენი ქალაქები და მუნიციპალიტეტები - სს „სილქნეტი“.

აღნიშნულ კომპანიებს დაეკისრათ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის, დისკრიმინაციის აკრძალავის, დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის, ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების და სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულებები.

სატარიფო რეგულირების ვალდებულებით კომპანიებს ელექტრონულ საკომუნიკაციო კანალიზაციებში კაბელების გატარების მომსახურებაზე დაუდგინდათ ზედა ზღვრული ტარიფი 370[2] ლარის ოდენობით. 2014 წლამდე საკანალიზაციო არხების გამოყენების ფასი 1,332.19[3] ლარი იყო, რაც ნიშნავს, რომ ტარიფი დაახლოებით **3.6-ჯერ** შემცირდა.

---

[1] ცვლილება ძალაში შევიდა 1 იანვრიდან

[2] ელექტრონულ საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელის გატარების მომსახურებაზე ზედა ზღვრული ტარიფი, გადასახადების გარეშე, 100 მმ-იანი საკანალიზაციო მილის ერთ არხ კილომეტრზე თვეში

[3] გამონაკლისები: თბილისი - 916.71 ლარი, ქუთაისი - 1 109.20 ლარი, რუსთავი - 1 304.45 ლარი, ზუგდიდი - 1 341.21 ლარი, ფოთი - 484.64 ლარი

ზემოთ აღნიშნული ვალდებულებები დაეკისრათ ასევე სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილებთან დაშვების საბითუმო ბაზრის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებს. ზედა ზღვრული ტარიფი ამ მომსახურებაზეც საგრძნობლად შემცირდა და 15.18 ლარის მაგივრად 2.20 ლარით (გადასახადების გარეშე) განისაზღვრა. ამ შემთხვევაში ტარიფი დაახლოებით **7-ჯერ** შემცირდა.

სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებთან დაშვების საბითუმო სეგმენტზე, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირები შემდეგნაირად განისაზღვრნენ:

- ქ. თბილისი - სს „სილქნეტი“, შპს „ახალი ქსელები“, შპს „ახტელი“;
- ქ ქუთაისი - სს „სილქნეტი“, შპს „ახალი ქსელები“;
- ქ. რუსთავი - სს „სილქნეტი“, შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“;
- ქ. ზუგდიდი - სს „სილქნეტი“, შპს „ივერია ქსელი“;
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტი - სს „სილქნეტი“, შპს „ახალი ქსელები“;
- სამტრედიის მუნიციპალიტეტი - სს „სილქნეტი“;
- თერჯოლის მუნიციპალიტეტი - სს „სილქნეტი“, შპს „ახალი ქსელები“;
- საქართველოს დანარჩენი ქალაქები და მუნიციპალიტეტები - სს „სილქნეტი“.

ზღვრული ტარიფების ამოქმედების ვადად 2015 წლის 1 იანვარი დადგინდა.

ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზარზე კონკურენციის კვლევა და ანალიზი

2014 წლის 21 აგვისტოს კომისიამ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზარზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის ჩატარების მიზნით.

ხანგრძლივი განხილვების შემდეგ, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება[1], რომლის შესაბამისად ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებად შპს „კავკასუს ონლაინი“ და სს „სილქნეტი“ დადგინდნენ. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებისთვის 2013 წელს დაკისრებულ სპეციფიკურ ვალდებულებებს, კომისიის გადაწყვეტილებით, სატარიფო რეგულირების ვალდებულება დაემატა, რომლის ფარგლებში „კავკასუს ონლაინს“ და „სილქნეტს“ ზედა ზღვრული ტარიფი, 1 მგბტ/წმ-ზე 32 ლარის (გადასახადებეის გარეშე) ოდენობით განესაზღვრათ.

[1] გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2015 წლის 29 იანვარს

აღნიშნულ გადაწყვეტილებამდე, ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირები გლობალური ინტერნეტის შემსყიდველ ოპერატორებს ოფერტებით დაახლოებით **1.5-2-ჯერ** (ხშირ შემთხვევაში მეტჯერ) მაღალ ტარიფს სთავაზობდნენ.

სააბონტენტო ნომრების პორტაბელურობა

საანგარიშო პერიოდში კომისიამ განიხილა სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრატორის - „შპს მედიაპრო ჯორჯიას“ მიერ პორტირების მომსახურებისთვის ავტორიზებული პირებისთვის დაწესებული ტარიფების სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულებით განსაზღვრულ ვალდებულებებთან შესაბამისობის საკითხი. 2014 წლის 13 ივნისს კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისადაც შპს „მედიაპრო ჯორჯიას“ მიერ დადგენილი ტარიფის დებულებასთან შესაბამისობა არ დადასტურდა.

აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, 2014 წლის 26 სექტემბერს კომისიამ ცვლილებები შეიტანა კომისიის დადგენილებით დამტკიცებულ სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულებაში. ცლვილებების თანახმად, შეიცვალა სატელეფონო მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების მიერ პორტირების განმახორციელებელი ადმინისტრატორისთვის პორტირების მომსახურების საფასურის გადახდის პრინციპი. კერძოდ, ნაცვლად თითოეულ სააბონენტო ნომერზე საკონკურსო პირობებით წარდგენილი წლიური ტარიფის გადახდისა, კომპანიებს დაევალათ ფიქსირებული წლიური საფასურის გადახდა.

დებულებაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ცვლილებები შევიდა კომისიასა და არსებულ ადმინისტრატორს - „მედიაპრო ჯორჯიას“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, რომლის მიხედვითაც სატელეფონო კომპანიებისთვის პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალურ ბაზასთან სინქრონიზაციის (მთლიანი თანხის 2%) და პორტირების უზრუნველყოფის მომსახურების (მთლიანი თანხის 98%) ფიქსირებული წლიური საფასური 500 000 ევროთი (ექვივალენტი ლარში) განისაზღვრა. აღნიშნული თანხა ავტორიზებულ პირებზე დებულებით განსაზღვრული ფორმულის მიხედვით უნდა განაწილდეს.

ფიქსირებული წლიური ტარიფი ძალაში 2015 წლის 1 იანვრიდან შევიდა.

ზემოთ აღნიშნულ ცვლილებას წინ უძღვოდა ტარიფის ეტაპობრივი კლება. 2014 წლის 1 ივლისიდან კომისიასთან კონსულტაციების შედეგად შპს „მედიაპრო ჯორჯიამ“ დაიწყო ტარიფების შემცირება, რაც საბოლოოდ მანამდე არსებული ტარიფის 75%-იან ფასდაკლებას გულისხმობდა.

2014 წლის ივლისამდე პორტირების მომსახურებისთვის კომპანიები მათ მფლობელობაში არსებულ თითოეულ სააბონენტო ნომერზე წლიურად 0.38 ევროს იხდინდნენ, ხოლო

პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალურ ბაზასთან სინქრონიზაციის მომსახურების საფასური 12 ევროთი იყო განსაზღვრული. ავტორიზებული პირების მიერ გადასახდელი ჯამური თანხა მნიშვნელოვნად აღემატებოდა 2014 წელს დადგენილ ტარიფს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2011 წლიდან 2014 წლამდე ავტორიზებული პირების მიერ „მედიაპრო ჯორჯიასთვის“ პორტირების მომსახურების უზრუნველყოფისთვის გადახდილი ჯამური წლიური თანხები და ასევე 2015 წელს მათ მიერ გადასახდელი თანხა:

2011 წელი	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
6,336,877 ლარი (2,852,650.00 ევრო)	6,689,811 ლარი (3,094,842.00 ევრო)	5,908,434 ლარი (2,535,917.00 ევრო)	4,516,576 ლარი (2,003,627.00 ევრო)	500,000 ევრო

*2011და 2012 წლის მონაცემები ეყრდნობა შპს „ბიურო აუდიტის“ მიერ აუდირებულ ანგარიშგებებს, ხოლო 2013 და 2014 წლის ინფორმაცია - შპს „მედიაპრო ჯორჯიას“ მოგების გადასახადის გაანგარიშების დეკლარაციებს
**2011-2014 წლების ფასები ევროში არის მიახლოვებითი, დათვლილია წლიური საშუალო კურსის მიხედვით

კომისიის მიერ შესაბამის დებულებაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, შეიცვალა ასევე კომისიასა და ადმინისტრატორს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ვადის პირობები. კერძოდ, დადგენილი ვადის (10 წელი) ნაცვლად, ხელშეკურლების ვადა კონკურსის გამოცხადების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით განისაზღვრება. კომისიის და ადმინისტრატორის ურთიერთშეთანხმების საფუძელზე შესაძლებელი იქნება ხელშეკრულების ვადის შეცვლა.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი

2014 წელს კომისიამ მაუწყებლებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ხანგრძლივი განხილვების შემდეგ, საკანონმდებლო წინადადების სახით შეიმუშავა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი. პროექტი ეხებოდა რეკლამის სხვადასხვა სახეობის რეგულაციებს და იგი მიზნად ისახავს საქართველოში სამაუწყებლო ბაზრის მოწესრიგებას და აღნიშნული ბაზრის მოთამაშეებისთვის თანაბარი პირობების შექმნას, მაუწყებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის აუდიო–ვიზუალური მომსახურების (AVMS) დირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანის გზით.

კომისიის მიერ მომზადებულ პროექტში ინიცირებულია ახალი რეგულაციების დაწესება რეკლამის ისეთი სახეობებზე, როგორიცაა სამაუწყებლო რეკლამა, სპონსორობა, ტელეშოპინგი და პროგრამაში პროდუქტის/მომსახურების განთავსება (ე.წ. „Product Placement”). კომისიის აზრით, თითოეული მათგანისთვის, AVMS დირექტივის შესაბამისად, რეგულირების სხვადასხვა რეჟიმი და ლიმიტი უნდა დაწესდეს: მაუწყებლის ეთერში რეკლამის და ტელეშოფინგის დრო არ უნდა აღემატებოდეს სამაუწყებლო საათის 20%-ს (12 წუთი). ამას გარდა, პროექტის თანახმად, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს Teleshpooing Spot-სა

(ტელეშოპინგის სახე, რომელიც სარეკლამო წყვეტაში ინტეგრირებულია როგორც კომერციული რეკლამა) და Teleshopping Windows-სთან (ტელეშოპინგის სახე, რომელიც ეთერში გადის როგორც სამაუწყებლო პროგრამა და რომლის ხანგრძლივობა აღემატება 15 წუთს) დაკავშირებული რეგულაციები (AVMS დირექტივის 23-ე და 24-ე მუხლები).

AVMS დირექტივის მე-10 მუხლის შესაბამისად, პროექტში გამიჯნულია სასპონსორო და სარეკლამო მომსახურება. მაუწყებლების ახალ წესებზე ეტაპობრივად გადასვლის მიზნით, პროექტით შეთავაზებულია სპონსორობასთან დაკავშირებული ახალი რეგულაციების 2016 წლის 15 იანვრიდან ამოქმედება, მანამდე კი უნდა შემცირდეს არსებული სასპონსორო მომსახურების ლიმიტი, კერძოდ მაუწყებლებს სპონსორობისთვის 1 საათის განმავლობაში უნდა განესაზღვროთ 4 წუთი, ანუ ჯამში რეკლამისთვის და სპონსორობისთვის 16 წუთი.

AVMS დირექტივის მე-11 მუხლის საფუძველზე პროექტში შეტანილია სარეკლამო მომსახურების ახალი სახე - პროგრამაში პროდუქტის/მომსახურების განთავსება (ე.წ. “Product Placement”). ე.წ “Product Placement”-თან დაკავშირებით პროექტი არ ითვალისწინებს დროით შეზღუდვებს, თუმცა განსაზღვრულია ის პირობები, რომლის გათვალისწინებით უნდა მოხდეს პროგრამაში პროდუქციის/მომსახურების განთავსება. ე.წ “Product Placement”-ის განთავსების პირობებიც სრულ შესაბამისობაშია AVMS დირექტივის მოთხოვნებთან.

რაც შეეხება საზოგადოებრივ მაუწყებელს, პროექტის მიხედვით, საზოგადოებრივ მაუწყებელზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ეთერში იკრძალება ტელეშოპინგი, ხოლო სპონსორობა და კომერციული რეკლამის განთავსება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სპორტული რეპორტაჟის, საერთაშორისო ფესტივალისა და კონკურსის დროს, კერძოდ კი აღნიშნული პროგრამის დაწყების, ბუნებრივი ინტერვალისა და დასრულების დროს.

პროექტის მომზადების პროცესში, კომისიამ ჩაატარა საქართველოს სატელევიზიო ბაზრის სარეკლამო და სასპონსორო ბლოკების კვლევა. კომისიამ გაანალიზა საქართველოს 10 კომერციული არხის და საზოგადოებრივი მაუწყებლის სარეკლამო და სასპონსორო ბლოკების სტატისტიკური მონაცემები. აღნიშნულზე დაყრდნობით კომისიამ განიხილა ის შესაძლო სცენარები, რაც შეიძლება განვითარდეს რაკლამიდან და სპონსორობიდან მიღებულ სარგებელთან მიმართებაში ახალი რეგულაციის ამოქმედების შემთხვევაში. კვლევის შედეგმა აჩვენა, რომ ლიმიტების დაწესების შემდეგ, მაღალრეიტინგულ სატელევიზიო არხებზე პრაიმ-ტაიმის დროს არსებული ჭარბი სარეკლამო და სასპონსორო დრო ერთის მხრივ გადანაწილდება ამავე არხების სხვა საათებზე, მეორეს მხრივ კი შედარებით მცირე ზომის მაუწყებლებზე და რეგიონალურ ტელევიზიებზე. ამას გარდა, გაძვირდება ბაზარზე სატელევიზიო რეკლამის ფასი, რითაც რეიტინგული არხები შეძლებენ შესაძლო რაოდენობრივი დანაკლისის ფინანსურ დაკომპენსირებას, ხოლო სამომავლოდ ივარაუდება სარეკლამო შემოსავლების ზრდა.

საბოლოოდ კომისიამ საკანონმდებლო წინადადება საქართველოს პარლამენტს წარუდგინა. საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა განიხილა კომისიის პროექტი, მოიწონა და საკანონმდებლო ინიციატივად დაარეგისტრირა საქართველოს პარლამენტში.

AVMS დირექტივით განსაზღრული ვალდებულებების შესასრულებლად საქართველოს გათვალისწინებული აქვს 3 წლიანი პერიოდი, შესაბამისად ცვლილებები უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად. 2014 წელს შემუშავებული საკითხების გარდა, სამომავლოდ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში უნდა აისახოს მაუწყებლების მიერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სურდოთარგმანის უზრუნველყოფასთან, გამოძახებითი აუდიო ვიზუალური მომსახურების დანერგვასთან და ფარულ რეკლამასთან დაკავშირებული რეგულაციები.

სტანდარტიზაცია

სატელეკომუნიკაციო სფეროში ევროპული სტანდარტების დანერგვის მიზნით, კომისია, როგორც ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის (ETSI) ნაციონალური სტანდარტების ორგანო (NSO) საქართველოში, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის სააგენტოსთან ერთად, რეგულარულად ნაციონალურ სტანდარტებად არეგისტრირებს ETSI-ს მიერ აღიარებულ სტანდარტებს. 2014 წელს დარეგისტრირდა ETSI-ს მიერ აღიარებული 38 ევროპული სტანდარტი.

წინასაარჩევნო მონიტორინგი

2014 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებისთვის კომისიამ წინასაარჩევნო მედია-მონიტორინგი ჩაატარა. მონიტორინგს დაექვემდებარა 37 სატელევიზიო არხი.

სამაუწყებლო კომპანიების მონიტორინგი არჩევნებამდე 50 დღით ადრე - 2014 წლის 26 აპრილს დაიწყო და 14 ივნისამდე გრძელდებოდა. არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შემდეგ მონიტორინგი კვლავ განახლდა და 4 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდი მოიცვა. კომისია, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, აკონტროლებდა ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსების მართლზომიერებას. მონიტორინგი მოიცავდა ასევე ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების, წინასაარჩევნო დებატების და წინასაარჩევნო აგიტაციის ანალიზს.

2014 წლის თვითმართველობის არჩევნებისთვის ჩატარებული მედია-მონიტორინგის ანგარიშები განთავსებულია კომისიის ვებგვერდზე - www.gncc.ge.

კომისიის მიერ მიღებული დადგენილებები

2014 წელს კომისიამ 9 დადგენილება მიიღო. კერძოდ:

დადგენილება №1, 2014 წლის 27 მარტი - „კერძო (საერთო ან სპეციალიზებული) მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელთა და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამაუწყებლო ბადეში არასახელმწიფო ენაზე წარმოებული ფილმის პირველადი წარმოების ენაზე (ენებზე), საქართველოს სახელმწიფო ენაზე დუბლირების გარეშე, საქართველოს სახელმწიფო ენაზე სუბტიტრირებით განთავსების წესის თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 30 ოქტომბრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აღნიშნული დადგენილებით შემცირდა მხატვრული ფილმების სუბტიტრებით გავრცელების ვალდებულების პროცენტული მაჩვენებლი, კერძოდ, 30%-ის ნაცვლად, მაუწყებლებს დაევალათ 1 თვის მანძილზე ეთერში განთავსებული უცხოენოვანი ფილმების 10%-ის სუბტიტრებით განთავსება. იმ შემთხვევაში, თუ 1 თვის მანძილზე მაუწყებელი სამაუწყებლო ბადეში არასახელმწიფო ენაზე წარმოებულ 10 ან ნაკლებ ფილმს განათავსებს, მათგან 1 მაინც უნდა გაეშვას სუბტიტრებით.

დადგენილება №2, 2014 წლის 22 აპრილი – ,,საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს №9 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესში ცვლილებები „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულმა ცვლილებებმა გამოიწვია. №2 დადგენილებით მაუწყებლებს უფასო წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების ვალდებულება მხოლოდ ფასიანი წინაასარჩევნო რეკლამის ეთერში გაშვების შემთხვევაში დაეკისრათ. ამას გარდა, სამაუწყებლო კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების გრაფიკის და ტარიფების კომისიისთვის და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის არჩევნებამდე 55 დღით ადრე წარდგენა.

მაუწყებლებს ასევე დაევალათ ნებისმიერი წინასაარჩევნო სარეკლამო რგოლის სურდოთარგმანით განთავსება. სურდოთარგმანის წარმოდგენის ვალდებულება საარჩევნო სუბიექტს ევალება. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა არჩევნებთან დაკავშირებული გადაცემის დროსაც უნდა დაურთოს სურდოთარგმანი.

განხორციელებული ცვლილებების თანახმად, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიამ და რადიომ უნდა უზრუნველყონ კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის გარდა სხვა პარტიებისთვის და საარჩევნო ბლოკებისთვის წინაასაჩევნო სარეკლამო დროის თანაბრად გამოყოფა.

დადგენილება №3, 2014 წლის 30 აპრილი - „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 16 მარტის №3 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მას შემდეგ, რაც „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც შეიცვალა კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის წესი და მას ირჩევს თავად კომისია, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია შემუშავებულიყო კომისიის თავმჯდომარის არჩევის წესი. კომისიის დებულებაში შევიდა ცვლილებები, კერძოდ გაიწერა კომისიის თავმჯდომარის არჩევნების დანიშვნის და ჩატარების პროცედურები.

დადგენილება №4, 2014 წლის 06 მაისი - „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" დამტკიცების თაობაზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელ წესებში" ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, კომისიის საქმიანობის მარეგულირებელ წესებში შევიდა დამატებები, რომლითაც განისაზღვრა კომისიის მიერ საკუთარ ვებგვერდზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია.

დადგენილება №5, 2014 წლის 26 სექტემბერი - „სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2010 წლის 6 ივლისის №3 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

აღნიშნული დადგენილებით მიღებული ცვლილებები წარმოდგენილია „სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის" ქვეთავში (გვ. 18-19)

დადგენილება №6, 2014 წლის 02 ოქტომბერი - „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

აღნიშნული დადგენილებით შეიცვალა კომისიის მიერ ზღვრული ტარიფების დადგენისას გამოყენებული ძირითადი დატვირთული კაპიტალის ღირებულების და კაპიტალის საშუალო შეწონილი განაკვეთის (WACC) გაანგარიშების წესი. მიღებული ცვლილებით WACC უნდა დადგინდეს კომისიის გადაწყვეტილებით. ამას გარდა ჩამოყალიბდა ძირითადი დატვირთული კაპიტალის მომსახურების სახეებზე განაწილების პრინციპები.

დადგენილება №7, 2014 წლის 07 ნოემბერი - „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

აღნიშნული დადგენილებით მიღებული ცვლილებები აღწერილია „რადიოსიხშირული რესურსის ეფექტურად მართვა/მეოთხე თაობის (4G) ინტერნეტმომსახურების“ ქვეთავში (გვ. 7-10).

დადგენილება №8, 2014 წლის 07 ნოემბერი - „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ

აღნიშნული დადგენილებით მიღებული ცვლილებები აღწერილია „რადიოსიხშირული რესურსის ეფექტურად მართვა/მეოთხე თაობის (4G) ინტერნეტმომსახურების“ ქვეთავში (გვ. 7-10).

დადგენილება №9, 2014 წლის 04 დეკემბერი - „ლიცენზიით გათვალისწინებული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გადაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“

აღნიშნული დადგენილებით მიღებული ცვლილებები აღწერილია „რადიოსიხშირული რესურსის ეფექტურად მართვა/მეოთხე თაობის (4G) ინტერნეტმომსახურების“ ქვეთავში (გვ. 7-10).

ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების შესაბამისად კომისიის მიერ გამოცხადებული კონკურსები

კომუნიკაციების ეროვნული კომისია ორ წელიწადში ერთხელ განსაზღვრავს ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებს. 2013 წელს საზოგადოებრივი კვლევის

საფუძველზე, კომისიამ მომდევნო 2 წლისთვის მაუწყებლობის ყველაზე მოთხოვნადი კატეგორიები დაადგინა[1].

კომისია მაუწყებლობის ლიცენზიების გასაცემად კონკურსებს ლიცენზიის მაძიებელთა განცხადებების საფუძველზე აცხადებს. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ სიხშირეზე სხვადასხვა სახეობის ლიცენზიების მიღებაზეა მოთხოვნა, კონკურსი ცხადდება კომისიის მიერ დადგენილ პრიორიტეტულ მაუწყებლობაზე.

2014 წელს რადიომაუწყებლობის ლიცენზიების გასაცემად კომისიამ 15 კონკურსი გამოაცხადა, აქედან 14 კერძო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად, 1 - სათემო რადიომაუწყებლობის:

გეოგრაფიული არეალი	სიხშირე	ლიცენზიის სახე/სახეობა	გამარჯვებული
ქ.ბათუმი	FM 90.9	კერძო საერთო რადიომაუწყებლობა	შპს "ტვ სახელოსნო მაესტრო"
ქ.ბათუმი	FM 102.8	კერძო საერთო რადიომაუწყებლობა	შპს „ევროპა პლუს თბილისი“
ქ.ფოთი	FM102.1	კერძო საერთო რადიომაუწყებლობა	შპს "ევროპა პლუს თბილისი"
ქ.დმანისი	FM103.8	კერძო საერთო რადიომაუწყებლობა	შპს "ევროპა პლუს თბილისი"
ქ.ხაშური	FM 102.3	კერძო საერთო რადიომაუწყებლობა	შპს "ევროპა პლუს თბილისი"
ქ.ბოლნისი	FM 101.5	კერძო საერთო რადიომაუწყებლობა	შპს "ნიუკომი"
ქ. რუსთავი	FM 100.6	კერძო საერთო რადიომაუწყებლობა	შპს "ნიუკომი"
ქ.თბილისი	FM 104.7	კერძო საერთო რადიომაუწყებლობა	შპს "კომპანია მედიასტრიმი"
ქ.ზუგდიდი	FM 99.1	კერძო საერთო რადიომაუწყებლობა	ჩაიშალა
ქ.ქუთაისი	FM 99.3	კერძო საერთო რადიომაუწყებლობა	ჩაიშალა
ქ.ბათუმი	FM 99.0	კერძო საერთო რადიომაუწყებლობა	ჩაიშალა
ქ.თელავი	FM 98.7	კერძო საერთო რადიომაუწყებლობა	ჩაიშალა
დაბა გუდაური	FM 103.9	კერძო საერთო რადიომაუწყებლობა	შპს "რადიოცენტრი პლუსი"
დაბა გუდაური	FM 104.7	კერძო სპეციალიზებული (გასართობი)	შპს კომპანია „მედიასტრიმი“

[1] დეტალური ინფორმაცია კომისიის მიერ დადგენილი ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების შესახებ იხილეთ კომისიის 2013 წლის ანგარიშში

		რადიომაუწყებლობა	
ქ.ნინოწმინდა	FM 100.1	სათემო რადიომაუწყებლობა	ააიპ „რადიო-ტვ ნორი”

რაც შეეხება ტელემაუწყებლობას, იქიდან გამომდინარე რომ მიმდინარეობს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი, ანალოგური მაუწყებლობისთვის ლიცენზიების გაცემა შეჩერებულია.

ავტორიზაცია, სალიცენზიო/სანებართვო საქმიანობა

<u>ავტორიზაცია</u>

- „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2014 წელს ავტორიზაცია გაიარა 24 პირმა (დანართი 1)
- „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ავტორიზაცია გაიარა 65 პირმა (დანართი 2)

<u>ავტორიზაციის გაუქმება</u>

- ავტორიზაცია გაუუქმდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებულ 6 პირს (დანართი 3)
- ავტორიზაცია გაუუქმდა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებულ 17 პირს (დანართი 4)

<u>ლიცენზიების გაცემა</u>

- გაიცა მაუწყებლობის 17 ლიცენზია (დანართი 5)
- გაიცა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის 5 ლიცენზია (დანართი 6)

<u>ლიცენზიების გაუქმება</u>

- გაუქმდა მაუწყებლობის 7 ლიცენზია[1] (დანართი 7)

<u>ლიცენზიების მოდიფიცირება</u>

- მოდიფიცირდა მაუწყებლობის 16 ლიცენზია (დანართი 8)
- მოდიფიცირდა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის 1 ლიცენზია (დანართი 9)

<u>ლიცენზიების მოქმედების ვადის გაგრძელება</u>

- მოქმედების ვადა გაუგრძელდა მაუწყებლობის 11 ლიცენზიას (დანართი 10)
- მოქმედების ვადა გაუგრძელდა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის 1 ლიცენზიას (დანართი 11)

[1] აქედან 1 (შპს „მზერა ტვ“) გაუქმდა საკუთარი ინიციატივით, დანარჩენი 6 კი კომისიის მიერ, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დროით მაუწყებლობის შეწყვეტის გამო

ლიცენზიების გადაცემაზე თანხმობის მიცემა/გადაპირება

- განხორციელდა მაუწყებლობის 3 ლიცენზიის გადაცემაზე თანხმობის მიცემა (დანართი 12)
- განხორციელდა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის 4 ლიცენზიის გადაპირება (დანართი 13)

ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვების გაცემა

- გაიცა ნუმერაციის რესურსით სარგებლობის 33 ნებართვა (დანართი 14)

არაავტორიზებადი საქმიანობისთვის ნებართვების გაცემა

- არაავტორიზებადი საქმიანობისთვის გაიცა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის 259 ნებართვა

ავტორიზაცია, სალიცენზიო/სანებართვო საქმიანობა 2011-2014 წლებში

ავტორიზაცია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად			
2011 წელი	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი
	29 პირი	32 პირი	24 პირი

ავტორიზაცია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად			
2011 წელი	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი
65 პირი	67 პირი	72 პირი	65 პირი

ავტორიზაციის გაუქმება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად			
2011 წელი	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი
	0	2 პირი	6 პირი

ავტორიზაციის გაუქმება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად			
2011 წელი	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი
33 პირი	29 პირი	18 პირი	17 პირი

მაუწყებლობის ლიცენზიების გაცემა			
2011 წელი	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი

10 ლიცენზია	12 ლიცენზია	17 ლიცენზია	17 ლიცენზია

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების გაცემა			
2011 წელი	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**
3 ლიცენზია	6 ლიცენზია	5 ლიცენზია	5 ლიცენზია

მაუწყებლობის ლიცენზიების გაუქმება			
2011 წელი	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**
0	1 ლიცენზია	2 ლიცენზია	7 ლიცენზია

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების გაუქმება			
2011 წელი	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**
0	2 ლიცენზია	1 ლიცენზია	0

მაუწყებლობის ლიცენზიების მოდიფიცირება			
2011 წელი	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**
14 ლიცენზია	10 ლიცენზია	22 ლიცენზია	16 ლიცენზია

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მოდიფიცირება			
2011 წელი	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**
0	1 ლიცენზია	1 ლიცენზია	1 ლიცენზია

მაუწყებლობის ლიცენზიების ვადის გაგრძელება			
2011 წელი	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**
25 ლიცენზია	8 ლიცენზია	17 ლიცენზია	11 ლიცენზია

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების ვადის გაგრძელება			
2011 წელი	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**
0	1 ლიცენზია	4 ლიცენზია	1 ლიცენზია

ლიცენზიების გადაცემაზე თანხმობის მიცემა			
2011 წელი	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**
2 ლიცენზია	4 ლიცენზია	6 ლიცენზია	3 ლიცენზია

ლიცენზიების გადაპირება			
2011 წელი	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**
3 ლიცენზია	0	2 ლიცენზია	4 ლიცენზია

ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვების გაცემა			
2011 წელი	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**
	98 ნებართვა	79 ნებართვა	33 ნებართვა

არაავტორიზებადი საქმიანობისთვის ნებართვების გაცემა			
2011 წელი	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**
	274 ნებართვა	260 ნებართვა	259 ნებართვა

დავები/სანქცირება

საანგარიშო პერიოდში კომისიამ განიხილა 3 დავა (დანართი 15). მაუწყებლების[1] მიმართ გამოყენებულ იქნა 23 სანქცია (დანართი 16), ხოლო „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებული პირების მიმართ 29 სანქცია (დანართი 17).

სასამართლო დავები

2014 წელს კომისიამ, როგორც მხარემ, მონაწილეობა მიიღო 43 სასამართლო დავაში, აქედან, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასრულდა 22 საქმე (დანართი 18), 21 (დანართი 19) კი იყო მიმდინარე. დასრულებული დავებიდან კომისიის სასარგებლოდ გადაწყდა 21, ხოლო კომისიის საწინააღმდეგოდ 3 საქმე. კომისიის მიერ გასაჩივრდა 3 საქმე.

[1] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებული ან/და ლიცენზიის მფლობელი პირები

საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესრულება

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის საქმიანობის შედეგების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების (2014 წლის 7 მარტი) შესაბამისად, კომისიას შემდეგი ქმედებების შესრულება დაეკისრა:

- სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის საკითხის განხილვა, რათა ქვეყანაში მოქმედი სისტემა იყოს სამართლიანი და კერძო კომპანიებისთვის დაკისრებული გადასახადი რეალური ხარჯების პრინციპს დაეფუძნოს;
- ინტერნეტის სიჩქარის გაზომვისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვისათვის ყველა ღონისძიების დაუყოვნებლივ განხორციელება;
- შპს „ტელეკომპანია ობიექტივი 2“-ისთვის უკანონოდ ჩამორთმეული სიხშირის საკითხის დაუყევნებლივ განხილვა და მისთვის კუთვნილი სიხშირის დაბრუნების პრობლემის უმოკლეს ვადაში გადაჭრა;
- მაუწყებლების - შპს „სამეგრელო-ზემო სვანეთის ტელერადიოკომპანია სამეგრელოს“, შპს „სპექტრისა“ და შპს „ტელე-რადიო კომპანია თვალის“ მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე საქმის წარმოების დაუყოვნებლივ დაწყება.

დადგენილებით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად 2014 წელს კომისიამ შემდეგი სამუშაოები განახორციელა:

22 იანვარს კომისიის მიერ ძალადაკარგულად გამოცხადდა კომისიის №51/6[1] გადაწყვეტილება და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დროით მაუწყებლობის შეწყვეტის გამო გაუქმდა შპს ,,სამეგრელო-ზემო სვანეთის ტელერადიოკომპანია სამეგრელოს“ კუთვნილი №B121 და №B122 ლიცენზიები.

27 მარტს კომისიამ შესაბამისობის დეკლარაციის კომისიაში წარმოუდგენლობისა და ვებგვერდზე გამოუქვეყნებლობის გამო სანქცია (ჯარიმა 2500 ლარის ოდენობით) დააკისრა შპს „ტელე-რადიო კომპანია თვალს“.

24 აპრილს ძალადაკაგრულად გამოცხადდა კომისიის №216/1[2] გადაწყვეტილება და №43/2[3] გადაწყვეტილების მე-3 ნაწილის მე-5 სტრიქონი და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დროით მაუწყებლობის შეწყვეტის გამო გაუქმდა შპს „სპექტრის“ კერძო მაუწყებლობის №B77 ლიცენზია.

---

[1] აღნიშნული გადაწყვეტილებით (2012 წლის 13 იანვარი) მოდიფიცირდა და მოქმედების ვადა გაგუგრძელდა შპს ,,სამეგრელო-ზემო სვანეთის ტელერადიოკომპანია სამეგრელოს“ №419 (მოდიფირების შემდეგ №B121) და №420 (მოდიფიცირების შემდეგ №B122) ლიცენზიებს

[2] აღნიშნული გადაწყვეტილებით (2005 წლის 8 აპრილი) შპს „სპექტრს“ გადაეცა კერძო მაუწყებლობის ლიცენზია

[3] აღნიშნული გადაწყვეტილებით (2006 წლის 3 თებერვალი) შპს „სპექტრის“ №1470 ლიცენზიას შეეცვალა ნუმერაცია და მიენიჭა №B77

5 ივნისს კომისიამ ძალადაკარგულად გამოაცხადა კომისიის №158/4[1] გადაწყვეტილება, ამას გარდა მოქმედების ვადა გაუგრძელდა და მოდიფიცირდა შპს „ტელეკომპანია ობიექტივი 2“-ის სამაუწყებლო ლიცენზია.

2014 წლის 13 ივნისს კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისადაც შპს „მედიაპრო ჯორჯიას“ მიერ დადგენილი ტარიფის დებულებასთან შესაბამისობა არ დადასტურდა. სააბონენტო ნომრების პორტაბელურობასთან დაკავშირებული საქმიანობის დეტალური მიმოხილვა წარმოდგენილია „სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის“ ქვეთავში (გვ. 18-19).

2014 წელს კომისია აქტიურად მუშაობდა საქართველოში ინტერნეტის მომსახურების ხარისხის საკითხის სისტემურად მოწესრიგების მიმართულებით. საკითხი კომპლექსურია, მოიცავს როგორც შესაბამისი ტექნიკური გადაწყვეტილების, ისე სამართლებრივი ბაზის, ინტერნეტით მომსახურების ხარისხის თაობაზე ოპერატორსა და აბონენტს შორის გაფორმებულ/გასაფორმებელ ხელშეკრულებაში სათანადო სავალდებულო მუხლების შემუშავებას.

კომისიამ შეისწავლა მსოფლიოს მასშტაბით ინტერნეტის მომსახურების ხარისხის მონიტირინგის არსებული საუკეთესო პრაქტიკა (აშშ-ს, ევროკავშირის, პოლონეთის, ლატვიის მაგალითებზე), რის საფუძველზეც მუშაობა მიმდინარეობს საქართველოს რეალობისთვის საუკეთესო გადაწყვეტილების შესარჩევად.

ანტიკორუფციული გეგმა

2014 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მონაწილეობა მიიღო ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განახლებასა და 2014-2016 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს კორუფციის პრევენცია ეროვნულ მარეგულირეელ ორგანოებში.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა

2014 წელს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან მოქმედ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში სულ 190 საჩივარი შევიდა, აქედან 62 - წერილობითი, 60 - სატელეფონო და 68 - ზეპირი.

[1] აღნიშნული გადაწყვეტილებით (2008 წლის 21 მარტი) გაუქმდა შპს ,,ტელეკომპანია ობიექტივი 2“-ის №499 ლიცენზია

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2014 წელს სამსახურში შემოსული საჩივრების თემატიკა რეაგირების სტატუსის მიხედვით:

თემატიკა	**რაოდენობა**	**დაკმაყოფილდა**	**ნაწილობრივ დაკმაყოფილდა/ მიეცა განმარტება**	**დარღვევა არ დადასტურდა**
უხარისხო სატელეკომუნიკაციო მომსახურება	28	26	1	1
სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიღების დაყოვნება ან/და დაუკმაყოფილებლობა	22	12	10	0
სატელეკომუნიკაციო მომსახურების საფასურის დარიცხვის სისწორე	20	6	6	8
ინტერნეტ მომსახურებაზე ფასის ზრდა	16	0	16	0
სატელეკომუნიკაციო ანძებისგან გამოწვეული რადიაცია	11	0	11	2
სატელეკომუნიკაციო მომსახურების შეწყვეტა	9	8	0	1
პორტირების მომსახურების დაუკმაყოფილებლობა, პორტირებასთან დაკავშირებული სხვა ხარვეზები	6	4	2	0
სპამი	5	3	2	0
მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურების პაკეტების ცვლილება	4	2	0	2
არასათანადო ინფორმირება	4	4	0	0
სააბონენტო ნომრის გასხვისება	3	3	0	0
სხვა	69	62	7	0
ჯამი		**123**	**55**	**12**

*საჩივრების საერთო რაოდენობა და თემატიკის მიხედვით გადანაწილებული საჩივრების რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგან ზოგიერთი საჩივარი ერთდორულად რამდენიმე საკითხს ეხებოდა

ქვემოთ მოცემულია მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში შესული საჩივრების თემატიკა კომპანიების მიხედვით. ცხრილში გამოყენებულია 68 საჩივარი:

თემა	**სილქნეტი**	**კავკასუს ონლაინი**	**მაგთიკომი**	**ჯეოსელი**	**მობიტელი**	**GNN**	**სუპერ ტვ**	**სხვა**[1]
სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიღების დაყოვენბა ან/და დაუკმაყოფილებლობა	7		1		1	2	3	3
უხარისხო სატელეკომუნიკაციო	6	2						2

[1] საზოგადოებრივი მაუწყებელი, სს "გლობალ კონტაქტ კონსალტინგი, შპს "დელტა კომმი", შპს "ნიუნეტი", შპს "მაიფონი", შპს "მაქსტელკომი", შპს "ახტელი", შპს "7 არხი"

მომსახურება								
სატელეკომუნიკაციო ანძებისგან გამოწვეული რადიაცია	4		1	4				
ნაგებობებში დატანილი კაბელები	1							
კერძო საკუთრების ტერიტორიაზე განთავსებული კაბელები	2							
არასათანადოდ ინფორმირება ცხელი ხაზის მხრიდან	1							
სატელეკომუნიკაციო მომსახურების საფასურის დარიცხვის სისწორე	1		3	3			1	3
სააბონენტო ნომრის გასხვისება	1			1	2			
მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურების პაკეტების ცვლილება	1	3						
ინტერნეტ პაკეტების ფასის ზრდა	1	4						
ზუმერის ნაცვლად რეკლამის განთავსება			1					
სპამი			1					
პორტირების მომსახურების დაუკმაყოფილებლობა, პორტირებასთან დაკავშირებული სხვა ხარვეზები			1			1		
ჯამი	**25**	**9**	**8**	**8**	**3**	**3**	**4**	**8**

მომხმარებელთა ინფორმირება

2014 წელს საზოგადოებრივი დამცველის სამსახური აქტიურად მუშაობდა მომხმარებლების ინფორმირების ამაღლების კუთხით. მომხმარებლებისთვის საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად სამსახურმა სხვადასხვა საკომუნიკაციო არხი გამოიყენა.

2014 წელს შეიქმნა ვებგვერდი www.momkhmarebeli.gncc.ge. ვებგვერდზე განთავსებულია პრეტენზიის დაფიქსირების დეტალური ინსტრუქცია, კომპანიების ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია, სამსახურის საქმიანობის ამსახველი საინფორმაციო მასალები და სხვა სასარგებლო ინფორმაცია.

მომხმარებლებთან ორმხრივი ურთიერთობის დამყარების მიზნით, საანგარიშო პერიოდში შეიქმნა ასევე Facebook-ის ოფიციალური გვერდი - Communications Ombudsman. სიახლეების

გაცნობის გარდა, საზოგადოებას აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენებით შეუძლია პრეტენზიების დაფიქსირება.

არასასურველი სარეკლამო შეტყობინება

საანგარიშო პერიოდში კომისიამ და მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურმა შეისწავლეს მობილური და ფიქსირებული ტელეფონიის სეგმენტზე არასასურველი სარეკლამო შეტყობინებების (ე.წ „სპამი“) დარეგულირების საერთაშორისო პრაქტიკა. აღნიშნულის საფუძველზე კომისიამ შეიმუშავა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს წარუდგინა საქართველოში არასასურველი შეტყობინების დარეგულირების შესაძლო მიდგომები და ხედვა.

კომისიის აზრით, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით უნდა შეიქმნას „სპამის“ რეგულირების ერთიანი სისტემა, რაც გულისხმობს ნებისმიერი სახის „სპამის“ (sms, ელ-ფოსტა, საფოსტო წერილი და სხვა) ერთიანი მექანიზმით მართვას. კომისიას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია შეიქმნას მონაცემთა ცენტრალური რეესტრი, რომლის საშუალებითაც აბონენტს თავად შეეძლება უარი განაცხადოს კონკრეტული წყაროებიდან ინფორმაციის მიღებასა თუ დაბლოკვაზე. ამას გარდა, კომისიის ხედვით, უნდა შემუშავდეს საცნობარო მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების (118-08, 118-09) მიერ პერსონალური ინფორმაციის გაცემის კონტროლის ეფექტური მექანიზმი. აღნიშნულის პარალელურად, კომისის აზრით, აუცილებელია საკანონმდელო ცვლილებების შემუშავება, კერძოდ ცვლილებების შეტანა „ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტში.

პრობლემატური საკითხები

2014 წელს მომხმარებელთა ინტერესების სამსახურის მიერ გამოიკვეთა საკომუნიკაციო სფეროში არსებული პრობლემატური საკითხები, მათ მოსაგვარებლად სამსახურის სამოქმედო გეგმებში გაიწერა იმ აქტივობების ჩამონათვალი, რომლის განხორციელებაშიც სამსახურმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს:

- სატელეკომუნიკაციო მომსახურების ხარისხის კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება;
- ინტერნეტ მომსახურების ხარისხის და ფასის შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში მოსახლეობის (ეთნიკური უმცირესობების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩათვლით) ინფორმირების უზრუნველყოფა ;
- მაუწყებლების მხრიდან არასრულწლოვნების მავნე ზეგავლენისგან დაცვის მექანიზმის გაუმჯობესება და დახვეწა;
- დომენის გაცემის წესის რეგულირების რეკომენდაციების შემუშავება;

- „ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტში ცვლილებების შეტანა.

საერთაშორისო თანამშრომლობა

„ასოცირების შესახებ“ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება

ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის სფეროში საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა გულისხმობს ამ მიმართულებით საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირში უკვე დანერგილ და აპრობირებულ საკანონმდებლო ბაზასთან თანხვედრაში მოყვანას. კონკრეტულად კი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების ჰარმონიზაციას, როგორიც არის ლიცენზირება/ავტორიზაცია, დაშვება და ურთიერთჩართვა, უნივერსალური მომსახურების დანერგვა, კონკურენციის წინასწარი რეგულირება, რადიოსიხშირული რესურსის მართვა და მისი ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფა და ა.შ.

„ასოცირების შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერით საქართველო აღნიშნული მოთხოვნების შესრულების ვალდებულებას იღებს, რომლის ფარგლებშიც უნდა დაინერგოს შემდეგი ევროდირექტივები:

- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურებების ზოგადი მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ დირექტივა;
- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურებების ავტორიზაციის შესახებ დირექტივა;
- ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებთან და მასთან დაკავშირებულ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერჩართვის შესახებ დირექტივა;
- უნივერსალური მომსახურებისა და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებსა და მომსახურებებთან დაკავშირებით მომხმარებელთა უფლებების შესახებ დირექტივა;
- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ დირექტივა;
- ევროპული გაერთიანების ფარგლებში რადიოსიხშირული სპექტრის პოლიტიკის მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ დირექტივა;
- აუდიოვიზუალური მედიის მომსახურებების უზრუნველყოფის შესახებ დირექტივა.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ასოცირების შესახებ“ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, 2014 წელს კომისია მონაწილეობას იღებდა შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებაში. კომისია აქტიურად იყო ჩართული „ასოცირების შესახებ“ შეთანხმების ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან დაკავშირებული ნაწილის (DCFTA) განხორციელების საკოორდინაციო უწყებათაშორისი ქვეკომისიის მუშაობაში.

ევროპული გაერთიანების ფარგლებში რადიოსიხშირული სპექტრის პოლიტიკის მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ დირექტივის გათვალისწინებით კომისიის მიერ განხორციელებული სამუშაო მოცემულია „რადიოსიხშირული რესურსის ეფექტურად მართვა/მეოთხე თაობის (4G) ინტერნეტმომსახურების“ ქვეთავში (გვ. 7-10), ხოლო აუდიოვიზუალური მედიის მომსახურებების უზრუნველყოფის შესახებ დირექტივის შესაბამისად შესრულებული სამუშაო - „“მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის“ ქვეთავში (გვ. 19-21).

ევროკავშირის დახმარების პროგრამა

საანგარიშო პერიოდში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ევროპული მარეგულირებელი ნორმების დანერგვის მიზნით, გადაწყვიტა ესარგებლა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით (ENP Action Plan) განსაზღვრული დამეგობრების (Twining) მექანიზმით. დამეგობრების ინსტრუმენტი არის ევროკავშირის დახმარების პროგრამა, რომელიც გულისხმობს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების და ბენეფიციარი ქვეყნების ადმინისტრაციული ორგანოების თანამშრომლობას.

კომისიამ შეიმუშავა კონცეფცია, რომლითაც გაიწერა კომისიის ძირითადი პრიორიტეტები, პროექტის მოსალოდნელი შედეგები და პროექტის ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმა. კომისიის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტებია: ქართულ და ევროპულ მარეგულირებელ ნორმებს შორის შეუსაბამობების დადგენა, კომისიის დამოუკიდებლობისა და ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებული შესაბამისი ბაზრების ხელახლა განსაზღვრა, ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განვითარების ხელშეწყობის მიზნით მარეგულირებელი ნორმების შემუშავება, როუმინგის (საერთაშორისო/ეროვნული) რეგულირების მარეგულირებელი მიდგომის განსაზღვრა და უნივერსალური მომსახურების მარეგულირებელი კანონმდებლობის პროექტის შემუშავება. კონცეფცია მოწონებულ იქნა პროექტის კოორდანატორების მიერ, კერძოდ საქართველოს მთავრობის და ევროკომისიის ბრიუსელის ოფისის წარმომადგენლების მიერ.

აღნიშნული პროექტისთვის ევროკომისიამ 1,300,000 ევრო გამოყო. პროექტის ხანგრძლივობა მოიცავს 18 თვეს და დაწყების სავარაუდო თარიღი 2016 წელია.

აღმოსავლეთ პარტნიორობის (Eap) პროექტი

2014 წელს, აღმოსავლეთ პარტნიორობის (Eap) პროექტის ფარგლებში, კომისიამ სხვადასხვა მნიშვნელოვან ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების ქსელის (EaPeReg Network)[1] მე-4 პლენარულ სესიაზე, რომელიც პრაღაში გაიმართა, ქსელის წევრებმა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ქსელის 2015 წლის თავმჯდომარედ აირჩიეს. მანამდე კი, 1-2 აპრილს კომისიამ EaPeReg ქსელის მე-3 პლენარულ სესიას უმასპინძლა.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში, 2014 წლის 11 აპრილს კომისიასა და ჩეხეთის რესპუბლიკის ელექტრონული კომუნიკაციების ოფისს (CTU) შორის ურთიერთთანამშომლობის მემორანდუმს მოეწერა ხელი. პარტნიორობა ითვალისწინებს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ინფორმაციის გაცვლის მიზნით კონსულტაციების გაწევას, შეხვედრებისა და სემინარების ორგანიზებას.

ამას გარდა, 23-25 სექტემბერს კომისიამ უმასპინძლა ევროკომისიის ინიცირებითა და დაფინანსებით გამართულ სამუშაო შეხვედრას რადიოსიხშირული სპექტრის მართვის თემაზე.

მსოფლიო სატელეკომუნიკაციო/ICT ინდიკატორების რიგით მე-12 სიმპოზიუმი – WTIS 2014

საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) ტელეკომუნიკაციების განვითარების ბიუროს ორგანიზებით, ყოველწლიურად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მსოფლიო სატელეკომუნიკაციო/ICT ინდიკატორების სიმპოზიუმი – WTIS იმართება. აღნიშნული ღონისძიება წარმოადგენს მთავარ საერთაშორისო ფორუმს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სფეროში სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის თემაზე.

საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირთან ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, გადაწყდა მსოფლიო სატელეკომუნიკაციო/ICT ინდიკატორების რიგით მე-12 სიმპოზიუმის საქართველოში ჩატარება.

WTIS 2014 23-26 ნოემბრის ჩათვლით, ქ. თბილისში, სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიაში“ ჩატარდა. სიმპოზიუმს საქართველოს მთავრობამ და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ უმასპინძლეს.

2014 წელს პირველად WTIS-ზე გაიმართა ITU-ს ყოველწლიური ანგარიშის - *საინფორმაციო საზოგადოების შეფასება 2014* (*Measuring the Information Society 2014)* პრეზენტაცია. პრეზენტაციაზე დასახელდა ICT-ის განვითარების (IDI) მიმართულებით საუკეთესო 10

[1] EaPeReg ქსელი აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 (აზერბაიჯანი, ბელორუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა) და ევროგაერთიანების 12 (ავსტრია, გერმანია, ესპანეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, შვედეთი, ჩეხეთი) ქვეყნის მარეგულირებელ ორგანოებს აერთიანებს

ქვეყანა. რეიტინგში 166 ქვეყანას შორის პირველი ადგილი დანიამ დაიკავა. სიმპოზიუმის დახურვის ცერემონიალზე ITU-ს ტელეკომუნიკაციების განვითარების ბიუროს ხელმძღვანელმა, ბრაჰიმა სანოუმ, ბოლო 1 წლის განვალობაში ICT–ის განვითარების რეიტინგში ყველაზე დინამიურად პროგრესირებადი 9 ქვეყანა დააჯილდოვა, რომელთა შორის საქართველოც მოხვდა. საქართველომ 83-ე ადგილიდან, 5 ადგილით წინ, 78-ე ადგილზე გადაინაცვლა.

სიმპოზიუმის ფარგლებში ასევე ჩატარდა საინფორმაციო სესია, დისკუსიები და პანელური განხილვები შემდეგ საკითხებზე:

- საქართველოში ICT სექტორში არსებული მდგომარეობა და აღნიშნულ სფეროში სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება;
- ICT სექტორის 2015 წლის შემდგომი განვითარების გეგმა და სამომავლო პრიორიტეტები;
- დიდი მოცულობის მონაცემების (Big Data) გამოყენება;
- ICT-ის სტატისტიკური მონაცემების ხარისხი, ღია მონაცემების პოლიტიკა და ICT4D-ის (ICT for Development) შეფასების მიმართულებით გაწეული სამუშაოები;
- სატელეკომუნიკაციო/ICT ინდიკატორების (EGTI) და შინამეურნეობის ინდიკატორების (EGH) ექსპერტთა ჯგუფების მუშაობის შედეგები.

საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ საინფორმაციო სესია 23 ნოემბერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ გამართეს.

სესიაზე კომისიის ინფორმაციულ-ანალიტიკურმა დეპარტამენტმა მოხსენება წარადგინა. მოხსენება მოიცავდა სატელეკომუნიკაციო სფეროს ზოგად მიმოხილვას, კომისიის საქმიანობას აღწერას, საქართველოში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სფეროში მონაცემთა შეგროვების და დამუშავების სისტემის მიმოხილვას, კომისიის ორი ახალი ინოვაციური პროექტის - ანალიტიკური პორტალის (www.analytics.gncc.ge) და ციფრული ინტერაქტიული რუკის პრეზენტაციას. კომისიის პროექტებმა მაღალი შეფასებები მიიღო როგორც ITU-ს, ისე სხვა ექსპერტების მხრიდან.

WTIS 2014-მა საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია, მას 250-ამდე მონაწილე დაესწრო მსოფლიოს 79 ქვეყნიდან. სიმპოზიუმში მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის წევრებმა, კერძოდ კი მსოფლიოს მასშტაბით შესაბამისი სამინისტროების, მარეგულირებელი ორგანოების, სატელეკომუნიკაციო კომპანიების და ეროვნული სტატისტიკური სამსახურების ხელმძღვანელებმა და ICT თემაზე მომუშავე სპეციალისტებმა.

აღსანიშნავია, რომ სატელეკომუნიკაციო სფეროში მსგავსი დონის ღონისძიება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ რეგიონში პირველად ჩატარდა. სიმპოზიუმმა დიდი გავლენა იქონია მსოფლიო სატელეკომუნიკაციო ბაზარზე საქართველოს წარმოჩინებაზე.

მაუწყებლებლობის მარეგულირებელი ორგანოების ევროპული პლატფორმის (EPRA) შეხვედრა

2014 წელს კომისიამ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებას უმასპინძლა. 8-10 ოქტომბერს კომისიის ორგანიზებით მაუწყებლობის მარეგულირებელი ორგანოების ევროპული პლატფორმის (EPRA) რიგით მე-40 შეხვედრა გაიმართა. კონფერენციას ევროპის 40-ზე მეტი ქვეყნის 130-ამდე მონაწილე ესწრებოდა.

შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ მარეგულირებელი ორგანოების ხელმძღვანელები, ასევე EPRA-ს მუდმივმოქმედი დამკვირვებლების - ევროკომისიის, ევროპის საბჭოს, ევროპის აუდიოვიზუალური ობსერვატორიის წარმომადგენლები. კონფერენციაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: აუდიოვიზუალური მედია სერვისების რეგულაცია, ციფრული მაუწყებლობა, სატელეკომუნიკაციო სფეროში მომხმარებელთა უფლებების დაცვა და მარეგულირებელი ორგანოების ფინანსური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

მაუწყებლებლობის მარეგულირებელი ორგანოების ევროპული პლატფორმა ევროპის 52 მარეგულირებელ ორგანოს აერთიანებს. ორგანიზაციის მიზანია წევრ ქვეყნებს შორის მაუწყებლობის რეგულირების თემებზე დისკუსიების და განხილვების გამართვა. EPRA-ს შეხვედრები ხშირად მაუწყებლობის სფეროში საკანონმდებლო საკითხებთან დაკავშირებით კონკრეტულ შემთხვევებსა თუ გადაწყვეტილებებზე მსჯელობას ეთმობა. კომუნიკაციების ეროვნული კომისია EPRA-ს წევრი 2011 წლიდანაა და იგი აქტიურად იღებს მონაწილეობს EPRA-ს მიერ ორგნიზებულ სამუშაო შეხვედრებში.

სხვა აქტივობები

ზემოთ აღნიშნული აქტივობების გარდა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ საქართველოს ინტერესების წარდგენის და გამოცდილების გაზიარების მიზნით, 2014 წელს კომისიამ სხვადასხვა მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებას უმასპინძლა, ასევე მონაწილეობა მიიღო არაერთ შეხვედრაში. თანამშრომლობის თაობაზე შეთანხმება შედგა რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციასთან.

საანგარიშო პერიდოში კომისიამ შემდეგ ღონისძიებებს უმასპინძლა:

- ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის (ETSI) სემინარი ახალი ტექნოლოგიების და ახალი სტანდარტების თემაზე, 15-16 მაისი;
- სემინარი ინტერნეტის ურთიერთგაცვლის ცენტრის (IXP) თემაზე, 5-6 აგვისტო (თანაორგანიზატორები: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, ინტერნეტ საზოგადოება (Internet Sociaty), ევროპის ინტერნეტის ურთიერთგაცვლის ცენტრების ასოციაცია (Euro IX), ევროპული IP ქსელების საკოორდინაციო ცენტრი (RIPE NCC)).

კომისიამ მონაწილეობა მიიღო ქვემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებში:

- რეგიონალური შეხვედრა დსთ-სა და ევროპის ქვეყნებისთვის თემაზე „ინფრასტრუქტურის ერთობლივი გამოყენება, როგორც ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების ხელშეწყობის ინსტრუმენტი“ - 20-22 მაისი, კიშინოვი, მოლდოვის რესპუბლიკა (ორგანიზატორი - საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი (ITU);
- სატელეკომუნიკაციო/ICT ინდიკატორების ექსპერტთა ჯგუფის რიგით მე-5 შეხვედრა (EGTI-14) - 17-19 სექტემბერი, ჟენევა, შვეიცარია (ორგანიზატორი - საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი (ITU);
- საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) სრულუფლებიან კონფერენცია (PP-14) - 20 ოქტომბერი-7 ნოემბერი, ბუსანი, სამხრეთ კორეის რესპუბლიკა;
- მსოფლიო რადიოკომუნიკაციის სემინარი (WRS-14) - 8-12 დეკემბერი, ჟენევა, შვეიცარია (ორგანიზატორი - საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი (ITU);
- ფოსტის და ტელეკომუნიკაციების ადმინისტრაციების (CEPT) WG FM-ის შემსწავლელი ჯგუფის მიერ გამართული შეხვედრები ბუდაპეშტში, უნგრეთში, ტრონდჰეიმში, ნორვეგიაში, სოფია-ანტაპოლისში და საფრანგეთში;
- მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის (ICANN) სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტის შეხვედრა და შეხვედრის ფარგლებში ორგანიზებული მინისტერიალი ინტერნეტის მმართველობის თემაზე.

საანგარიშო პერიოდში სიხშირეების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე ორმხრივი თანამშრომლობის თაობაზე მოლაპარაკება შედგა გერმანიის ელექტროენერგიის, გაზის, ტელეკომუნკაციების, ფოსტისა და რკინიგზის მარეგულირებელ ორგანოსა (Bundesnetzagentur) და კომისიას შორის. თანამშრომლობა გულისხმობს 700 მჰც ზოლის შემდგომ ჰარმონიზაციას, რადიოსიხშირული სპექტრის ღირებულების შეფასებას და სხვა.

2014 წელს კომისიის და აზერბაიჯანის კავშირგაბმულობისა და მაღალი ტექნოლოგიების სამინისტროს წარმომადგენლების შეხვედრაზე ხელი მოეწერა პროტოკოლს სასაზღვრო რეგიონებში CDMA ტექნოლოგიების ერთობლივი გამოყენებისას გასხივებული ენერგიის შეზღუდვისა და 790-862 მჰც სიხშირულ ზოლში LTE ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ.

მოლაპარაკებები გაიმართა ასევე თურქეთის საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების ადმინისტრაციასთან. მხარეებმა ხელი მოაწერეს შეხვედრის პროტოკოლს 790-862 მჰც სიხშირულ ზოლში LTE ტექნოლოგიების გამოყენებისა და ორი ქვეყნის საზღვრისპირა რეგიონებში ციფრული მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობის სადგურებისთვის 470-790 მჰც სიხშირულ ზოლში სიხშირეების მინიჭების შესახებ.

ახალი ვებგვერდი

2014[1] წელს შეიქმნა კომისიის ახალი ვებგვერდი (www.gncc.ge). განახლებული ვებგვერდი არის უფრო მარტივი და მოსახერხებელი. www.gncc.ge-ზე განთავსებულია (ქვეყნდება) კომისიის 2014 წლის 6 მაისის №4 დადგენილებით განსაზღვრული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია. ვებგვერდს დაემატა ასევე საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნისა და მიღების ფუნქცია.

მედია გაშუქება

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, 2014 წელს კომისიის საქმიანობა მუდმივად შუქდებოდა მედია საშუალებების მიერ.

კომისიის შესახებ წამყვან სატელევიზიო არხებზე დაახლოებით 140 სიუჟეტი გავიდა, ხოლო საინფორმაციო სააგენტოების და ბეჭდური მედიის საშუალებით დაახლოებით 925 საინფორმაციო მასალა გამოქვეყნდა.

ქვემოთ ჩამოთვლილია კომისიასთან დაკავშირებული ის საკითხები რომელსაც ყველაზე დიდი ყურადღება დაეთმო მედიის მხრიდან:

- ცვლილებები კომისიის შემადგენლობაში;
- მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანამდებობაზე - თამთა ტეფნაძის დანიშვნა;
- ციფრულ მიწისზედა ტელემაუწყებლობაზე გადასვლა;
- მეოთხე თაობის (4G) ფართოზოლოვანი მომსახურება;
- მობილურ ქსელში ურთიერთჩართვის მომსახურებაზე ახალი ტარიფის დაწესება;
- საერთაშორისო ზარების ტერმანაციის მომსახურებაზე ახალი ტარიფების დაწესება;
- სამაუწყებლო ლიცენზიების გაცემა;
- საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან და სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებთან დაშვების მომსახურებებზე ახალი ტარიფების დაწესება;
- მხატვრული ფილმების სუბტიტრებით განთავსების წესის ცვლილება;
- კომისიის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ელექტრონული მარეგულირებელი ორგანოების ქსელის (EaPeReg Network) თავმჯდომარედ არჩევა;
- მაუწყებლებლობის მარეგულირებელი ორგანოების ევროპული პლატფორმის (EPRA) რიგით მე-40 შეხვედრის საქართველოში ჩატარება;
- მსოფლიო სატელეკომუნიკაციო/ICT ინდიკატორების რიგით მე-12 სიმპოზიუმის (WTIS 2014) საქართველოში ჩატარება.

[1] ვებგვერდი გაეშვა 2015 წლის დასაწყისში

თავი III. ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის დარგების განვითარების ტენდენციების მიმოხილვა

2014 წელს ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურებაზე ავტორიზებული პირების ერთობლივმა შემოსავალმა 1,073 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2013 წლის მაჩვენებელზე 1.3%-ით მეტია, მაუწყებლების ერთობლივმა შემოსავალმა კი 101 მლნ ლარი - წინა წლის მაჩვენებელზე 21.2%-ით მეტი. 2014 სატელეკომუნიკაციო მომსახურების საცალო სეგმენტიდან მიღებულმა შემოსავალმა 770 მლნ ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის მთლიანი შიდა პროდუქტის (ნომინალურ ფასებში) 2.87%-ს შეადგენს, 0.07%-ით მეტს 2013 წლის მაჩვენებელზე.









2014 წელს ავტორიზებული და მაუწყებლობის ლიცენციის მქონე პირების მიერ მიღებულ შემოსავლებს წყაროების მიხედვით შემდეგი სახე აქვთ:

-	2013	2014
ტელეკომუნიკაცია	**1,058,716,170**	**1,072,530,139**
საცალო	**752,321,560**	**769,649,148**
მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის გამოყენებით გაწეული საცალო მომსახურება	460,002,633	449,216,511
ფიქსირებული სადენიანი ქსელის გამოყენებით გაწეული საცალო ხმოვანი მომსახურება	52,029,478	48,073,928
ფიქსირებული უსადენო ქსელის გამოყენებით გაწეული საცალო ხმოვანი მომსახურება	22,811,206	16,893,439
ფიქსირებული სადენიანი ქსელის გამოყენებით გაწეული მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება	118,768,633	138,484,178
ფიქსირებული უსადენო ქსელის გამოყენებით გაწეული მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება	15,886,431	19,358,307
VoIP საცალო მომსახურება	5,879,474	6,180,464
მაუწყებლობის ტრანზიტი	48,909,523	52,588,997
სხვა საცალო საკომუნიკაციო მომსახურება	28,034,183	38,853,323
საბითუმო	**306,394,610**	**302,880,991**
საბითუმო ხმოვანი მომსახურება	237,382,936	222,523,720
საბითუმო მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება	39,999,340	45,692,235
ქსელის ელემენტებთან დაშვება	18,140,774	17,824,115
სხვა საბითუმო საკომუნიკაციო მომსახურება	10,871,559	16,840,921
მაუწყებლობა	**83,678,475**	**101,452,796**
ტელევიზია	74,315,224	91,916,496
რადიო	9,363,251	9,536,300
სხვა არასაკომუნიკაციო მომსახურება[1]	**46,132,070**	**55,042,300**
სულ	**1,188,526,715**	**1,229,025,235**

2014 წელს სულ 367 მოქმედი[2] ავტორიზებული პირი და მაუწყებელი დაფიქსირდა, აქედან 281-მა მხოლოდ ტელეკომუნიკაციებიდან მიიღო შემოსავალი, 66-მა მხოლოდ მაუწყებლობიდან, 17-მა კი როგორც ტელეკომუნიკაციებიდან, ისე მაუწყებლობიდან. 3-მა ავტორიზებულმა პირმა მარტო არასაკომუნიკაციო შემოსავლის დეკლარირება მოახდინა.

ავტორიზებული პირების/მაუწყებლების კატეგორიების განსასაზღვრად, ტრადიციულად განვიხილავთ შემდეგ სეგმენტებს:

კატეგორია	**წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი**
A	100 მლნ ლარზე მეტი ან ტოლი
B	10 მლნ ლარიდან 100 მლნ ლარამდე
C	1 მლნ ლარიდან 10 მლნ ლარამდე
D	100,000 ლარიდან 1 მლნ ლარამდე
E	100,000 ლარზე ნაკლები

[1] მაგ. შენობა-ნაგებობების და ინვენტარის რეალიზაცია, იჯარა (არასაკომუნიკაციო დანიშნულებით), ტელეფონების რეალიზაცია, საკურსო სხვაობა და ა.შ.

[2] მოქმედად განვიხილავთ პირს, რომელსაც წლის განმავლობაში რაიმე სახის შემოსავალი ჰქონდა





აღსანიშნავია, რომ 2014 წელს 100 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი მხოლოდ 4-მა პირმა მიიღო (A კატეგორიის კომპანიები) და მათ მიერ მიღებული ჯამური შემოსავალი მთელი შემოსავლის 69.3%-ს შეადგენს, იმ პირების ჯამური შემოსავალი კი, ვინც 2014 წელს 100,000 ლარზე ნაკლები შემოსავალი მიიღო (E კატეგორიის 202 პირი) მთელი შემოსავლების 0.7%-ს შეადგენს. ქვემოთ მოგვყავს A,B და C კატეგორიის ოპერატორების ჩამონათვალი შესაბამისი შემოსავლების მითითებით:

ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურებაზე ავტორიზებული პირების და მაუწყებლების შემოსავლები[1] 2014 წელს

	კომპანია	
	A	**852,237,505**
1	მაგთიკომი	314,487,783
2	ჯეოსელი	230,014,834
3	სილქნეტი	167,923,669
4	მობიტელი	139,811,219
	B	**237,358,989**
1	კავკასუს ონლაინი	87,120,470
2	სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2	45,332,692
3	ტელეიმედი	22,282,791
4	გლობალ ერთი	20,776,278
5	ახალი ქსელები	19,530,993

[1] ელექტრონული კომუნიკაციებიდან და მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავალი დღგ-ს და აქციზის გარეშე

6	სისტემ ნეტ	11,723,414
7	სტუდია მაესტრო	10,400,391
8	ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი	10,167,273
9	ახტელი	10,024,688
	C	**88,111,661**
1	რკინიგზის ტელეკომი	9,960,726
2	საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია	8,546,871
3	დელტა-ნეტი	6,482,921
4	სუპერ ტვ	6,178,534
5	Premium Net International SLR-ის ფილიალი საქართველოში	6,174,419
6	მაიფონი	5,645,126
7	დელტა კომმი	5,293,534
8	საქართველოს ტელერადიოცენტრი	4,702,121
9	რადიო ჰოლდინგი ფორტუნა	4,519,537
10	ალექს დეველოპმენტ ჯორჯია	3,587,845
11	ჯეონეთი	2,969,808
12	ჯი-დი-ეს თი-ვი	2,676,359
13	ვიტელ ჯორჯია	2,553,643
14	ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი	2,478,667
15	გლობალ კონტაქტ კონსალტინგი	2,368,130
16	ლაგი	2,342,971
17	ჯი ენ ენ	2,257,276
18	TV ERA	1,919,880
19	ა-ნეტი	1,883,544
20	პელიკომი	1,758,618
21	სამოქალაქო განათლების ფონდი	1,416,338
22	ეკვანტ ჯორჯია	1,278,634
23	რადიო იმედი	1,116,160

მობილური კომუნიკაციები

საქართველოში მობილური აბონენტების[1] რაოდენობამ 2014 წლის ბოლოს (მეოთხე კვარტალში) 5.4 მლნ აბონენტი შეადგინა. 2013 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 8.2%-ით გაიზარდა (410 ათასი აბონენტით), მობილური აბონენტების სიმკვრივემ[2] კი 120.5% შეადგინა.

[1] აბონენტად განიხილება SIM ბარათი, რომლის გამოყენებითაც კვარტლის განმავლობაში ერთხელ მაინც განხორციელდა ან მიღებულ იქნა ხმოვანი ზარი, SMS, MMS, გაწეული იქნა ინტერნეტით ან სხვა დამატებითი მომსახურება, ან დაირიცხა საბონენტო გადასახადი (კომპანიის თანამშრომლების ჩათვლით და სატესტო ბარათების ჩაუთვლელად)

[2] აბონენტების რაოდენობა გაყოფილი ქვეყნის მოსახლეობაზე.





2014 წლის ბოლოს მაგთიკომის საბაზრო წილმა მობილური აბონენტების რაოდენობის მიხედვით 37.6% შეადგინა, ჯეოსელის - 35.2%, მობიტელის - 26.6%, სილქნეტის კი 0.6%.





მობილური ოპერატორების საცალო შემოსავალმა 2014 წელს 454.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2013 წელს მიღებულ საცალო შემოსავალზე 0.1%-ით (400 ათასი ლარით) ნაკლებია.

საცალო შემოსავლის 70.1% ხმოვან მომსახურებებზე მოდიოდა, SMS – 9.9%, ინტერნეტზე - 4.1%, სხვა დამატებით მომსახურებებზე[1] კი ჯამში 16.0%.





თვის განმავლობაში აბონენტისგან მიღებულმა საშუალო შემოსავალმა (ARPU – Average Revenue per User, დღგ-ს და აქციზის ჩაუთვლელად) 2014 წლის ბოლოს (მეოთხე კვარტალში) 6.81 ლარი შეადგინა. 2013 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით იგი 92 თეთრით შემცირდა.



2014 წელს ჯამურმა გამავალმა ტრაფიკმა 8.67 მლრდ. წუთი შეადგინა. 2013 წელთან შედარებით, ტრაფიკი 9.9%-ით გაიზარდა (780 მლნ. წუთით). შესაბამისად გაიზარდა (MOU)[1] -

[1] მობილური ტელევიზია, ვიდეო-ზარი, MMS, როუმინგული მომსახურება, ქსელში ჩართვის საფასური, ა.შ.

თუ 2013 წლის მეოთხე კვარტალში იგი 136 წუთს შეადგინა, 2014 წლის მეოთხე კვარტალში მან 138 წუთი შეადგინა.



მობილური ოპერატორების გამავალი ტრაფიკის უდიდეს ნაწილს - 78.5%-ს - საკუთარ მობილურ ქსელზე დასრულებული ზარები შეადგენს. მას მოსდევს სხვა ოპერატორის მობილურ ქსელზე დასრულებული ზარები - 17.3%. ფიქსირებულ ქსელებზე დასრულებული ზარების წილი 2.2%-ია, საერთაშორისო ზარების - 1.4%. ყველა დანარჩენი ზარების წილმა სულ (ინტერაქტიული, ცხელ ხაზზე განხორციელებული უფასო ზარები) 0.6% შეადგინა.



[1] MOU – Minutes of Use - თვეში საშუალოდ აბონენტის მიერ ნასაუბრები (იგულისხმება მხოლოდ გამავალი ზარები) წუთების რაოდენობა. გამოითვლება შემდეგნაირად: კვარტალში ჯამურად ნასაუბრები წუთები გაყოფილი კვარტალში აბონენტების რაოდენობაზე და გაყოფილი 3-ზე.

2014 წლის მეოთხე კვარტალში საქართველოს ფარგლებში განხორციელებული ზარების (მობილურ და ფიქსირებულ ქსელებზე დასრულებული) საშუალო ტარიფმა (ზარებიდან მიღებული შემოსავალი დღგ-ის და აქციზის ჩათვლით გაყოფილი შესაბამის ტრაფიკზე) 4.0 თეთრი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ტარიფი 16.0%-ით არის შემცირებული, რაც ოპერატორებს შორის მძაფრი კონკურენციით არის გამოწვეული.





მობილური ქსელებიდან წამოწყებულ და ოპერატორის საკუთარ ქსელში (On-net), სხვა მობილური ოპერატორის ქსელში (Other mobile) და ფიქსირებულ ქსელში (Fixed) დასრულებული ზარების საშუალო ტარიფებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა. მათი მნიშვნელობები 2014 წლის მეოთხე კვარტალში შესაბამისად მობილური ოპერატორის საკუთარ ქსელში 2.8 თეთრს, სხვა მობილური ოპერატორის ქსელში 8.5 და ფიქსირებულ ქსელში 7.7 თეთრს შეადგენდა.

SMS მომსახურებით 2014 წლის მეოთხე კვარტალში აბონენტთა 63.4%-მა ისარგებლა. 2014 წელს სულ 6.3 მლრდ SMS გაიგზავნა, რაც 2013 წლის მაჩვენებელზე 700 მლნ SMS-ით (12.5%-ით) მეტია.

2014 წლის მეოთხე კვარტალში ერთი SMS-ის მომხმარებლის მიერ თვეში გაგზავნილი SMS-ების საშუალო რაოდენობამ 148 SMS შეადგინა, რაც 2013 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 5.3%-ით აღემატება.









2014 წლის მეოთხე კვარტალში ინტერნეტმომსახურებით აბონენტების 34.8%-მა ისარგებლა. მოხმარებული ინტერნეტტრაფიკის ოდენობა მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2014 წელს მან 4,996 ტერაბაიტი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მონაცემს 214.3%-ით აღემატება.

გაიზარდა საშუალოდ ერთი მომხმარებლის მიერ მოხმარებული ინტერნეტტრაფიკის ოდენობა. თუ 2013 წლის ბოლოს იგი 123 მბ-ს შეადგენდა, 2014 წლის ბოლოს ამ მაჩვენებლმა 303 მბ შეადგინა (145.8%-ით მეტი). მიუხედავად მოხმარებული ტრაფიკის მნიშვნელოვანი ზრდისა, ოპერატორების მიერ მიღებული შესაბამისი საცალო შემოსავალი მხოლოდ 24.8%-ით გაიზარდა და სულ 41.8 მლნ ლარი შეადგინა.


მობილური ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა (მლნ)
2.0
1.8
1.6
1.4
1.2
1.0
0.8
0.6
0.4
0.2
0.0
2010 2011 2012 2013 2014
აბონენტი (მლნ) 0.79 1.23 1.34 1.59 1.88


მობილური ინტერნეტის მომხმარებლების წილი აბონენტთა საერთო რაოდენობაში
40%
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
2010 2011 2012 2013 2014
სიმკვრივე 19.8% 27.9% 28.6% 31.8% 34.8%


მობილური ინტერნეტით გენერირებული ტრაფიკი (ტერაბაიტი)
6,000
5,000
4,000
3,000
2,000
1,000
0
2010 2011 2012 2013 2014
ტერაბაიტი 182 370 717 1,589 4,996


მოხმარებული მეგაბაიტების რაოდენობა ერთ მომხმარებელზე
350
300
250
200
150
100
50
0
2010 2011 2012 2013 2014
მეგაბაიტი 25 33 52 123 303



ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება

საქართველოში ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზარზე სამი ტექნოლოგია გამოიყენება: ფიქსირებული სადენიანი (PSTN), უსადენო (CDMA) და VoIP (ხმოვანი კავშირი IP პროტოკოლით) ტექნოლოგიები. 2014 წელს ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზარზე სულ 29 კომპანია ოპერირებდა. ფიქსირებულ სადენიან ტექნოლოგიას 13 ავტორიზებული პირი იყენებდა, CDMA – 3, VoIP-ს კი 18[1].



[1] ზოგიერთი კომპანია ერთდროულად რამდენიმე ტექნოლოგიას იყენებს. შესაბამისად, ტექნოლოგიების მიხედვით ოპერატორთა რაოდენობის ჯამი არ უდრის სულ მოქმედი ოპერატორების ჯამს

საქართველოში ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების რაოდენობამ 2014 წლის ბოლოს (მეოთხე კვარტალში) 1.1 მლნ აბონენტი შეადგინა. 2013 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 8.3%-ით (100 ათასი აბონენტით) შემცირდა. ფიქსირებული სატელეფონო მომსახურერების აბონენტების სიმკვრივემ[1] 85.9% შეადგინა.



ფიქსირებული სადენიანი სატელეფონო მომსახურების აბონენტთა რაოდენობა მეტნაკლებად სტაბილურია. 2014 წლის ბოლოს მან 554 ათასი აბონენტი შეადგინა. 2013 წლის ბოლოსთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 1.9%-ით (11 ათასი აბონენტით) შემცირდა.





[1] ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების რაოდენობის შეფარდებულია შინამეურნეობათა რაოდენობაზე

ფიქსირებული სატელეფონო სადენიანი მომსახურების აბონენტების 79.3% თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რუსთავშია თავმოყრილი. სატელეფონო სიმკვრივე საქართველოში არათანაბრად არის განაწილებული. იგი საკმაოდ მაღალია ქვეყნის დიდ ქალაქებში, მაგრამ ძალზედ დაბალია სხვა დასახლებულ პუნქტებში. მაგალითად, თბილისში იგი 106.9%-ს შეადგენს, ქუთაისში - 97.0%-ს, ბათუმში 91.6%-ს, მაშინ როცა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (ზუგდიდის გამოკლებით) იგი 2.2% შეადგენს, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში კი 2.9%-ს. მთლიანად საქართველოში ფიქსირებული სადენიანი სატელეფონო მომსახურების სიმკვრივე 44.2%-ია.





CDMA აბონენტების რაოდენობა 2012 წლამდე სტაბილურად იზრდებოდა, 2012 წლიდან კი კლების ტენდენცია აღინიშნება. თუ 2011 წლის ბოლოს 734 ათასი CDMA აბონენტი ფიქსირდებოდა, 2014 წლის ბოლოს ამ მაჩვენებელმა 492 ათასი აბონენტი შეადგინა.

VoIP ტექნოლოგია საქართველოში ჯერ-ჯერობით სუსტად არის განვითარებული, თუმცა გამოკვეთილი ზრდის ტენდენცია ფიქსირდება. 2014 წლის მეოთხე კვარტალში სულ 51 ათასი VoIP აბონენტი იყო, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 24.4%-ით მეტია (10 ათასი აბონენტით).

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ჯამური საცალო შემოსავალი კლების ტენდენციით ხასიათდება. 2014 წელს საცალო შემოსავალმა სულ 70.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 12.2%-ით ნაკლებია (9.8 მლნ ლარით).





2010-2014 წლებში ფიქსირებული სადენიანი ტელეფონიის შემოსავლები მცირდებოდა. 2014 წელს საცალო შემოსავალმა სულ 47.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 7.8%-ით ნაკლებია (4.0 მლნ. ლარით).

2014 წელს ასევე შემცირდა CDMA ტელეფონიის საცალო შემოსავალი. თუ 2013 წელს CDMA ტელეფონიის საცალო შემოსავალი 23.0 მლნ ლარს შეადგენდა, 2014 წელს მან 16.9 მლნ ლარი შეადგინა (26.5%-ით ნაკლები).

VoIP ტელეფონიის საცალო შემოსავალი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2014 წელს მან 6.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 5.2%-ით (0.3 მლნ ლარით) მეტია.

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების გამავალი ტრაფიკი 2014 წელს შემცირდა. თუ 2013 წელს იგი 2.04 მლრდ. წუთს შეადგენდა, 2014 წელს მან 1.72 მლრდ შეადგინა (15.7%-ით ნაკლები).





ფიქსირებული სადენიანი სატელეფონო მომსახურების გამავალმა ტრაფიკმა 2014 წელს 1.14 მლრდ წთ. შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 14.8%-ით ნაკლებია (199 მლნ წუთით). CDMA ტელეფონიის გამავალმა ტრაფიკმა კიდევ უფრო მეტად მოიკლო: თუ 2013 წელს მან 607 მლნ წუთი შეადგინა, 2014 წელს იგი 489 მლნ წუთი იყო (19.4%-ით ნაკლები).

შედარებით სტაბილურია VoIP ტელეფონიის გამავალი ტრაფიკი. 2014 წელს მან 85 მლნ წუთი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 3.9%-ით ნაკლებია.

ფიქსირებული სადენიანი სატელეფონო მომსახურების ბაზრის ძირითადი მოთამაშეები არიან: სილქნეტი, ახალი ქსელები, ახტელი და საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია (CGC). საქართველოს მასშტაბით, სილქნეტი აბონენტების 63.2%-ს ფლობს, ახალი ქსელები - 19.5%-ს, ახტელი - 11.5%-ს, CGC 4.0%-ს, სხვა დანარჩენი ოპერატორები კი ჯამში 1.8%-ს ფლობენ. ოპერატორების აბონენტთა რაოდენობა და, შესაბამისად, საბაზრო წილები, სტაბილურია. აქვე აღსანიშნავია, რომ ახალი ქსელები, ახტელი და CGC ურთიერთდამოკიდებული აფილირებული პირები არიან.





CDMA ტელეფონიის ბაზარზე სამი ოპერატორია წარმოდგენილი: მაგთიკომი, სილქნეტი და ქართული სატელეფონო კომპანია ჯტს (GTC). მაგთიკომი, აბონენტების რაოდენობის თვალსაზრისით, ბაზრის 91.4%- ფლობს, სილქნეტი - 9.8%-ს, GTC კი 0.2%-ს.

VoIP ტელეფონიის ბაზარზე სულ 18 კომპანია ოპერირებს. მათ შორის ყველაზე მეტი აბონენტი სილქნეტს ჰყავს. იგი ბაზრის 48.7%-ს ფლობს. მას მოსდევს ჯეონეთი - 25.5%, კავკასუს ონლაინი - 6.0%, მაიფონი - 5.8%. დანარჩენი ოპერატორების წილი ჯამში 14.0%-ს შეადგენს.



ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურება

საქართველოში ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების აბონენტების რაოდენობამ 2014 წლის ბოლოს 603 ათასი აბონენტი შეადგინა. 2013 წლის ბოლოსთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 14.4%-ით (76 ათასი აბონენტით) გაიზარდა. ფიქსირებული ფართოზოლოვანი აბონენტების სიმკვრივემ[1] 42.2% შეადგინა.







ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურებიდან მიღებული საცალო შემოსავალი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2014 წელს საცალო შემოსავალმა 159.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2013 წლის მაჩვენებელზე 19.4%-ით (25.9 მლნ. ლარით) მეტია. სტაბილურია ერთი

[1] ფიქსირებული ფართოზოლოვანი აბონენტების რაოდენობის შეფარდება შინამეურნეობათა რაოდენობაზე

ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების აბონენტიდან მიღებული საშუალო შემოსავლის (ARPU) მნიშვნელობა. 2014 წლის ბოლოს მან 23.29 ლარი შეადგინა.

საქართველოში ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების აბონენტების უმეტესი ნაწილი 2014 წელს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიას იყენებდა (52.2%). შემდეგ ადგილზე არის DSL მომსახურება - 34.9%, WiFi – 11.5% და WiMax – 1.2%. ყველა დანარჩენი სახის ტექნოლოგიებს (Canopy, გამოყოფილი ხაზი, თანამგზავრი) ჯამში ფართოზოლოვანი აბონენტების საერთო რაოდენობის 0.1% ეკავათ.



2014 წლის ბოლო კვარტლის მონაცემებით, სულ ფიქსირებულ ფართოზოლოვან მომსახურებას 160 პირი ეწეოდა, ოპტიკურ-ბოჭკოვან მომსახურებას 33 ავტორიზებული პირი, DSL მომსახურებას 17 პირი, WiMax – 4 პირი, WiFi-ს კი 137 პირი.





DSL ტექნოლოგიით მომსახურების მიმღები აბონენტების რაოდენობამ 2014 წლის ბოლოს 211 ათასი აბონენტი შეადგინა. 2013 წლის ბოლოსთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 4.3%-ით (9400 აბონენტით) შემცირდა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელით მომსახურების მიმღები აბონენტების რაოდენობის ზრდის ტემპი შედარებით მაღალია. 2014 წლის ბოლოს 315 ათასი ოპტიკურ-ბოჭკოვანი აბონენტი დაფიქსირდა, რაც 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 27.0%-ით (67 ათასით) მეტია.

კლების ტენდენციით ხასიათდება **WiMax** ტექნოლოგია. აბონენტების რაოდენობამ 2014 წლის ბოლოს 7,164 აბონენტი შეადგინა, რაც 2013 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით 34.1%-ით ნაკლებია.



	DSL	Fiber
2010	164,557	85,953
2011	199,189	125,132
2012	211,172	180,786
2013	220,161	248,186
2014	210,734	315,289



	WiFi	WiMax
2010	915	4,918
2011	6,224	7,031
2012	17,652	8,676
2013	47,635	10,868
2014	68,413	7,164

განსაკუთრებული ზრდა ფიქსირდება **WiFi** ტექნოლოგიის ბაზარზე. WiFi მომსახურების აბონენტების რაოდენობამ 2014 წლის მეოთხე კვარტალში 69.7 ათასი აბონენტი შეადგინა. 2013 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 46.5%-ით (22.1 ათასი აბონენტით) გაიზარდა.

DSL ტექნოლოგიით ინტერნეტმომსახურება გეოგრაფიისა და ოპერატორების ჭრილში

2014 წლის მეოთხე კვარტლის მდგომარეობით, საქართველოში სულ 211 ათასი DSL აბონენტი იყო. აბონენტების 40.6% (86 ათასი აბონენტი) თბილისშია თავმოყრილი, ქუთაისში - 11.6% (24 ათასი), ბათუმში - 11.0% (23 ათასი აბონენტი), რუსთავში - 1.6% (3.4 ათასი), ფოთში - 1.8% (3.7 ათასი აბონენტი), დანარჩენ საქართველოში კი სულ 33.3% (70 ათასი აბონენტი).

აბონენტების 76.4%-ს სილქნეტი ფლობს, ახალი ქსელები - 13.7%-ს, ახტელი - 6.3%-ს, კავკასუს ონლაინი - 1.5%-ს, საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია (CGC) - 0.8%-ს, ყველა სხვა ოპერატორის წილი კი ჯამში 1.3%-ს შეადგენს. აქვე აღსანიშნავია, რომ ახალი ქსელები, ახტელი და CGC ურთიერთდამოკიდებულ აფილირებული პირები არიან.





ოპტიკურ-ბოჭკოვანი მომსახურება გეოგრაფიისა და ოპერატორების ჭრილში

2014 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებით, საქართველოში სულ 315 ათასი ოპტიკურ-ბოჭკოვანი მომსახურების აბონენტი იყო. მათი 73% (230 ათასი აბონენტი) თბილისში იყო თავმოყრილი, რუსთავში - 8.7% (27 ათასი), ბათუმში - 6.6% (21 ათასი აბონენტი), სხვა დასახლებულ პუნქტებში კი იგი ნაკლებად არის გავრცელებული - 11.7% (სულ 37 ათასი აბონენტი).

აბონენტების 52.4%-ს კავკასუს ონლაინი ფლობდა, სილქნეტი - 25.3%-ს, კავკასიის ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია - 7.0%-ს, ა-ნეტი - 5.3%, ახალი ქსელები - 4.1%,

დელტა-ნეტი - 3.7%, ახტელი - 0.9%, ყველა სხვა ოპერატორის წილი კი ჯამში 1.4%-ს შეადგენდა.





WiMax ტექნოლოგია

საქართველოში 2014 წლის მეოთხე კვარტლის მდგომარეობით, საქართველოში სულ 7.1 ათასი WiMax აბონენტი იყო. WiMax მომსახურების ბაზარზე ყველაზე მეტი აბონენტი ვიტელ-ჯორჯიას ჰყავს - 87.0% (6.2 ათასი აბონენტი).



WiFi მომსახურება

WiFi მომსახურება საქართველოში ყველაზე სწრაფად განვითარებადი ტექნოლოგიაა. აღსანიშნავია, რომ იგი ძირითადად რეგიონებში ვითარდება, იქ, სადაც სადენიანი ინტერნეტი ნაკლებად არის ხელმისაწვდომი. საქართველოს 10 უდიდეს ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, ფოთი, გორი, ხაშური, სენაკი, სამტრედია და ზუგდიდი) WiFi აბონენტების წილი მხოლოდ 25.0%-ს შეადგენს.

ნიშანდობლივია, რომ სხვა ტექნოლოგიებისგან განსხვავებით, WiFi ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო წილის მქონე გამოკვეთილი ოპერატორი არ არის. ბაზარზე 137 მცირე კომპანია ოპერირებს, რომელთაგან ყველაზე დიდი საბაზრო წილი 9.0%-ს შეადგენს (გლობალკომი).





სატელეფონო ნომრების პორტაბელურობა

მობილური ნომრის პორტაბელურობის მომსახურების დანერგვიდან (2011 წლის 15 თებერვლიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) სულ 442 ათასი ნომრის პორტირება განხორციელდა. 2011-2014 წლებში პორტირების შედეგად ყველაზე მეტი აბონენტი მაგთიკომის ქსელში გადავიდა - 222.5 ათასი, მას მოსდევს ჯეოსელი - 159.6 ათასი, მობიტელი - 59.9 ათასი და სილქნეტი - 140 აბონენტი. აღსანიშნავია, რომ პორტირების შედეგად მიღებული და დაკარგული აბონენტების რაოდენობის ბალანსის (სხვაობის) მიხედვით, მაგთიკომმა 55.2 ათასი აბონენტი შეიძინა, მობიტელმა - 2.3 ათასი, ჯეოსელმა 57.4 ათასი აბონენტი დაკარგა, სილქნეტმა კი 4 აბონენტი.







ფიქსირებული ნომრის პორტაბელურობის მომსახურების დანერგვიდან (2011 წლის 1 დეკემბრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) სულ 5,203 ნომრის პორტირება განხორციელდა. ყველაზე მეტი პორტირება სილქნეტში მოხდა - 1,902 ნომერი, მას მოსდევს ჯეონეთი - 1,085 ნომერი. სხვა ქსელზე პორტირებული ნომრების რაოდენობის თვალსაზრისითაც სილქნეტი ლიდერობს. მისი ქსელი 2,781-მა ნომერმა დატოვა, მას მოსდევს მაგთიკომი - 879 ნომერი. მიღებული და დაკარგული ნომრების სხვაობის თვალსაზრისით ყველაზე მეტი ნომერი ჯეონეთმა შეიძინა - 1,066 ნომერი, ყველაზე მეტი ნომერი კი სილქნეტმა დაკარგა - 879 ნომერი.


პორტირებული ფიქსირებული ნომრების რაოდენობა
2,500
2,000
1,500
1,000
500
0
2011
2012
2013
2014
რაოდენობა
819
2,032
1,194
1,158


პორტირებული ფიქსირებული ნომრების განაწილება 2011-2014 წლებში
3,000
2,500
2,000
1,500
1,000
500
0
-500
-1,000
-1,500
სილქნეტი
ჯეონეთი
მაგთიკომი
ახალი ქსელები
ახტელი
კავკასუს ონლაინი
გლობალ ერთი
დანარჩენი
მიღებული 1,902 1,085 17 933 199 483 221 292
გადასული 2,781 19 841 728 342 242 12 145
სხვაობა -879 1,066 -824 205 -143 241 209 147

მაუწყებლობის ტრანზიტი

საქართველოში მაუწყებლობის ტრანზიტის მიმწოდებელი ოპერატორების აბონენტების რაოდენობა სტაბილურად იზრდება. 2014 წლის ბოლოს სულ 497.3 ათასი აბონენტი დაფიქსირდა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 36.5%-ით (133.0 ათასი აბონენტით) მეტია. მაუწყებლობის ტრანზიტორების აბონენტების სიმკვრივემ[1] 39.0% შეადგინა.





იზრდება მაუწყებლობის ტრანზიტიდან მიღებული შემოსავალი. 2014 წელს მან 49.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 7.5%-ით მეტია (3.7 მლნ ლარი).

[1] მაუწყებლობის ტრანზიტორების აბონენტების რაოდენობის შეფარდება ქვეყანაში შინამეურნეობათა რაოდენობაზე



2014 წლის ბოლო კვარტლის მონაცემებით, საქართველოში მაუწყებლობის ტრანზიტის მისაწოდებლად ყველაზე ხშირად ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირი გამოიყენება. ამ ტექნოლოგით მოსარგებლე აბონენტების წილი 2014 წლის მეოთხე კვარტალში 25.9%-ს შეადგენდა. მას მოსდევს თანამგზავრის გამოყენებით მიწოდებული მაუწყებლობის ტრანზიტი - 25.1%, რადიოსიხშირით - 23.8%, კოაქსიუალური - 17.1%, xDSL – 7.3%, ინტერნეტ-ტელევიზია -0.8%.

2014 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა **ოპტიკურ-ბოჭკოვანი** მაუწყებლობის ტრანზიტის აბონენტთა რაოდენობა და მან 128.7 ათასი აბონენტი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 64.0%-ით (50.2 ათასი აბონენტით) მეტია.

ასევე მნიშნველოვნად გაიზარდა **რადიოსიხშირით** მიწოდებული მაუწყებლობის ტრანზიტის აბონენტთა რაოდენობა - მან 118.3 ათასი აბონენტი შეადგინა რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 94.0 ათასი აბონენტით (386.8%-ით!) მეტია. აბონენტთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა ძირითადად ორი კომპანიის - „ტელერადიოკომპანია მთაწმინდის“ და „სუპერტივის“ ხარჯზე მოხდა, რომელთა აბონეტთა რაოდენობა 2014 წლის მანძილზე შესაბამისად 3,430-დან 48,920-მდე („ტელერადიოკომპანია მთაწმინდა“) და 3,445-დან 50,567-მდე („სუპერტივი“) გაიზარდა.

შემცირდა მაუწყებლობის ტრანზიტის **კოაქსიალური** ტექნოლოგიის გამოყენებით მიმღებ აბონენტთა რაოდენობა. 2014 წლის მეოთხე კვარტალში ამ ტექნოლოგიით სულ 85.2 ათასი აბონენტი სარგებლობდა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 33.8 ათასი აბონენტით (28.4%-ით) ნაკლებია.

შედარებით სტაბილურია მაუწყებლობის ტრანზიტის **xDSL** ტექნოლოგიით მიმღებ აბონენტთა რაოდენობა - 36.3 ათასი აბონენტი - (2013 წლის ბოლოს - 33.6 ათასი აბონენტი).

მაუწყებლობის ტრანზიტი ინტერნეტის საშუალებით. ამ მომსახურების აბონენტთა რაოდენობა საქართველოში შედარებით მცირეა - სულ 3.9 ათასი აბონენტი (2013 წლის ბოლოს სულ 1.5 ათასი აბონენტი ფიქსირდებოდა). მაუწყებლობის ტრანზიტში ინტერნეტის საშუალებით ვგულისხმობთ შესაბამის ვებსაიტზე რეგისტრაციის და სააბონენტო გადასახადის შემთხვევაში ინტერნეტის საშუალებით სატელევიზიო არხების ყურების საშუალების მიღებას. ამ მომსახურებას საქართველოში მხოლოდ ორი კომპანია - სს „სილქნეტი“ (silktv.ge-ს საშუალებით) და შპს „აი თი დი სი“ (myvideo.ge-ს საშუალებით) ეწევა.





ქალაქების მიხედვით განსხვავებულია მაუწყებლობის ტრანზიტისთვის გამოყენებული ტექნოლოგიების წილობრივი განაწილება. მაგალითად, თბილისში აბონენტთა უმრავლესობა ოპტიკურ-ბოჭკოვან ტექნოლოგიას იყენებს (37.3%), მაშინ როცა ქუთაისში, ბათუმსა და რუსთავში ყველაზე გავრცელებული ტექნოლოგია კოაქსიალური კაბელია.







მაუწყებლობა

სატელევიზიო მაუწყებლობიდან მიღებულმა შემოსავალმა 2014 წელს 91.9 მლნ ლარი შეადგინა. 2013 წელთან შედარებით სამაუწყებლო შემოსავლების 23.7%-ით (17.6 მლნ ლარით) მატება დაფიქსირდა. შემოსავლების უდიდეს ნაწილს რეკლამიდან (71.4%) და სპონსორობიდან (19.8%) მიღებული შემოსავლები შეადგენენ. შემოსავლების სხვა წყაროებმა ჯამში სულ 8.8% შეადგინა (კონტენტის რეალიზება, საეთერო დროის გაყიდვა, შემოწირულობა, ა.შ).
2014 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა სატელევიზიო მაწუყებლების სარეკლამო შემოსავლები. თუ 2013 წელს იგი 52.6 მლნ ლარს შეადგენდა, 2014 წელს მან 65.6 მლნ ლარი შეადგინა (24.7%-ით მეტი).

ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა სპონოსორობიდან მიღებული შემოსავლები და მან 18.2 მლნ ლარი შეადგინა, 4.8 მლნ ლარით მეტი, ვიდრე 2013 წელს (35.8%-ით მეტი).

სატელევიზიო მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავლების ოდენობის მიხედვით 2014 წელს ყველაზე დიდი წილი რუსთავი 2-ს ეკავა - 49.3% . მას მოსდევდა ტელეიმედი - 24.2%, სტუდია მაესტრო - 11.3%, ჯი-დი-ეს თივი - 2.9%, საქართველოს მედია ქსელი - 2.7%. სხვა მაუწყებლების ჯამურმა წილმა 9.5% შეადგინა.





	2010	2011	2012	2013	2014
სულ	70,561	79,841	82,612	74,315	91,917
რეკლამა	54,752	55,937	55,637	52,609	65,596
სპონსორობა	4,439	8,861	7,475	13,434	18,242
სხვა	11,371	15,043	19,500	8,272	8,079



რადიო მაუწყებლობიდან მიღებულმა შემოსავალმა 2014 წელს სულ 9.6 მლნ შეადგინა - 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 1.2%-ით მეტი. შემოსავლების 64.6% მაუწყებლებმა რეკლამიდან მიიღეს, 23.8% - სპონსორობიდან, დანარჩენი შემოსავლების წილი კი სულ 11.6%-ს შეადგენდა.





შემოსავლების თვალსაზრისით 2014 წელს ყველაზე დიდ წილს „რადიო ჰოლდინგი ფორტუნა“ ფლობდა - 46.8%, „რადიო იმედი“ -11.6%, „კორტესი გიდაგო“ („რადიო ჯაკო“) - 6.0%, „ქართული რადიო“ - 5.5%. სხვა რადიოები კი ჯამში ბაზრის 30.2%-ს ფლობდნენ.



კომუნიკაციების დარგიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შესული თანხები

2014 წელს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებული ან/და ლიცენზიის მფლობელი პირების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების[1] სახით გადახდილმა თანხამ შეადგინა - 260,715,976.0 ლარი, მაუწყებლებლების[2] მიერ შეტანილმა თანხამ - 22,026,595.5 ლარი, რაც ჯამში **282,742,571.5** ლარია.

რაც შეეხება ლიცენზირებიდან მიღებულ შემოსავალს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 2014 წელს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ლიცენზიის მფლობელი პირების მიერ გადახდილმა თანხამ შეადგინა 932,388.99 ლარი, ხოლო ”ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ლიცენზიის მფლობელი პირების მიერ გადახდილმა თანხამ შეადგინა 17,379,958.63 ლარი, ანუ ლიცენზირებიდან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანებმა ჯამში შეადგინა **18,312,347.62**[3] ლარი.

კომუნიკაციების დარგიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტში ჯარიმის სახით შეტანილმა თანხამ შეადგინა - **56,682.54** ლარი.

სულ 2014 წელს კომუნიკაციების სფეროდან სახელმწიფო ბიუჯეტში **301,111,601.66** ლარი შევიდა.

თავი IV. კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დაამტკიცა 2015-2017 წლებში კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, რომელიც წარმოდგენილია თანდართული დოკუმენტის სახით.

---

[1] საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დღგ, აქციზი, იმპორტის გადასახადი, ქონების გადასახადი, მიწა (სასოფლო-არასასოფლო)

[2] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებული ან/და ლიცენზიის მფლობელი პირები

[3] ”ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ლიცენზიის მფლობელი პირების მიერ „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გადახდილი თანხები

დანართები

დანართი 1. ავტორიზაცია - მაუწყებლობა

კერძო საერთო ტელემაუწყებლობა (11)	**კერძო სპეციალიზებული ტელემაუწყებლობა (13)**	**კერძო საერთო რადიომაუწყებლობა (1)**	**კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობა (2)**
შპს „მედია-კონტენტი“	შპს „მედია-კონტენტი“ (შემეცნებითი)	შპს „მედია-კონტენტი“	შპს „მედია-კონტენტი“
შპს „სამაუწყებლო კომპანია ბოლნელი“	შპს „ტვს“ (სპორტული)		შპს „კომპანია მედიასტრიმი“
ი/მ ოლეგი უგრეხელიძე	შპს „რიმას“ (გასართობი)		
შპს „ჯგუფი-ახალი სტილი“	შპს „მოლი ტვ“ (ტელეშოპინგი)		
ააიპ “საზოგადოებრივ ორგანიზაცია რადიო-ტელევიზია ფარვანა“	შპს „სტუდია მაესტრო“ (გასართობი)		
ააიპ „უსაფრთხო სივრცე“	სს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგი“ (გასართობი)		
შპს „ტელერადიო კომპანია ატვ-12“	შპს „მომავლის რეკლამა“ (გასართობი)		
შპს „ტელერადიო კომპანია ფაქტი-ტვ“	შპს „IVERIA SAT ივერია სატ“ (გასართობი)		
შპს „არტარეა TV2.O“	შპს „ტელეიმედი“ (გასართობი)		
შპს „ტელე-რადიო კომპანია ტვ-24“	შპს „ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია-ჯიჯი“მაესტრო“ (შემეცნებითი)		
ფიზიკური პირი ბესიკი ბოგველი	შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ (გასართობი)		
	შპს „ფუდტვ ჯეო“ (შემეცნებითი)		
	შპს „ტვშოფ+“ (ტვ შოპინგი)		

*ერთ-ერთმა ავტორიზებულმა პირმა ერთდროულად გაიარა ავტორიზაცია საერთო ტელემაუწყებლობაზე, საერთო რადიომაუწყებლობაზე, სპეციალიზებულ ტელემაუწყებლობაზე და სპეციალიზებულ რადიომაუწყებლობაზე, შესაბამისად 2014 წელს ავტორიზებული პირების საერთო რაოდენობა და ავტორიზებული პირების რაოდენობა ავტორიზაციის სახეობის მიხედით ერთმანეთს არ ემთხვევა

დანართი 2. ავტორიზაცია - ელექტრონული კომუნიკაციები

ი/მ ბექა ხაჭაპურიძე
შპს „გრიინეტი Ltd Greenet”
შპს „ნიუკომ“
შპს „ლაინ ნეტი“
შპს „გლობალნეტ-2014“
შპს „ბლექსინეტ“
ი/მ ოვანეს სუკიასიანი
შპს „სმარტ სიგნალ“
შპს „რედნეტ”
შპს „მედია-კონტენტი“
შპს „ნიუნეტი“
შპს „აილინკ“
შპს „პროლაინი”
შპს „აიჯიეს ნეთვორქი“
შპს „ალფანეტი“
შპს „რეგიონ ონლაინ-Region online“
შპს „მარინ ნეტ Marine Net”
შპს ”ინტტიერ Inttier"
შპს „ბრეძა“
შპს „ნიუ ვიდეო“
შპს „ვიფი ლინე“
შპს „FlyLine ფლაილაინი“
შპს „აი-თაჩი“
შპს „გრანდნეტ“
შპს „ოდიში ნეტ“
შპს „აიეტი“
შპს „ჯენკოლაინი“
შპს „მეტეხი 2014“
შპს „ტვ ბათუმი ემ“
შპს „გეთ სკაი“
შპს „სხივი“
შპს „სტანდარტი“
შპს „არქადა-ნეტ“
შპს „სქაინეტი“
შპს „ჯიმობაილ“
შპს „ქიზიყი“
შპს „ჯიკონეკტი“
შპს „თრიალეთი-ნეტი“
ი/მ გიორგი ხახიშვილი

შპს „არგო“
შპს „ვანეტი“
შპს „თერნეტი“
შპს „ნეტკომ“
შპს „სი ჯი ელ“
შპს „ნეტსითი“
შპს „რიდერვილი READERwill“
შპს „მალტისოფტი“
ი/მ ალექსანდრე მიქაძე
შპს „დევკა“
ი/მ ავთანდილ ეგუტიძე
შპს „პონტოსატი“
შპს „ნისა“
შპს „ტბკომ“
შპს „ანრი 109“
შპს „ბექა“
შპს „Discovery 2”
შპს „4კტვ“
შპს „კოსმოსი“
შპს „ჯეო ნეთვორქი“
შპს „Galaqsy georgia“
შპს „ტვმობილი“
შპს „ტვ ნეტ“
შპს „გრინ ნეთვორქსი“
შპს „დი ეს სი“
შპს „გლობალ-ნეტ“

დანართი 3. ავტორიზაციის გაუქმება - მაუწყებლობა

კერძო საერთო ტელემაუწყებლობა (2)	**კერძო სპეციალიზებული ტელემაუწყებლობა (4)**
შპს „მზერა ტივი“	შპს „იმედის კლინიკა“ (დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა)
შპს „მეცხრე არხი“	შპს „ამპლიტუდა“ (გასართობი)
	შპს „გლობალ მედია ჯგუფი“ (გასართობი)
	შპს „ღამის შოუ სტუდია“ (გასართობი)

დანართი 4. ავტორიზაციის გაუქმება - ელექტრონული კომუნიკაციები

ი/მ ვახტანგ სიმონგულაშვილი
შპს „ვეზირი სისტემს“
შპს „GONET”
შპს „კომედი ტვ“
შპს „ნოუბელ მარინერი“
შპს ”კავკასიიის ინტერნეტ მედია ჯგუფი"
შპს „ალფანეტი“
შპს ”ნადინეტი"
ი/მ ზურაბ სხირტლაძე
ი/მ ლალი ხახანაშვილი
ი/მ იური სარჯველაძე
შპს „სქაინეტი“
შპს „ნეტკომი“
შპს „ტბკომი“
ი/მ ნინო ჯაკობია „კოსმოსი“
შპს „Innotel”
შპს „სი-ენ-პი“

დანართი 5. ლიცენზიების გაცემა - მაუწყებლობა

კერძო საერთო ტელემაუწყებლობა (1)		
კომპანია	**ლიცენზიის №**	**გეოგრაფიული არეალი**
შპს „საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო ევრაზია”	№B153	მთელი ქვეყნის მასშტაბით

კერძო საერთო რადიომაუწყებლობა (12)		
კომპანია	**ლიცენზიის №**	**გეოგრაფიული არეალი**
შპს „რადიო ჰოლდინგი ფორტუნა“	№B155	ქ. ყვარელი
შპს „ევროპა პლუს თბილისი“	№B157	ქ. თელავი
	№B158	ქ. ახალციხე
	№B159	ქ. გორი
	№B163	ქ. ბათუმი
	№B164	ქ. ხაშური
	№B165	ქ. დმანისი
	№B166	ქ. ფოთი
შპს „ტვ-სახელოსნო მაესტრო“	№B167	ქ. ბათუმი

შპს „ნიუკომი“	№B168	ქ. ბოლნისი
	№B169	ქ. რუსთავი
შპს “რადიოცენტრი პლუსი”	№B170	დაბა გუდაური

კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობა (4)		
კომპანია	**ლიცენზიის №**	**გეოგრაფიული არეალი**
შპს „რადიო ჰოლდინგი ფორტუნა (გასართობი)	№B154	ქ. ყვარელი
	№B156	ქ. გორი
შპს „სამაუწყებლო სახლი“ (გასართობი)	№B160	ქ. ქუთაისი
	№B161	ქ. ბათუმი

დანართი 6. ლიცენზიების გაცემა - რადიოსიხშირული სპექტრი

კომპანია	**ლიცენზიის №**	**დანიშნულება**
შპს „სტერეო+“	MUX B	ციფრული მიწისზედა სატელევიზო ქსელის უზრუნველყოფისთვის
	MUX D	
	MUX E	
შპს „TV3”	№F95	მობილური ჩართვებისთვის
შპს „სტუდია მაესტრო“	№F96	მობილური ჩართვებისთვის

დანართი 7. ლიცენზიების გაუქმება - მაუწყებლობა

კერძო საერთო ტელემაუწყებლობა (6)		
კომპანია	**ლიცენზიის №**	**გეოგრაფიული არეალი**
შპს “მზერა ტივი”	№B135	მთელი ქვეყნის მასშტაბით
შპს ,,მეცხრე არხი“	№B112	მთელი ქვეყნის მასშტაბით
შპს ,,ტელეკომპანია მე-5 არხი“	№B53	ქ. ბოლნისი
შპს „სპექტრი“	№B77	ქ. ნინოწმინდა
		ქ. ახალქალაქი
		ქ. ბორჯომი
		ქ. ახალციხე
		დაბა აბასთუმანი
		დაბა ასპინძა
		ქ. წალკა
შპს ,,სამეგრელო–ზემო სვანეთის	№B121	ქ. ზუგდიდი

ტელერადიოკომპანია სამეგრელო“	№B122	ქ. სენაკი

კერძო საერთო რადიომაუწყებლობა (1)		
კომპანია	**ლიცენზიის №**	**გეოგრაფიული არეალი**
შპს „ენერჯი გრუპი“	№B150	ქ. თბილისი

დანართი 8. ლიცენზიების მოდიფიცირება - მაუწყებლობა

ტელემაუწყებლობა (9)		
კომპანია	**ლიცენზიის №**	**მოდიფიცირების მიზანი**
შპს ტელე-რადიო პრესკომპანია „ზარი”	№B43	თანამგზავრული მაუწყებლობის დამატება
შპს დამოუკიდებელი ტელეკომპანია ”ეგრისი”	№B28	სალიცენზიო პირობების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა
შპს “ომეგა”	№B61	დღე-ღამის განმავლობაში მაუწყებლობის მინიმალური ხანგრძლივობის განსაზღვრა
შპს “სტერეო+”	№B152	დღე-ღამის განმავლობაში მაუწყებლობის მინიმალური ხანგრძლივობის შემცირება
შპს “სტუდია მაესტრო”	№B107	დღე-ღამის განმავლობაში მაუწყებლობის მინიმალური ხანგრძლივობის შემცირება
შპს “ტელეკომპანია თბილისი“	№B88	სპეციალიზებული მაუწყებლობის ნაცვლად საერთო მაუწყებლობის განსაზღვრა
შპს ,,ტელეკომპანია ობიექტივი 2“	№B162	სალიცენზიო პირობების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა
		სპეციალიზებული მაუწყებლობის ნაცვლად საერთო მაუწყებლობის განსაზღვრა
ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“ (გასართობი)	№B91	საერთო მაუწყებლობის ნაცვლად სპეციალიზებული მაუწყებლობის განსაზღვრა
	№B99	

რადიომაუწყებლობა (7)		
კომპანია	**ლიცენზიის №**	**მოდიფიცირების მიზანი**
შპს "ჩვენი რადიო"	№B72	სპეციალიზებული მაუწყებლობის ნაცვლად საერთო მაუწყებლობის განსაზღვრა
ააიპ "არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივი"	№B62	FM დიაპაზონში სიხშირის შეცვლა - 105.00-ის მაგივრად მიენიჭა 105.1
ააიპ "ასოციაცია ათინათი"	№B48	ტექნიკური პარამეტრების მოდიფიცირება და დამატებითი გადამცემის დაყენების უფლების მინიჭება
შპს "ქედი სტუდიო"	№B11	სპეციალიზებული მაუწყებლობის ნაცვლად საერთო მაუწყებლობის განსაზღვრა
შპს "რადიო კომპანია პირველი რადიო"	№B45	სალიცენზიო პირობების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა
	№B46	
შპს "ძველი ქალაქი"	№B71	სალიცენზიო პირობების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა

დანართი 9. ლიცენზიების მოდიფიცირება - რადიოსიხშირული სპექტრი

კომპანია	**ლიცენზიის №**	**მოდიფიცირების მიზანი**
შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი"	№F23	ლიცენზიის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა

დანართი 10. ლიცენზიების მოქმედების ვადის გაგრძელება - მაუწყებლობა

ტელემაუწყებლობა (4)		
კომპანია	**ლიცენზიის №**	**მოქმედების ვადა**
შპს დამოუკიდებელი ტელეკომპანია "ეგრისი"	№B28	2015 წლის 17 ივნისი
შპს ტელეკომპანია "გურჯაანი"	№B42	
შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"	№B103	

შპს ,,ტელეკომპანია ობიექტივი 2“	№B162	

რადიომაუწყებლობა (7)		
კომპანია	**ლიცენზიის №**	**მოქმედების ვადა**
შპს ”რადიო კომპანია პირველი რადიო“	№B45	10 წელი
	№B46	
შპს ”ევროპა პლუს თბილისი“	№B54	
შპს ”რადიო უცნობი“	№B70	
ააიპ “არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივი“	№B62	
შპს ”ძველი ქალაქი“	№B71	
შპს ”ჩვენი რადიო”	№B72	

დანართი 11. ლიცენზიების მოქმედების ვადის გაგრძელება - რადიოსიხშირული სპექტრი

კომპანია	**ლიცენზიის №**	**მოქმედების ვადა**
შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი“	№F23	10 წელი

დანართი 12. ლიცენზიების გადაცემაზე თანხმობის მიცემა

ტელემაუწყებლობა (2)		
ლიცენზიის გამცემი	**ლიცენზიის მიმღები**	**ლიცენზიის №**
შპს ”ტელეკომპანია ობიექტივი 2“	ააიპ ”არასამეწარმეო მედია კავშირი ობიექტივი“	№B162
შპს ”ევრიკა ტელერადიოკომპანია“	შპს ”სტუდია მაესტრო“	№B17

რადიომაუწყებლობა (1)		
ლიცენზიის გამცემი	**ლიცენზიის მიმღები**	**ლიცენზიის №**
შპს „ტელერადიოკომპანია ნოსტალგია“	შპს ”ვი ეს“	№B59

დანართი 13. ლიცენზიების გადაპირება

ლიცენზიის გამცემი	ლიცენზიის მიმღები	ლიცენზიის №
შპს „სტერეო+“	შპს საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“	№F13
შპს „სილქ ლტი“	სს „სილქნეტი“	№F64
		№F66
		№F68

დანართი 14. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვების გაცემა

კომპანია	ნებართვების რაოდენობა
შპს „ჯეოსელი“	1
შპს „09. TECH”	1
სს „სილქნეტი“	6
შპს „მობიტელი“	6
შპს „მაგთიკომი“	5
შპს „ლაგი“	1
შპს „კეთილი ნების კომუნიკაციები-გუდვილკომი“	1
შპს „კავკასუს ონლაინი“	2
სს „გლობალ სელ“	3
შპს „Compatel Limited”	1
შპს „ჯეონეთი“	2
შპს „სერვისნეტი“	2
შპს „ჯეოინტერკომი“	1
შპს „ჯიმობაილ“	1

დანართი 15. დავები

მონაწილე მხარეები	თემა	შედეგი	გადაწყვეტილების №
ფიზიკური პირი მალხაზ გობოსაშვილი და შპს „მობიტელი“	სატელეფონო ნომრის გასხვისება	მორიგება	№274/16

მომხმარებელი არჩილ კაიკაციშვილი და სს „სილქნეტი“	ინტერნეტ მომსახურების შეფერხებით მიწოდება	ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - სს „სილქნეტს დაეკისრა გაუწეველი ინტერნეტ მომსახურების საფასურის (2.15 ლარი) სააბონენტო გადასახადიდან გამოქვითვა	№432/16
მომხმარებელი უჩა ნებიერიძე და შპს „კავკასუს ონლაინი“	აბონენტის გაფრთხილების და თანხმობის გარეშე ინტერნეტ მომსახურების ტარიფის გაზრდა; ინტერნეტ მომსახურების შეწყვეტის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა; ინტერნეტ მომსახურების განსაზღვრული დროით შეჩერების დროს მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურების ტარიფის გაზრდა; მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურების დაბალი ხარისხით მიწოდება	ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -შპს „კავკასუს ონლაინს“ დაეკისრა სანქცია გაფრთხილების სახით, დაევალა მომხმარებელ უჩა ნებიერიძესთვის ხარისხიანი, უწყვეტი მომსახურების მიწოდება, შესაბამისი სააბონენტო ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადება, შეფერხებით მიწოდებული მომსახურების საფასურის (1.82 ლარი) სააბონენტო გადასახადიდან გამოქვითვა	№631/18

დანართი 16. სანქცირება - მაუწყებლები

კომპანია	საფუძველი	პასუხისმგებლობის სახე	გადაწყვეტილების №
შპს რადიოკომპანია „საქართველოს ხმა“	წინასაარჩევნო პერიოდში სამაუწყებლო ბადის უწყვეტი ქრონომეტრაჟით კომისიაში წარმოუდგენლობა	ჯარიმა 2 500 ლარი	№14/18
შპს ,,ტელერადიოკომპანია რიონი“	შესაბამისი ნებართვების გარეშე ეთერში მხატვრული ფილმების განთავსება	გაფრთხილება	№26/18
შპს ,,ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანია“	შესაბამისი ნებართვების გარეშე ეთერში მხატვრული ფილმების განთავსება	გაფრთხილება	№27/18

შპს „ტელეკომპანია გურჯაანი“	შესაბამისი ნებართვების გარეშე ეთერში მხატვრული ფილმების განთავსება	გაფრთხილება	№44/18
შპს „ივერია ინტერმედია“	შესაბამისი ნებართვების გარეშე ეთერში მხატვრული ფილმების განთავსება	გაფრთხილება	№45/18
შპს „სამაუწყებლო კომპანია იმერვიზია“	შესაბამისი ნებართვების გარეშე ეთერში მხატვრული ფილმების განთავსება	გაფრთხილება	№46/18
შპს ,,ტელე-რადიო კომპანია თრიალეთი“	შესაბამისი ნებართვების გარეშე ეთერში მხატვრული ფილმების განთავსება	გაფრთხილება	№72/18
შპს „ჯი-დი-ეს თი-ვი“	განახლებული შესაბამისობის დეკლარაციის კომისიაში წარმოუდგენლობა და ვებგვერდზე გამოუქვეყნებლობა	გაფრთხილება	№88/18
შპს ,,ტელეკომპანია ქუთაისი“	შესაბამისი ნებართვის გარეშე ეთერში მხატვრული ფილმის განთავსება	გაფრთხილება	№89/18
შპს ,,ტელეარხი 25“	შესაბამისი ნებართვების გარეშე ეთერში მხატვრული ფილმების განთავსება	გაფრთხილება	№114/18
შპს ,,ტელე-რადიო კომპანია თვალი“	შესაბამისობის დეკლარაციის კომისიაში წარმოუდგენლობა და ვებგვერდზე გამოუქვეყნებლობა	ჯარიმა 2,500 ლარი	№171/18
შპს „ქედი სტუდიო“	შესაბამისობის დეკლარაციის კომისიაში წარმოუდგენლობა და ვებგვერდზე გამოუქვეყნებლობა	გაფრთხილება	№172/18

შპს „ქედი სტუდიო“	2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საფეხბურთო მატჩების ტრანსლირების გამოკვლევის მიზნით, კომისიის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის, კერძოდ ერთი თვის არქივის წარმოუდგენლობა; სალიცენზიო პირობების დარღვევა - ეთერში ახალი ამბების განთავსება	გაფრთხილება	№503/18
შპს „ამპლიტუდა“	შესაბამისობის დეკლარაციის კომისიაში წარმოუდგენლობა და ვებგვერდზე გამოუქვეყნებლობა	გაფრთხილება	№172/18
ფიზიკური პირი სოფიო კუჭავა	შესაბამისობის დეკლარაციის კომისიაში წარმოუდგენლობა და ვებგვერდზე გამოუქვეყნებლობა	გაფრთხილება	№172/18
შპს „Altervision TV“	შესაბამისობის დეკლარაციის კომისიაში წარმოუდგენლობა და ვებგვერდზე გამოუქვეყნებლობა	გაფრთხილება	№172/18
შპს ,,სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“	საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემის დროს რეკლამის ხანგრძლივობის ლიმიტის გადაჭარბება; რეკლამებს შორის ინტერვალის დაუცველობა	გაფრთხილება	№225/18
შპს ,,ტელეიმედი“	საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემის დროს რეკლამის ხანგრძლივობის ლიმიტის გადაჭარბება	გაფრთხილება	№226/18
შპს ,,ეკომი“	წინასაარჩევნო დებატების განთავსების გამოკვლევის მიზნით, კომისიის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის, კერძოდ გადაცემების ჩანაწერების წარმოუდგენლობა	გაფრთხილება	№478/18

ააიპ ,,მედია ცენტრი ღია აფხაზეთისთვის“	წინასაარჩევნო დებატების განთავსების გამოკვლევის მიზნით, კომისიის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის, კერძოდ გადაცემების ჩანაწერების წარმოუდგენლობა	გაფრთხილება	№479/18
შპს ,,ტელეკომპანია I სტერეო“	წინასაარჩევნო დებატების განთავსების გამოკვლევის მიზნით, კომისიის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის, კერძოდ გადაცემების ჩანაწერების წარმოუდგენლობა	გაფრთხილება	№480/18
შპს ,,ტელეკომპანია ქართული არხი“	შესაბამისი ნებართვების გარეშე ეთერში მხატვრული და ანიმაციური ფილმების განთავსება	გაფრთხილება	№528/18
შპს ,,რ-რადიო“	საეთერო ბადის კომისიაში წარმოუდგენლობა და ვებგვერდზე გამოუქვეყნებლობა; ლიცენზიის გარეშე მაუწყებლობა	გაფრთხილება	№728/18

დანართი 17. სანქცირება - „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებული პირები

კომპანია	საფუძველი	პასუხისმგებლობის სახე	გადაწყვეტილების №
შპს ,,სქაიტელეკომ-SkyTelecom LTD”	საფირმო სახელწოდების ცვლილების შესახებ ინფორმაციის განსაზღვრულ ვადაში კომისიისთვის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება	№73/18
შპს ,,ბექა ჯი“	შესაბამისი ნებართვების გარეშე სამაუწყებლო არხების ქსელში გავრცელება	გაფრთხილება	№ 74/18
შპს ,,BATUMI MEDIA GROUP“	შესაბამისი ნებართვების გარეშე სამაუწყებლო არხების ქსელში გავრცელება; ვებგვერდის არქონა	ჯარიმა 27,000 ლარი	№75/18
შპს ,,BATUMI MEDIA GROUP“	შესაბამისი ნებართვების გარეშე სამაუწყებლო არხების ქსელში გავრცელება; ვებგვერდის არქონა	ჯარიმა 27,000 ლარი	№252/18
შპს ,,BATUMI MEDIA GROUP“	შესაბამისი ნებართვების გარეშე სამაუწყებლო არხების ქსელში	ჯარიმა 27,000 ლარი	№450/18

	გავრცელება; ვებგვერდის არქონა		
შპს ,,BATUMI MEDIA GROUP“	შესაბამისი ნებართვების გარეშე სამაუწყებლო არხების ქსელში გავრცელება; ვებგვერდის არქონა	ჯარიმა 27,000 ლარი	№643/18
შპს ,,კავკასუს ონლაინი“	კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე წილის გასხვისება	გაფრთხილება	№103/18
შპს ,,კავკასუს ონლაინი“	წერილობითი ფორმით აბონენტთან ხელშეკრულების გაუფორმებლობა; მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის მიერ მოთხოვნილი - მომხმარებლის საჩივართან დაკავშირებული ინფორმაციის მოუწოდებლობა; მომხმარებლისთვის მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურების შეფერხებით მიწოდება; 18+-ის კატეგორიის სამაუწყებლო არხის ქსელში კოდირების გარეშე განთავსება	გაფრთხილება	№631/18
შპს ,,სკაინეტი“	შესაბამისი ნებართვების გარეშე სამაუწყებლო არხების ქსელში გავრცელება	გაფრთხილება	№113/18
შპს ,,სკაინეტი“	კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციის განსაზღვრულ ვადაში კომისიისთვის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება	№638/18
შპს „ბლექ სი სატი“	კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე წილის გასხვისება	გაფრთხილება	№138/18
შპს ,,ვაიმაქს ჯორჯია“	კომპანიის მისამართის და სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციის განსაზღვრულ ვადაში კომისიისთვის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება	№219/18
შპს „ტვ XXI+“	შესაბამისი ნებართვების გარეშე სამაუწყებლო არხების ქსელში გავრცელება	გაფრთხილება	№251/18

შპს „ტვ XXI+“	შესაბამისი ნებართვების გარეშე სამაუწყებლო არხების ქსელში გავრცელება	ჯარიმა 3,000 ლარი	№452/18
შპს „ტვ XXI+“	შესაბამისი ნებართვების გარეშე სამაუწყებლო არხების ქსელში გავრცელება	ჯარიმა 9,000ლარი	№642/18
შპს ,,TV ERA“	შესაბამისი ნებართვების გარეშე სამაუწყებლო არხების ქსელში გავრცელება	გაფრთხილება	№253/18
შპს ,,TV ERA“	შესაბამისი ნებართვების გარეშე სამაუწყებლო არხების ქსელში გავრცელება; სამაუწყებლო არხების ქსელში გავრცელების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის კომისიისთვის წარმოუდგენლობა	ჯარიმა 9,098.54 ლარი	№451/18
შპს ,,TV ERA“	შესაბამისი ნებართვების გარეშე სამაუწყებლო არხების ქსელში გავრცელება; სამაუწყებლო არხების ქსელში გავრცელების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის კომისიისთვის წარმოუდგენლობა	ჯარიმა 18,979.24 ლარი	№644/18
შპს „მობიტელი“	კომისიის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის, კერძოდ შემოსავლების და ხარჯების განცალკევებული აღრიცხვის ანალიზის წარმოუდგენლობა	ჯარიმა 30,000 ლარი	№302/18
შპს ,,Intermediary”	კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციის განსაზღვრულ ვადაში კომისიისთვის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება	№364/18
შპს ,,ფოთის ტელევიზიის მოყვარულთა კლუბი“	შესაბამისი ნებართვების გარეშე სამაუწყებლო არხების ქსელში გავრცელება	გაფრთხილება	№453/18
შპს ,,სატელიტსერვისი“	შესაბამისი ნებართვების გარეშე სამაუწყებლო არხების ქსელში გავრცელება; სამაუწყებლო არხების ქსელში გავრცელების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის კომისიისთვის	გაფრთხილება	№454/18

	წარმოუდგენლობა		
შპს ,,ტელეკომპანია დია“	შესაბამისი ნებართვების გარეშე სამაუწყებლო არხების ქსელში გავრცელება; სამაუწყებლო არხების ქსელში გავრცელების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის კომისიისთვის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება	№455/18
შპს ,,SipTel“	კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე წილის გასხვისება; კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციის განსაზღვრულ ვადაში კომისიისთვის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება	№588/18
შპს „ნეტსითი“	კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე წილის გასხვისება	გაფრთხილება	№589/18
შპს „იმერ TV“	შესაბამისი ნებართვების გარეშე სამაუწყებლო არხების ქსელში გავრცელება; სამაუწყებლო არხების ქსელში გავრცელების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის კომისიისთვის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება	№659/18
შპს „ტელევიზია კახეთი“	შესაბამისი ნებართვების გარეშე სამაუწყებლო არხების ქსელში გავრცელება	გაფრთხილება	№660/18
შპს „მაგთიკომი“	კომისიის მირ მოთხოვნილი ინფორმაციის - დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ანალიზის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება	№508/22
შპს „ჯეოსელი“	კომისიის მირ მოთხოვნილი ინფორმაციის - დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ანალიზის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება	№508/22

დანართი 18. სასამართლო დავები - დასრულებული საქმეები

მოსარჩელე: შპს „TV ERA”
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2014 წლის 8 მაისის №253/18 გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით შპს „TV ERA“-ს მიეცა გაფრთხილება შესაბამისი ნებართვების გარეშე სამაუწყებლო არხების ქსელში გავრცელების გამო.
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის გადაწყვეტილებით შპს „TV ERA” სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

მოსარჩელე: შპს ,,მაგთიკომი“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2013 წლის 17 ივლისის №6 დადგენილების ბათილად ცნობა. აღნიშნული დადგენილებით შემუშავდა ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისას ლიცენზიის მფლობელის მიერ გადასახდელი ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გამოთვლის ფორმულა.
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებით შპს ,,მაგთიკომის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

მოსარჩელე: შპს „სუპერ ტვ”
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
მესამე პირი: ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“
დავის საგანი: კომისიის 2013 წლის 26 დეკემბრის №758/16 გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ განცხადება და შპს „სუპერ ტვ“-ს დაევალა სამაუწყებლო არხ „ტაბულას“ საკუთარ ქსელში გავრცელება, ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ მიერ მიწოდებული ტექნიკური საშუალების (თანამგზავრული მიმღები ZHD210 HDTV) გამოყენებით. „სუპერ ტვ“-ის განცხადებით, ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ მიერ მიწოდებული ტექნიკური საშუალება იყო საყოფაცხოვრებო და მისი გამოყენებით იგი ვერ უზრუნველყოფდა „ტაბულას“ ქსელში განთავსებას.
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის გადაწყვეტილებით შპს „სუპერ ტვ“-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

მოსარჩელე: შპს „კავკასუს ონლაინი“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
მესამე პირები: შპს „მაგთიკომის“ სს „სილქნეტი“

დავის საგანი: კომისიის 2013 წლის 26 ივლისის №471/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით შპს „კავკასუს ონლაინს“ დაეკისრა ჯარიმა 90,000 ლარის ოდენობით, შესაბამისი ნებართვების გარეშე მომხმარებლებისთვის გარკვეული არხების დროის არარეალურ რეჟიმში (გადახვევა-დაპაუზების ფუნქცია) მიწოდების გამო.
შედეგი: საქმის წარმოება შეწყდა შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ სარჩელის გამოხმობის გამო.

მოსარჩელე: შპს „ახალი ქსელები“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიისათვის ქმედების დავალდებულება. კერძოდ, „ახალი ქსელების“ განცხადებით, კომისიამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომლითაც ზუსტად იქნება განსაზღვრული, რომ საერთაშორისო ზარის დასრულება ქსელის მფლობელი ოპერატორის აბონენტთან წარმოადგენს ურთიერთჩართვის მომსახურების სახეს ბაზრის საერთაშორისო სეგმენტზე.
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 6 იანვრის განჩინებით სარჩელი დაუშვებლად იქნა ცნობილი. გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

მოსარჩელე: შპს „ახალი ქსელები“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2012 წლის 13 მარტის №199/9 გადაწყვეტილების არარად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით კომისიამ, საქართველოში საერთაშორისო ზარების ტერმინაციის დროებითი ეფექტური რეგულირების მიზნით, ქვედა ზღვრული ტარიფები დაადგინა.
შედეგი: თბილისიის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის განჩინებით სარჩელი ცნობილ იქნა დაუშვებლად. გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

მოსარჩელე: შპს ,,სუპერ ტვ“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2011 წლის 21 დეკემბრის №786/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით შპს ,,სუპერ ტვ“-ს დაეკისრა ჯარიმა 43,031.96 ლარის ოდენობით, შესაბამისი ნებართვების გარეშე სამაუწყებლო არხების ქსელში გავრცელების გამო.
შედეგი: შპს ,,სუპერ ტვ“-ს სარჩელი საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 26 დეკემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საქმე შესაბამისი მითითებებით დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ხელახლა განსახილველად. უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სანქცია შინაარსობრივად სწორად იქნა დაკისრებული, თუმცა კომისიის მიერ სანქციის გამოყენების ნაწილში დაადგინა ახალი პრაქტიკა, კერძოდ სანქციების საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პრინციპით დაკისრებასთან დაკავშირებით. აღნიშნული გულისხმობს, რომ ყოველი დარღვევისათვის

მაკვალიფიცირებელი შესაძლოა გახდეს მხოლოდ წინა იდენტური დარღვევა და სანქციის დამძიმება მხოლოდ ამ ნიშნით არის შესაძლებელი. აღნიშნული გადაწყვეტილება კვლავ გასაჩივრდა შპს ,,სუპერ ტვ"-ს მიერ შინაარსობრივ ნაწილში, რაც არ დაკმაყოფილდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 01 აპრილის განჩინებით და ძალაში დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 18 სექტემბრის განჩინებით.

მოსარჩელე: შპს ,,ჯეოსელი"
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2013 წლის 13 დეკემბრის №744/19 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით მობილურ ქსელში ურთიერთჩართვის მომსახურების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებს (შპს „მაგთიკომი", შპს „ჯეოსელი", შპს „მობიტელი") დაუდგინდათ ურთიერთჩართვის ახალი ზედა ზღვრული ტარიფები.
შედეგი: შპს „ჯეოსელის" მიერ სარჩელის გათხოვის გამო საქმეზე შეწყდა წარმოება.

მოსარჩელე: შპს ,,კავკასუს ონლაინი"
მოპასუხეები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიისათვის ქმედების დავალდებულება. კერძოდ კომისიის 2009 წლის 9 ოქტომბრის №503/18 გადაწყვეტილებით შპს „კავკასუს ონლაინს დაეკისრა ჯარიმა 90 000 ლარის ოდენობით. გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი უზენაესი სასამართლოს მიერ, აღნიშნულის საფუძველზე კი „კავკასუს ონლაინს" უკან უნდა დაბრუნებოდა მის მიერ გადახდილი ჯარიმა. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ფინასთა სამინისტროს მიერ არ განხორციელდა „კავკასუს ონლაინისთვის" თანხის დაბრუნება, „კავკასუს ონლაინმა" მოსთხოვა კომისიას წერილობით მიემართა ფინასთა სამინისტროსთვის მისთვის თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით.
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი კომისიის მიმართ არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა ჯერ თბილისის სააპელაციო სასამართლომ, შემდეგ კი საქართველოს უზენაესმა სასამართლომ.

მოსარჩელე: შპს ,,სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღა", შპს ,,სტუდია მაესტრო", ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი", შპს ,,სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2", შპს ,,ევროპა პლიუს-თბილისი", შპს ,,ქართული რადიო"
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2013 წლის 23 სექტემბრის №583/19 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით მაუწყებლების მიერ კომისიაში

წარმოსადგენ სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებს მაუწყებლის შემოსავლების ამსახველი ახალი ფორმა დაემატა.

შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 11 ივნისის განჩინებით შეწყდა საქმეზე წარმოება დავის საგნის არარსებობის გამო. გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი პირი: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

სამართალდამრღვევი პირი: შპს ,,ტელეკომპანია თანამგზავრი"

სამართალდარღვევის სახე: ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების გრაფიკისა და სარეკლამო დროის ფასის შესახებ ინფორმაციის კომისიისთვის და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის დადგენილ ვადაში (არჩევნებამდე 55 დღით ადრე) წარმოუდგენლობა

შედეგი: თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 27 მაისის დადგენილებით შპს ,,ტელეკომპანია თანამგზავრი" ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად. მცირემნიშვნელოვანი სამართალდარღვევის გამო იგი გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და მიეცა სიტყვიერი შენიშვნა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი პირი: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

სამართალდამრღვევი: შპს „მეოთხე არხი"

სამართალდარღვევის სახე: ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების გრაფიკისა და სარეკლამო დროის ფასის შესახებ ინფორმაციის კომისიისთვის და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის დადგენილ ვადაში (არჩევნებამდე 55 დღით ადრე) წარმოუდგენლობა.

შედეგი: ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 22 მაისის დადგენილებით შპს „მეოთხე არხი" ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად. მცირემნიშვნელოვანი სამართალდარღვევის გამო იგი გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და მიეცა სიტყვიერი შენიშვნა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი პირი: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

სამართალდამრღვევი: შპს „ტელეკომპანია კავკასია"

სამართალდარღვევის სახე: ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების გრაფიკისა და სარეკლამო დროის ფასის შესახებ ინფორმაციის კომისიისთვის და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის დადგენილ ვადაში (არჩევნებამდე 55 დღით ადრე) წარმოუდგენლობა.

შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 04 ივნისის დადგენილებით შპს „ტელეკომპანია კავკასია“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად. მცირემნიშვნელოვანი სამართალდარღვევის გამო იგი გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და მიეცა სიტყვიერი შენიშვნა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი პირი: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
სამართალდამრღვევი: შპს ,,მედია კავშირი ობიექტივი“
სამართალდარღვევის სახე: ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების გრაფიკისა და სარეკლამო დროის ფასის შესახებ ინფორმაციის კომისიისთვის და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის დადგენილ ვადაში (არჩევნებამდე 55 დღით ადრე) წარმოუდგენლობა.
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 ივლისის დადგენილებით შპს ,,მედია კავშირი ობიექტივი“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად. მცირემნიშვნელოვანი სამართალდარღვევის გამო გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და მიეცა სიტყვიერი შენიშვნა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი პირი: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
სამართალდამრღვევი პირი: შპს ,,მარნეული ტვ“
სამართალდარღვევის სახე: ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების გრაფიკისა და სარეკლამო დროის ფასის შესახებ ინფორმაციის კომისიისთვის და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის დადგენილ ვადაში (არჩევნებამდე 55 დღით ადრე) წარმოუდგენლობა.
შედეგი: ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 5 ივნისის დადგენილებით შპს ,,მარნეული ტვ“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი 1,500 ლარის ოდენობით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ივნისის დადგენილებით შპს ,,მარნეული ტვ“-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ბოლნისის რაიონული სასამართლოს დადგენილება უცვლელი დარჩა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი პირი: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
სამართალდამრღვევი პირი: შპს ,,ტელეკომპანია გურჯაანი“
სამართალდარღვევის სახე: ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების გრაფიკისა და სარეკლამო დროის ფასის შესახებ ინფორმაციის კომისიისთვის და საქართველოს

ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის დადგენილ ვადაში (არჩევნებამდე 55 დღით ადრე) წარმოუდგენლობა.

შედეგი: გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 ივნისის დადგენილებით შპს ,,ტელეკომპანია გურჯაანი" ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად. მცირემნიშვნელოვანი სამართალდარღვევის გამო იგი გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და მიეცა სიტყვიერი შენიშვნა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი პირი: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

სამართალდამრღვევი: შპს ,,ტელეკომპანია ბორჯომი"

სამართალდარღვევის სახე: ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების გრაფიკისა და სარეკლამო დროის ფასის შესახებ ინფორმაციის კომისიისთვის და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის დადგენილი ვადაში (არჩევნებამდე 55 დღით ადრე) წარმოუდგენლობა.

შედეგი: ახალციხის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 19 მაისის დადგენილებით შპს ,,ტელეკომპანია ბორჯომი" ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად. მცირემნიშვნელოვანი სამართალდარღვევის გამო იგი გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და მიეცა სიტყვიერი შენიშვნა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი პირი: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

სამართალდამრღვევი: ააიპ ,,სამოქალაქო განათლების ფონდი"

სამართალდარღვევის სახე: ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების გრაფიკისა და სარეკლამო დროის ფასის შესახებ ინფორმაციის კომისიისთვის და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის დადგენილ ვადაში (არჩევნებამდე 55 დღით ადრე) წარმოუდგენლობა.

შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 12 ივნისის დადგენილებით ააიპ ,,სამოქალაქო განათლების ფონდი" ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და დაეკისრა ჯარიმა 1500 ლარის ოდენობით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 16 ივლისის დადგენილებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილება და სამართალდარღვევის არარსებობის გამო შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი პირი: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

სამართალდამრღვევი: შპს ,,დამოუკიდებელი ტელე-რადიო კომპანია ოდიში"

სამართალდარღვევის სახე: ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების გრაფიკისა და სარეკლამო დროის ფასის შესახებ ინფორმაციის კომისიისთვის და საქართველოს

ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის დადგენილ ვადაში (არჩევნებამდე 55 დღით ადრე) წარმოუდგენლობა.
შედეგი: ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 6 ივნისის დადგენილებით შპს ,,დამოუკიდებელი ტელე-რადიო კომპანია ოდიში" ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და დაეკისრა ჯარიმა 1,500 ლარის ოდენობით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დადგენილებით გაუქმდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 6 ივნისის დადგენილება და მცირემნიშვნელოვანი სამართალდარღვევის გამო შპს ,,დამოუკიდებელი ტელე-რადიო კომპანია ოდიში" გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და მიეცა სიტყვიერი შენიშვნა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი პირი: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
სამართალდამრღვევი: შპს ,,ტელეკომპანია დია"
სამართალდარღვევის სახე: ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების გრაფიკისა და სარეკლამო დროის ფასის შესახებ ინფორმაციის კომისიისთვის და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის დადგენილ ვადაში (არჩევნებამდე 55 დღით ადრე) წარმოუდგენლობა.
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 9 ივნისის დადგენილებით შპს ,,ტელეკომპანია დია" ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და დაეკისრა ჯარიმა 1500 ლარის ოდენობით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 27 ივლისის დადგენილებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილება დაჯარიმების შესახებ, მცირემნიშვნელოვანი სამართალდარღვევის გამო შპს ,,ტელეკომპანია დია" გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და მიეცა სიტყვიერი შენიშვნა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი პირი: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
სამართალდამრღვევი: შპს ტელე-რადიო პრესკომპანია „ზარი"
სამართალდარღვევის სახე: ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების გრაფიკისა და სარეკლამო დროის ფასის შესახებ ინფორმაციის კომისიისთვის და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის დადგენილ ვადაში (არჩევნებამდე 55 დღით ადრე) წარმოუდგენლობა.
შედეგი: სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 5 ივნისის დადგენილებით შპს ტელე-რადიო პრესკომპანია „ზარი" ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად. მცირემნიშვნელოვანი სამართალდარღვევის გამო იგი გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და მიეცა სიტყვიერი შენიშვნა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი პირი: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

სამართალდამრღვევი: შპს „იმპერია“
სამართალდარღვევის სახე: ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების გრაფიკისა და სარეკლამო დროის ფასის შესახებ ინფორმაციის კომისიისთვის და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის დადგენილ ვადაში (არჩევნებამდე 55 დღით ადრე) წარმოუდგენლობა.
შედეგი: ახალციხის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 18 ივნისის დადგენილებით შპს „იმპერია“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად. მცირემნიშვნელოვანი სამართალდარღვევის გამო გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და მიეცა სიტყვიერი შენიშვნა.

დანართი 19. დავები - მიმდინარე საქმეები

მოსარჩელე: შპს ,,მაგთიკომი“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2014 წლის 9 სექტემბრის №508/22 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით შპს „მაგთიკომს“ მიეცა გაფრთხილება კომისიის მიერ დაკისრებული ვალდებულების - დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ანალიზის წარმოუდგენლობის გამო.

მოსარჩელე: შპს ,,MINDA”, შპს ,,TV XXI”.
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2011 წლის 16 დეკემბრის №780/22 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შპს “პაპის“, შპს “ტვ სტარის“, შპს “MINDA“-ს, შპს “TV XXI“-ს და შპს “BATUMI MEDIA CROUP“-ის ერთობლივი განცხადება და შპს “პაპს“, შპს “ტვ სტარს“, შპს “MINDA“-ს და შპს “TV XXI“-ს თანხმობა მიეცათ მათი კუთვნილი საოპერაციო აქტივების შპს “BATUMI MEDIA CROUP“-ის მიერ შეძენაზე. შპს ,,MINDA”-ს და შპს ,,TV XXI”-ის განცხადებით მათი ხელმოწერა იყო გაყალბებული, შესაბამისად, მათ არ მოუთხოვიათ თანხმობის მიღება. აღნიშნული წარმოადგენდა გასაჩივრების მიზეზს.

მოსარჩელე: შპს ,,ჯეოსელი“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2014 წლის 9 სექტემბრის №508/22 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით შპს „ჯეოსელს“ მიეცა გაფრთხილება კომისიის მიერ დაკისრებული ვალდებულების - დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ანალიზის წარმოუდგენლობის გამო.

მოსარჩელე: შპს ,,გლობალ კონტაქტ კონსალტინგი"
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2012 წლის 6 მარტის №189/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით შპს ,,გლობალ კონტაქტ კონსალტინგს" მიეცა გაფრთხილება, შესაბამისი ნებართვების გარეშე სამაუწყებლო არხების ქსელში გავრცელების გამო.

მოსარჩელე: შპს ,,მობიტელი"
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2014 წლის 5 ივნისის №302/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით შპს „მობიტელს" დაეკისრა ჯარიმა 30,000.00 ლარის ოდენობით კომისიის მიერ დაკისრებული ვალდებულების - დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ანალიზის წარმოუდგენლობის გამო.

მოსარჩელე: შპს ,,სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი"
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია[1]
დავის საგანი: კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს №529/10 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით ქ.თბილისში კერძო საერთო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად ჩატარებულ კონკურსში, რომელშიც მონაწილეობას იღებდა შპს ,,სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი", გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ენერჯი გრუპი".

მოსარჩელე: სს ,,სილქნეტი"
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია[2]
მესამე პირი: კს ,,კორძაძის საადვოკატო ბიურო"
დავის საგანი: კომისიის 2012 წლის 6 დეკემბრის №763/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით, სს ,,სილქნეტს" დაევალა კს ,,კორძაძის საადვოკატო ბიუროს" მიერ გადახდილი ოპტიკურ-ბოჭკოვანი წყვილის ინსტალაციის ღირებულების (2,000 აშშ დოლარის) კორექცია და კს ,,კორძაძის საადვოკატო ბიუროსთვის" ინტერნეტ მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა, მხარეებს შორის 2010 წლის 23 სექტემბრის ხელშეკრულებითა და 2011 წლის 5 დეკემბერს გაფორმებული შეთანხმებით გათვალისწინებული პირობებით.

---

[1] კომისიის მიერ ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრდა ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი კომისიის 2013 წლის 26 აგვისტოს №529/10 გადაწყვეტილება და კომისიას დაევალა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ხელახლა გამოცემა.

[2] კომისიის მიერ ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სს ,,სილქნეტის" სააპელაციო საჩივარი - გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება და კომისიის 2012 წლის 6 დეკემბრის №763/16 გადაწყვეტილება და კომისიას დაევალა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ხელახლა გამოცემა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა კომისიის საკასაციო საჩივარი, გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 28 ნოემბერის გადაწყვეტილება და საკითხის ხელახლა განხილვის მიზნით დაუბრუნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

მოსარჩელე: შპს ,,სუპერ ტვ“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია[1]
დავის საგანი: კომისიის 2013 წლის 22 აპრილის №276/6 გადაწყვეტილების მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებისა და კომისიის 2013 წლის 14 ივნისის №392/19 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ბათილად ცნობა. №276/6 გადაწყვეტილებით შპს ,,სუპერ ტვ“-ის დაეკისრა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F8 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის, ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის 465,287.04 ლარის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში ერთი თვის ვადაში გადახდა. №392/19 გადაწყვეტილებით ცვლილებები შევიდა №276/6 გადაწყვეტილებაში და ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გადახდა „სუპერ ტვ“-ის გრაფიკის მიხედვით დაევალა. „სუპერ ტვ“-ის მიერ თავდაპირველად გასაჩივრდა ზემოთ აღნიშნული საფასურის ოდენობა და გადახდის ვადა და შემდეგ №392/19 გადაწყვეტილებით განსაზღვრული საფასურის გადახდის გრაფიკი.

მოსარჩელე: შპს „ახალი ქსელები“, შპს „ახტელი“, შპს „სისტემ ნეტი“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
მესამე პირი: შპს ,,მედიაპრო ჯორჯია“
დავის საგანი: კომისიის 2010 წლის 3 სექტემბრის №412/10 გადაწყვეტილების და კომისიასა და შპს „მედიაპრო ჯორჯიას“ შორის 2010 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა. №412/10 გადაწყვეტილებით სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრატორის შესარჩევ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „მედიაპრო ჯორჯია“.

მოსარჩელე: შპს „TV XXI+”
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
მესამე პირი: ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“
დავის საგანი: კომისიის 2014 წლის 7 აგვისტოს №452/18 გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით შპს „ტვ XXI+”-ს დაეკისრა ჯარიმა 3,000 ლარის ოდენობით, შესაბამისი ნებართვების გარეშე სამაუწყებლო არხების ქსელში გავრცელების გამო.

მოსარჩელე: შპს „ენერჯი გრუპი“

---

[1] კომისიის მიერ ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შპს „სუპერ ტვ“-ს სარჩელი -სადავო საკითხის გადაუწყეტლად ბათილად იქნა ცნობილი კომისიის 2013 წლის 22 აპრილის N276/6 გადაწყვეტლების მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები და კომისიის 2013 წლის 14 ივნისის N392/19 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი (ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გადახდის გრაფიკის ნაწილში) და კომისიას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოცემა

მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2014 წლის 15 იანვრის №15/4 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით გაუქმდა შპს „ენერჯი გრუპის“ კერძო მაუწყებლობის №B150 ლიცენზია.

მოსარჩელე: სს ,,სილქნეტი“ და სს ,,გაერთიანებული ტელეკომი“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2013 წლის 22 ივლისის №460/6 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით ლიცენზიის მფლობელს[1] დაეკისრა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F11 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის, ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის - 11,938,941.64 ლარის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში ერთი თვის ვადაში გადახდა. ,,სილქნეტის“ და ,,გაერთიანებული ტელეკომის“ მიერ გასაჩივრდა ზემოთ აღნიშნული საფასურის ოდენობა.

მოსარჩელე: სს ,,მედიაფონი“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2014 წლის 13 ივნისის №319/12 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით სს „მედიაფონს“ უარი ეთქვა მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობაზე.

მოსარჩელე: შპს ,,Batumi Media Group”
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2014 წლის 6 თებერვლის №75/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით შპს ,,Batumi Media Group”-ს დაეკისრა ჯარიმა 27,000 ლარის ოდენობით, შესაბამისი ნებართვების გარეშე სამაუწყებლო არხების ქსელში გავრცელების გამო.

მოსარჩელე: შპს ,,მობიტელი”
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2013 წლის 13 დეკემბრის №744/19 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით, მობილურ ქსელში ურთიერთჩართვის მომსახურების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებს (შპს „მაგთიკომი“, შპს „ჯეოსელი“, შპს „მობიტელი“) დაუდგინდათ ურთიერთჩართვის ახალი ზედა ზღვრული ტარიფები.

---

[1] №F11 ლიცენზიის მფლობელია სს „გაერთიანებული ტელეკომი“-ს მაგრამ ლიცენზია გადაპირებულია სს“სილქნეტზე“

მოსარჩელე: შპს ,,ჯეოსელი“, სს ,,გაერთიანებული ტელეკომი“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2013 წლის 17 ივლისის №6 დადგენილების ბათილად ცნობა. აღნიშნული დადგენილებით შემუშავდა ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისას ლიცენზიის მფლობელის მიერ გადასახდელი ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გამოთვლის ფორმულა.

მოსარჩელე: შპს ,,მობიტელი“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2013 წლის 17 ივლისის №6 დადგენილების და 2013 წლის 22 ივლისის №461/6 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. №6 დადგენილებით შემუშავდა ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისას ლიცენზიის მფლობელის მიერ გადასახდელი ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გამოთვლის ფორმულა. №461/6 გადაწყვეტილებით შპს „მობიტელს“ დაეკისრა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F5 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის, ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის - 16,177,427.70 ლარის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდა. შპს ,,მობიტელის“ მიერ გასაჩივრდა ზემოთ აღნიშნული საფასურის ოდენობა.

მოსარჩელე: შპს ,,სამეგრელო-ზემო სვანეთის ტელერადიოკომპანია სამეგრელო“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2014 წლის 22 იანვრის №29/4 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით გაუქმდა შპს ,,სამეგრელო-ზემო სვანეთის ტელერადიოკომპანია სამეგრელოს“ სამაუწყებლო ლიცენზიები.

მოსარჩელე: შპს ,,პალიტრა TV“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2013 წლის 20 დეკემბრის №753/16 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შპს ,,პალიტრა TV“-ს განცხადება და შპს ,,მაგთიკომს“ დაევალა „პალიტრა TV”-ის სამაუწყებლო არხის ქსელში გავრცელება, მას შემდეგ, რაც შპს „პალიტრა TV” უზრუნველყოფს სიგნალის თანამგზავრამდე მიტანას და გავრცელებას.

მოსარჩელე: შპს ,,სტუდია მაესტრო“, ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“, შპს ,,სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“, შპს ,,ევროპა პლიუს-თბილისი“, შპს ,,ქართული რადიო“, შპს ,,ტელერადიო“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

დავის საგანი: კომისიის 2014 წლის 27 მარტის №175/19 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით ცვლილებები და დამატებები შევიდა მაუწყებლების მიერ კომისიაში წარმოსადგენი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების იმ ნაწილში, რომელიც მაუწყებლის შემოსავლებს ასახავს. მაუწყებლებს ასევე დაევალათ მათთვის გაწეული მომსახურების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა.

მოსარჩელე: შპს ,,კავკასიის ციფრული ქსელი"
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2014 წლის 27 ივნისის N344/12 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შპს ,,კავკასიის ციფრული ქსელის" განცხადება, რომლის შესაბამისად ითხოვდა კომისიის 2007 წლის 29 ივნისის №360/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას. №360/16 გადაწყვეტილებით შპს ,,კავკასიის ციფრული ქსელს" უარი ეთქვა „გაერთიანებული ტელეკომისთვის" შპს ,,კავკასიის ციფრული ქსელის" კაბელების საკუთარ ინფრასტრუქტურაში განთავსების დავალდებულებაზე.

დანართი 20. თავისუფალი სიხშირული რესურსი

FM სიხშირეთა თავისუფალი რესურსი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

№	სიხშირე (მჰც)	ქალაქი	რეგიონი	შენიშვნა / ლიცენზიის სახე
1	104.1	წალკა	ქვემო ქართლი	სათემო
2	90.1	ადიგენი	სამცხე ჯავახეთი	სათემო
3	90.5	ადიგენი	სამცხე ჯავახეთი	სათემო
4	95.9	ასპინძა	სამცხე ჯავახეთი	სათემო
5	100.4	ასპინძა	სამცხე ჯავახეთი	სათემო
6	103.7	ახალქალაქი	სამცხე ჯავახეთი	სათემო
7	107.7	ახალციხე	სამცხე ჯავახეთი	სათემო
8	90.3	ბორჯომი	სამცხე ჯავახეთი	სათემო
9	90.7	ბორჯომი	სამცხე ჯავახეთი	სათემო
10	100.1*	ნინოწმინდა	სამცხე ჯავახეთი	სათემო
11	98.4	ზუგდიდი	სამეგრელო ზემო სვანეთი	სათემო
12	101.7	მესტია	სამეგრელო ზემო სვანეთი	სათემო
13	102.3	მესტია	სამეგრელო ზემო სვანეთი	სათემო
14	104.5	მესტია	სამეგრელო ზემო სვანეთი	სათემო
15	90.7	ფოთი	სამეგრელო ზემო სვანეთი	სათემო
16	100.8	ჩხოროწყუ	სამეგრელო ზემო სვანეთი	სათემო
17	100.7	ამბროლაური	რაჭა–ლეჩხუმ ქვემო სვანეთი	სათემო
18	101.1	ამბროლაური	რაჭა–ლეჩხუმ ქვემო სვანეთი	სათემო

19	104.9	ამბროლაური	რაჭა–ლეჩხუმ ქვემო სვანეთი	სათემო
20	100.6	ლენტეხი	რაჭა–ლეჩხუმ ქვემო სვანეთი	სათემო
21	103.7	ლენტეხი	რაჭა–ლეჩხუმ ქვემო სვანეთი	სათემო
22	103.5	ონი	რაჭა–ლეჩხუმ ქვემო სვანეთი	სათემო
23	104.3	ონი	რაჭა–ლეჩხუმ ქვემო სვანეთი	სათემო
24	102	ცაგერი	რაჭა–ლეჩხუმ ქვემო სვანეთი	სათემო
25	103.1	ცაგერი	რაჭა–ლეჩხუმ ქვემო სვანეთი	სათემო
26	105.3	გუდაური	მცხეთა მთიანეთი	სათემო
27	105.7	გუდაური	მცხეთა მთიანეთი	სათემო
28	107.7	თიანეთი	მცხეთა მთიანეთი	სათემო
29	102.7	სტეფანწმინდა (ყაზბეგი)	მცხეთა მთიანეთი	სათემო
30	103.1	სტეფანწმინდა (ყაზბეგი)	მცხეთა მთიანეთი	სათემო
31	100.1	ფასანაური	მცხეთა მთიანეთი	სათემო
32	102.1	ფასანაური	მცხეთა მთიანეთი	სათემო
33	90.5	ლაგოდეხი	კახეთი	სათემო
34	106.1	საჩხერე	იმერეთი	სათემო
35	90.4	ტყიბული	იმერეთი	სათემო
36	91.2	ტყიბული	იმერეთი	სათემო
37	102.9	ჭიათურა	იმერეთი	სათემო
38	106.2	ჩოხატაური	გურია	სათემო
39	90.5	ბათუმი	აჭარა	სათემო
40	101.7	შუახევი	აჭარა	სათემო
41	102.1	შუახევი	აჭარა	სათემო
42	101.2	ხულო	აჭარა	სათემო
43	103.5	ხულო	აჭარა	სათემო
44	100.4	ბიჭვინთა	აფხაზეთი	
45	102.9	ბიჭვინთა	აფხაზეთი	
46	107.8	ბიჭვინთა	აფხაზეთი	
47	103.8	გაგრა	აფხაზეთი	
48	101.8	სოხუმი	აფხაზეთი	
49	102.6	სოხუმი	აფხაზეთი	
50	103.5	სოხუმი	აფხაზეთი	
51	106.8	სოხუმი	აფხაზეთი	
52	102.8	ტყვარჩელი	აფხაზეთი	
53	103.3	ტყვარჩელი	აფხაზეთი	
54	99	ბათუმი	აჭარა	
55	107.8	ბათუმი	აჭარა	
56	100.4	ქედა	აჭარა	
57	103.1	ქედა	აჭარა	
58	106.1	ქედა	აჭარა	
59	107.2	ქედა	აჭარა	

60	100.9	შუახევი	აჭარა	
61	102.7	შუახევი	აჭარა	
62	104.1	ხულო	აჭარა	
63	105.4	ხულო	აჭარა	
64	103.7	ოზურგეთი	გურია	
65	104.8	ოზურგეთი	გურია	
66	98.3	ჩოხატაური	გურია	
67	93.5	თბილისი	თბილისი	
68*	104.7	თბილისი	თბილისი	
69	105.1	საჩხერე	იმერეთი	
70	105.7	საჩხერე	იმერეთი	
71	90.8	ტყიბული	იმერეთი	
72	101.5	ტყიბული	იმერეთი	
73	98.5	ქუთაისი	იმერეთი	
74	99.3	ქუთაისი	იმერეთი	
75	103.7	ჭიათურა	იმერეთი	
76	104.7	ჭიათურა	იმერეთი	
77	101.1	ახმეტა	კახეთი	
78	98.3	თელავი	კახეთი	
79	98.7	თელავი	კახეთი	
80	90.9	სიღნაღი	კახეთი	
81	101.1	გუდაური	მცხეთა მთიანეთი	
82*	104.7	გუდაური	მცხეთა მთიანეთი	
83	104.1	თიანეთი	მცხეთა მთიანეთი	
84	101.9	სტეფანწმინდა (ყაზბეგი)	მცხეთა მთიანეთი	
85	107.9	სტეფანწმინდა (ყაზბეგი)	მცხეთა მთიანეთი	
86	102.5	ფასანაური	მცხეთა მთიანეთი	
87	103.3	ფასანაური	მცხეთა მთიანეთი	
88	101.9	ამბროლაური	რაჭა–ლეჩხუმ ქვემო სვანეთი	
89	105.9	ამბროლაური	რაჭა–ლეჩხუმ ქვემო სვანეთი	
90	104.1	ლენტეხი	რაჭა–ლეჩხუმ ქვემო სვანეთი	
91	102.4	ონი	რაჭა–ლეჩხუმ ქვემო სვანეთი	
92	107.9	ონი	რაჭა–ლეჩხუმ ქვემო სვანეთი	
93	105.3	ცაგერი	რაჭა–ლეჩხუმ ქვემო სვანეთი	
94	99.1	ზუგდიდი	სამეგრელო ზემო სვანეთი	
95	100.7	მესტია	სამეგრელო ზემო სვანეთი	
96	101.1	მესტია	სამეგრელო ზემო სვანეთი	
97	102.9	მესტია	სამეგრელო ზემო სვანეთი	
98	105.1	მესტია	სამეგრელო ზემო სვანეთი	
99	91.1	ფოთი	სამეგრელო ზემო სვანეთი	
100	100.2	ჩხოროწყუ	სამეგრელო ზემო სვანეთი	

101	101.6	ჩხოროწყუ	სამეგრელო ზემო სვანეთი	
102	100.5	წალენჯიხა	სამეგრელო ზემო სვანეთი	
103	90.9	ადიგენი	სამცხე ჯავახეთი	
104	94.3	ასპინძა	სამცხე ჯავახეთი	
105	95.1	ასპინძა	სამცხე ჯავახეთი	
106	104.5	ახალქალაქი	სამცხე ჯავახეთი	
107	104.9	ახალქალაქი	სამცხე ჯავახეთი	
108	105.6	ახალქალაქი	სამცხე ჯავახეთი	
109	106.2	ახალქალაქი	სამცხე ჯავახეთი	
110	94.7	ახალციხე	სამცხე ჯავახეთი	
111	95.5	ახალციხე	სამცხე ჯავახეთი	
112	96.7	ახალციხე	სამცხე ჯავახეთი	
113	97.5	ახალციხე	სამცხე ჯავახეთი	
114	98.3	ახალციხე	სამცხე ჯავახეთი	
115	100.5	ბაკურიანი	სამცხე ჯავახეთი	
116	91.1	ბორჯომი	სამცხე ჯავახეთი	
117	103.9	ბორჯომი	სამცხე ჯავახეთი	
118	100.5	ნინოწმინდა	სამცხე ჯავახეთი	
119	102.1	ნინოწმინდა	სამცხე ჯავახეთი	
120	102.5	ნინოწმინდა	სამცხე ჯავახეთი	
121	105.3	ნინოწმინდა	სამცხე ჯავახეთი	
122	107.3	ბოლნისი	ქვემო ქართლი	
123	107.7	ბოლნისი	ქვემო ქართლი	
124	104.4	დმანისი	ქვემო ქართლი	
125	106.7	დმანისი	ქვემო ქართლი	
126	107.1	დმანისი	ქვემო ქართლი	
127	102.3	წალკა	ქვემო ქართლი	
128	104.7	წალკა	ქვემო ქართლი	
129	100.3	ხაშური	შიდა ქართლი	

*აღნიშნულ სიხშირეებზე რადიომაუწყებლობის ლიცენზიების მისაღებად კონკურში გამარჯვებულები 2014 წელს გამოვლინდნენ, უბალოდ ლიცენზიების გაცემა 2015 წლის დასაწყისში მოხდა

დანართი 21. აუდიტის დასკვნა

სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“

მოგება-ზარალის ანგარიშგება

აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2014 წლის 31 დეკემბერს

სსიპ "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია"

მოგება-ზარალის ანგარიშგება

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი:

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა მოგება-ზარალის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე..... 3
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა 4

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მოგება-ზარალის ანგარიშგება 5

მოგება-ზარალის ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 6
2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა 6
3. შემოსავალი 7

სსიპ "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია"

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა მოგება-ზარალის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, განასხვავოს ერთმანეთისგან მენეჯმენტისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობები, სსიპ "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის" (შემდეგში კომისია) მოგება-ზარალის ანგარიშგებასთან მიმართებაში.

მენეჯმენტი პასუსიხმგებელია მოგება-ზარალის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომისიის ფინანსურ შედეგებს საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს ბუღალტრული აღრიცხვის იმ საფუძვლის შესაბამისად, რომელიც განხილულია 2 (ა) შენიშვნაში.

მოგება-ზარალის ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მოამზადოს მოგება-ზარალის ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომისიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომისიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომისიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწუნდნენ, რომ მოგება-ზარალი ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის იმ საფუძვლის შესაბამისად, რომელიც განხილულია 2 (ა) შენიშვნაში;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომისიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

მოგება-ზარალის ანგარიშგება საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს, მენეჯმენტის მხრიდან 2015 წლის 20 მაისს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

კომისიის თავმჯდომარე		ვ. აბაშიძე
საფინანსო დეპარტამენტის უფროსი		ი. აბულაძე

BDO

ტელ: +995 32 254 58 45
ფაქსი: +995 32 239 92 04
bdo@bdo.ge
www.bdo.ge

ი.ჭავჭავაძის გამზირი 34
პიქსელ ცენტრი, მე-8 სართული
0179 თბილისი
საქართველო

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სსიპ "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის" ხელმძღვანელობას

დასკვნა მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე

ჩავატარეთ **სსიპ "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის"** (შემდეგში კომისია) 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოგება-ზარალის ანგარიშგების, ასევე ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციის აუდიტი (ერთად „ფინანსური ანგარიშგება"). ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოგება-ზარალის ბუღალტრული აღრიცხვის იმ საფუძვლის შესაბამისად, რომელიც განხილულია 2 (ა) შენიშვნაში.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მოგება-ზარალის ბუღალტრული აღრიცხვის იმ საფუძვლის შესაბამისად, რომელიც განხილულია 2 (ა) შენიშვნაში; აღნიშნულ პასუხისმგებლობაში შედის იმის დადგენა, რომ მოგება-ზარალის ბუღალტრული აღრიცხვის ზემოაღნიშნული საფუძველი წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მისაღები საფუძველია, მოცემულ კონკრეტულ გარემოებებში, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საშუალებით. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების საფუძველზე მტკიცებულებების მოპოვებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისა და ინფორმაციის დადასტურების მიზნით. შერჩეული პროცედურები ეფუძნება აუდიტორის მსჯელობას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული უზუსტობების რისკის შეფასებას. აღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილავს კომისიის შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შესაბამისია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენასთან. ამის საფუძველზე აუდიტორი გეგმავს შესაბამის აუდიტორულ პროცედურებს, მაგრამ არ გამოხატავს თავის მოსაზრებას კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მთლიანად შეფასებას.

გვჯერა, ჩვენ მიერ შეკრებილი აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო დასაბუთებული საფუძვლის შესაქმნელად.

დასკვნა

ჩვენი აზრით, **სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის"** 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოგება-ზარალის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის იმ საფუძვლის შესაბამისად, რომელიც განხილულია 2 (ა) შენიშვნაში.

შპს „ბიდიო"

20 მაისი 2015

შპს ბიდიო

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მოიხსენიება წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდულ კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს. და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

სსიპ "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია"

მოგება-ზარალის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

(ლარებში)

	შენიშვნა	2014
შემოსავალი	**3**	**8,272,875**
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები:		
შრომის ანაზღაურება		(4,907,863)
პრემია		(2,723,947)
კონფერენციების ჩატარების, მუშა სემინარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სპეციალისტთა და ექსპერტთა მომსახურებისა და სხვა ხარჯები		(486,018)
მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის შრომის ანაზღაურების და სახ. ბიუჯეტის ხარჯები		(275,281)
სხვა საერთო ხარჯები - (შენობის დაცვის ღირებულება, დაზღვევა, კომისიის ვებ–გვერდის მომსახურება, ცვეთა და ამორტიზაცია და სხვ.)		(258,203)
ძირითადი საშუალებების შეძენა		(245,600)
სამეცნიერო და საკონსულტაციო სამუშაოთა ხარჯები		(229,861)
მივლინების ხარჯები		(202,477)
ავტომანქანების საწვავის, შენახვისა და რემონტის ხარჯები		(135,385)
კომუნიკაციის, ელექტროენერგიის, წყლის და ბუნებრ.აირის ხარჯი.		(131,124)
საკანცელარიო, საფოსტო, პოლიგრაფიული და ჟურნალ-გაზეთების ხარჯები		(44,059)
მიმდინარე რემონტის ხარჯები		(33,275)
წარმომადგენლობითი ხარჯები		(26,564)
სხვადასხვა საწევრო გადასახადები		(19,726)
საბანკო მომსახურების ხარჯები		(1,376)
მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ხარჯები		(1,037)
ხარჯების გადამეტება შემოსავლებზე		**(1,448,920)**

კომისიის თავმჯდომარე _____ ვ. აბაშიძე

საფინანსო დეპარტამენტის უფროსი _____ ი. აბულაძე

6-7 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სსიპ "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია"

მოგება-ზარალის ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

(ლარებში)

1. ზოგადი ინფორმაცია

სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ" (შემდგომში კომისია) საქმიანობა დაიწყო 2000 წლის 1 ივნისიდან.

კომისიის იურიდიულ–სამართლებრივი ფორმა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ). კომისიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მაუწყებლობის სფეროს და ელექტრონული კომუნიკაციების რეგულირება.

კომისიის მმართველობითი ორგანოა კომისია, რომელიც შედგება ექვსი წლის ვადით არჩეული ხუთი წევრისგან, კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც კომისია სრული შემადგენლობის უმრავლესობით ფარული კენჭისყრის გზით, სამი წლით, მხოლოდ ერთი ვადით ირჩევს.

კომისია ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის და საქართველოს პარლამენტის წინაშე. კომისიის ძირითადი მიზნებია

- კომუნიკაციების სფეროში თანასწორუფლებიანი და კონკურენტული გარემოს შექმნა;
- თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;
- მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვა;
- სიხშირული სპექტრის ეფექტური განაწილება;
- მაუწყებლობის სფეროში კონკურენტული გარემოს შექმნისა და განვითარების უზრუნველყოფა, აგრეთვე, მაუწყებელთა სარედაქციო დამოუკიდებლობის ხელშეწყობა.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი /ბოჭორმის ქ. #50/18.

2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

(ა). მომზადების საფუძველი

წინამდებარე მოგება-ზარალის ანგარიშგება, საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს ასახავს კომისიის ფინანსურ შედეგებს და მომზადებულია, ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველზე.

კომისია საბუღალტრო ჩანაწერებს და ჟურნალებს აწარმოებს ლარში საქართველოში საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების წესის თანახმად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

(ბ). შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომისია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომისიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ნგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომისია იყენებს ქართულ ლარს.

(გ). შემოსავლების აღიარება

კომისიის შემოსავალი წარმოადგენს საქართველოს კომუნიკაციებისა და სამაუწყებლო სექტორში მოქმედი კომპანიებისგან (რომლებიც ექვემდებარებიან რეგულირებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად) მიღებულ რეგულირების საფასურს. რეგულირების საფასური გამოიანგარიშება, როგორც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულირების საფასურის კოეფიციენტი გამრავლებული რეგულირებადი კომპანიის რეგულირებას დაქვემდებარებულ შემოსავალზე.

კომისიას აქვს ორი სახის რეგულირების საფასურიდან მიღებული შემოსავალი:

1. ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ავტორიზებული პირების საქმიანობისა და ლიცენზიის ან/და ნებართვის მფლობელების მიერ რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის რეგულირების საფასური, რომელიც 2014 წელს იყო 0.75%;

სსიპ "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია"

მოგება-ზარალის ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

(ლარებში)

2. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამაუწყებლო კომპანიების რეგულირების საფასური, რომელიც 2014 წელს იყო 0.5%, აღნიშნული მოსაკრებლისგან თავისუფლდება მხოლოდ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი.

რეგულირებას დაქვემდებარებული კომპანიები, კომისიაში ყოველი საანგარიშო თვის დასრულებიდან მომდევნო თვის 15 რიცხვამდე წარმოადგენენ გაანგარიშებას, რეგულირებას დაქვემდებარებული შემოსავალის მოცულობაზე. აღნიშნულის საფუძველზე კომისია რეგულირების საფასურის შემოსავალს აღიარებს გაანგარიშების მიღებისას.

(დ). ხარჯების აღიარება

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღებისას.

კომისია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებს წლის განმავლობაში წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით შეძენილი ძირითადი საშუალებების ღირებულებას.

3. შემოსავალი

შემოსავალი საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	2014
მაგთიკომი	2,188,037
ჯეოსელი	1,602,376
სილქნეტი	1,112,519
მობიტელი	942,441
კავკასუს ონლაინი	633,884
სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2	220,589
გლობალ ერთი	156,685
ახალი ქსელები	152,035
ტელეიმედი	111,325
სისტემ ნეტ	77,834
ახტელი	75,392
ფოპნეტი	74,967
რკინიგზის ტელეკომი	70,504
საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია	63,340
სტუდია მაესტრო	47,367
PremiumNet InternationalSLR-ის ფილიალი საქართველოში	45,218
მაიფონი	44,773
სუპერ ტვ	44,725
დელტა კომმი	42,448
დელტა ნეტი	46,441
სხვა შემოსავლები	519,976
ჯამი	**8,272,875**